სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 19 სექტემბერი 1998 №168 (703) ფასი 50 თეთრი

ნაკრებს ძალა მოემატა

ზუსტად ექვსი თვისა და ორი დღის წინ ვწერდით, საქრთველოს ნაკრებისა და ინგლისური „მანჩესტერ სიტის" მცველი მურთაზ შელია მძიმედ რომ დაშავდა. ინგლისელი ექიმების მაშინდელი ვარაუდიც ახდა — მყესები გაქვს გაწყვეტილი, ჯვარედინი იოგებიც დაზიანებული და ექვსთვიანი იძულებითი დასვენება მოგიწევსო, უთხრეს მაშინ შელიას.

დღეს კი ნამდვილად კარგ ამბავს გამცნობთ — მურთაზ შელიამ ტრავმა საბოლოოდ მოირჩინა და „სიტის" შემადგენლობაში ერთი ამხანაგური მატჩიც შეუცვლელად ითამაშა.

იხილეთ მეორე გვერდი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ექვსი თვის შემდეგ მურთაზ შელიამ ისევ მოირგო ბუცები

ვაითუ ფიფამ დაგვადოს

სანქცია, რომელიც ჩვენვე გამოვტყუეთ

ასეთ დასასრულს ველოდით ყველა. ტყუილად მოვყვებით მტკიცებას, გვეგონა, მოვლენები სხვაგვარად განვითრდებოდაო. მიუხედავად ბევრი ფიცისა, ფედერაცია ვერავის დაარწმუნებს იმაში, რომ სხვაგვარად მოქცევა შეეძლო. „დინამომ" ისედაც კარგად უწყოდა ყველაფერი. ცოტა უცნარიც კია, მაგრამ „მრეტებიც" ანალოგიური დასასრულის მოლოდინში ყოფილა. ჟურნალისტებმა ადრე ვიწინასწარმეტყველეთ, რაც მოხდებოდა. აბა, მაშ რას ველოდით? არაფერს, უბრალოდ, გვსუროდა, მცირე ხნით მაინც უსკანდალოდ გვეცხოვრა, მხოლოდ ქართული ფეხბურთის წარმატებებზე გვეწერა. დიდი, საერთო სიხარული მოგვენატრა.

არჩევნებამდე ალბათ მართლაც უსკანდალოდ გავძლებთ, ხოლო წარმატებებზე და სიხარულზე რა მოგახსენოთ, ალდგომა და ხვალეო, ნათქოვამია.

ვინ დარჩა მოგებული „დინამო" — „მრეტების" უსაშველოდ გაწელილი დავიდან? ალბათ ყველა, „მრეტების" გარდა. „დინამოსთვის" მთავარი ის იყო, ალმასკომის სხდომას თავისი ადრინდელი გადაწყვეტილება შეეცვალა. კლუბის დირექტორატს ძალიანაც აწყობდა, საქმისთვის ფიფას დაედო საბოლოო განაჩენი. ჩემპიონებს იმედი აქვთ, რომ ფიფა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გამოტანილ ვერდიქტს ანგარიშს გაუწევს და საქმეს მათ სასარგებლოდ გადაწყვეტს.

ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რათა წყლიდან მშრალად ამოსულიყო. საძირკველშერყეული და გაუბედურებული „მრეტების" წყენინება არჩია, წელგამართული და სახელიანი „დინამოს" მომდურებას ერთი შეხედვით სწორადაც მოიქცა, „დინამო", თავისი გავლენიანი ხელმძღვანელობითურთ, აქვეა, ორი ფეხის ნაბიჯზე, ხოლო „მრეტების" ნამდვილი თავკაცები ათასობით კილომეტრის მოშორებით.

ერთიცაა, თუ ფედერაციამ იცის, რომ ფიფა გუშინწინდელი გადაწყვეტილებისთვის სანქციებს დაგვადებს და მიუხედავად ამისა, მაინც შეგნებულად გადადგა ის ნაბიჯი, მაშინ ხალხის, გულშემატკივრის, მასმედიის წამლეკავ რისხვას ვერ გადაურჩება. არა გვგონია, „დინამო" მთლიანად ქართული ფეხბურთის ტოლფასი იყოს. „დინამო" დიდია, „დინამო" უამრავის უსაზღვრო სიხარულია, მაგრამ ქართული ფეხბურთი თავისთავში უამრავ „დინამოს" დაიტევს. ამიტომ ისე არასდროს წვიმს, როგორც ქუხს და ფედერაციის ჩინოსნებმაც შესაძლო სანქციებზე მხოლოდ თავის დაზღვევის მიზნით ისაუბრეს.

„მრეტები" ახლა გაიძახის, ფედერაცია უსუსურიაო. სინამდვილეში მაშინ მოტყუვდნენ, როცა საქმე უსაშველოდ გაწელეს, თუ გააწელინეს ფედერაციას. გულარხეინად მყოფებს მთავარი დაავიწყდათ, ჩვენში „დინამოს" „მრეტებს" არავინ ანაცვალებდა. საბოლოოდაც ძველი ქართული სიბრძნე ალალადდა — დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი. „მრეტებს" ჰგონია, რომ ფიფა სამართალს არ დაუკარგავს, მაგრამ ჩვენი აზრით მხოლოდ იმ ასი ათას რუბლს უნდა დასჯერდეს, რომლის გადახდა მათ სასარგებლოდ ფედერაციას მოუწევს. მოგეხსენებათ, ქინქლაძის ტრანსფერი გაბათილდა, ხოლო ტრანსფერის ღირებულების ათი პროცენტი თავის დროზე ფედერაციამ ჩაიჯიბა. „მრეტები" მაინც იმედოვნებს, ფიფას შესცქერის თვალებში და განაჩენს ელის.

ზემოთ სიმართლე ვახსენეთ. მაინც ვერ დავადგინეთ, საბოლოოდ სამართალი ვის მხარესაა. ფაქტები ისეა ერთმანეთში გადახლართული, იმდენი ვერსია მოვისმინეთ, რომ ჟურნალისტი კი არა, ეშმაკიც დაიბნეოდა. ფედერაციას მოუსმენ და მათი ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ ჩვენი ფეხბურთის მამები ცამდე მართლები არიან. მათ ის გადაწყვეტილება მიიღეს, რასაც მათგან გულშემატკივარი მოითხოვდა.

„დინამოს" მიუგდებ ყურს და „მრეტებთან" ცამდე მართალია. მისმა „მეტოქემ" მისალები უკვე მიილო და წესით და კანონით საპრეტენზიოც არაფერი უნდა გააჩნდეს. „მრეტების" აზრით, ფედერაცია-„დინამოს" ალიანსმა ისინი თამაშგარეთ, მშრალზე დატოვა. კაცურად იურიდიულად და მორალურად მართლები არიან და იჩაგრებიან.

კაცურად ფედერაციაც მართალია, „დინამოც" და „მრეტებიც". ისე, როცა საქმე მსგავს დავას ეხებაროცა „მილიონ სრემტას" ერთმანეთს ეცილებიან, როცა ორომტრიალში ამქვეყნად ყველა დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხი გამოყენებულია, რა კაცობა-კაიბიჭობაზეა საუბარი, ვერ გაგვიგია.

საბოლოოდ რა დაგვრჩა? ერთი ნაბიჯი ამ ტანჯვის ბოლომდე. კიდევ ლოდინი, ოღონდ ამ ჯერზე სულ რამდენიმე დღით. უნდა დაველოდოთ იმ დღეს, როცა ფიფას ალმასკომი ინებებს შეკრებას, სადაც პატივცემული მიშელ ზენ რუფინენი გააკეთებს მოხსენებას. იქვე მოისმენენ ჩვენი ფედერაციის ალმასკომის დადგენილებას და.

მანამდე კი სიწყნარეა, ავისმომასწავებელი სიჩუმე.

კარგით, დროებით, ფიფას ალმასკომამდე, „დინამო" — „მრეტებს" თავი დავანებოთ და „მეორე ფრონტზე" გადავერთოთ, ფედერაციამ ის საქმე თავიდან კი მოიშორა, მაგრამ 23 ოქტომბერი და ყრილობა ხელში შერჩენია. ამას ხომ უნდა ორგანიზება და ჩატარება. წინასაარჩევნო კამპანია დროებით ჩაცხრა, უფრო სწორად სააშკარაოდან კულისებს მიღმა გადაინაცვლა.

ალიანსები, თანაც საკმაოდ კარგად ორგანიზებული, ადრევე გამოაშკარავდა. ახლა უბრალოდ პოზიციური თამაში მიდის. მაინც ვისი აჯობებს? ძნელი სათქმელია.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ ნოდარ ანდრიაძის და ილია დათუნაშვილის ალიანსზე. ვიცე-პრეზიდენტის ამგვარ ქმედებას ბევრი ამართლებს, ნაწილი ეჭვით უმზერს. ფედერაციაში ერთმანეთს არ ენდობიან, ყველა თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი, ეს სიტყვები იქაურ სამზარეულოში კარგად ჩახედულმა ალმასკომის წევრმა წამოისროლა.

ჩივაძე-კვინიკაძე-ჟორდანიას ალიანსით გაბრაზებული და შეურაცხყოფილი ნოდარ ანდრიაძე ვილაცას რომ შეეკვრებოდა, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა. იფიქრა ანდრიაძემ და ეულად მებრძოლ გოგლიძეს მოქალაქეთა კავშირისგან ზურგგამაგრებული დათუნაშვილი ამჯობინა. ვიცე-პრეზიდენტი ფედერაცშია პატარა კაცი ნამდვილად არ გახლავთ, მას ბევრი უჯერებს, მის სიტყვას ფასი ედება და დათუნაშვილთან მისი კავშირი სერიოზულ დაჯგუფებას ქმნის, რომელსაც მდგომარეობის სათავისოდ შემობრუნება ძალუძს.

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ გუშინწინ განაცხადა, რომ გააჩნია პრეტენზია საქართველოში თავი ყველაზე გამორჩეულ ფიგურად წარმოაჩინოს. რა თქმა უნდა, გენსეკი სპორტულ საქართველოს გულისხმობდა. ამაზე კამათი შეიძლება, მაგრამ მთავარი და ყურადსაღები უფრო ის სიტყვებია, რომელიც კვინიკაძემ ზემოთქმულს მოაყოლა. ნებისმიერი კანდიდატი მოიგებს რაღაცას, თუ, რა თქმა უნდა, მე მის იდეაში ნორმალურს დავინახავ. რა თქმა უნდა, მე ვილაცისკენ გადავიხრები და ვამბობ კიდეც ჩივაძისკენ-მეთქი.

დავით კვინიკაძის პირველობისა რა მოგახსენოთ (თუმცა მას ასე განსჯის სრული უფლება გააჩნია), მაგრამ ფედერაციის გენსეკი მართლაც ძლიერი პიროვნება და შესაშური დიპლომატი რომ ბრძანდება, არა გვგონია, საკმათო იყოს. ამიტომაცაა ჯერაც წაუქცეველი გენმდივანი, კვინიკაძე მუდამ გაუშიფრავი გახლდათ, არავინ უწყის, რა თამაშს თამაშობს, საით უმიზნებს. ის უბრალო სიტყვებიც, გუწინწინ რომ თქვა, ორაზროვანია. მისი სწორად წაკითხვა მეტად საძნელო საქმეა.

მე ჩივაძისკენ გადავიხრები — კი, მაგრამ ბატონ საშას თუ პრეზიდენტობა არ სურს და მხარს და ხმას მერაბ ჟორდანიას შეაწევს, მაშინ ჩივაძეს რაღად უნდა კვინიკაძის მიმხრობა?! სწორედ მიმხრობაში იმალება საიდუმლო. კვინიკაძეს საქვეყნოდ არასდროს უთქვამს, ჟორდანიაა ჩემი რჩეულიო. გენსეკი ამბობს, ჩივაძეს ვემხრობიო, ესე იგი იმას, ვისაც ჩივაძეს დაუჭერს მხარს.

გენერალურმა მდივანმა ისიც სიმართლე თქვა, ვისაც მივემხრობი, ის რაღაცას მოიგებსო. რაღაცას კი არა, ბატონო დავით, არამედ ყრილობას! ქართულ საფეხბურთო სამყაროში ცხონებული ნოდარ ახალკაცის შემდეგ ყველაზე ხმამაღალი სიტყვა გეთქმით, ასე აეწყო რატომღაც, და ყრილობასაც ის მოიგებს, ვისაც თქვენ შეაწევთ სიტყვას. ეს სრული ჭეშმარიტებაა და რამდენიც უნდა ვთქვათ, ასე კი არა, სხვაგვარად არისო, ტყუილი გამოგვივა.

ამ ორომტრიალში ჟორდანია დუმილს არჩევს, ანაც საყვირალი რაა, როცა საქმე სანახევროდ გაკეთებულია. მხოლოდ გოგლიძე დარჩენილა ეულად. მხოლოდ მან არ ისურვა ალიანსებში მონაწილეობა და დღევანდელი გადასახედიდან განწირულიც კი ჰგონიათ, თუმცა...

გუშინწინ ალბათ ბოლო ალმასკომი იყო. 23 ოქტომბრამდე ყველა დაისვენებს, უფრო სწორად, საბოლოოდ გაარკვევენ მომხრეთა და მოწინაალმდეგეთა ვინაობას და ალბათ ყრილობაზეც საბრძოლველად მივლენ.

მანამდე კი სიწყნარეა, სიჩუმე ქარიშხლის მოლოდინში...

მამუკა ძვანტალიანი

მარკიზმა ბაგრატიონი დაგვიჯილდოვა

გუშინ ბევრი სასიამოვნო რამ ითქვა საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის საკეთილდღეოდ, საკმაოდ სასიხარულო გადაწყვეტილება მიიღეს ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის სხდომაზე, მერე კი მონასტერი აირია, სეოკის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი გაცხარდა. ოლიმპიური სიმშვიდე დაკარგეს კამათში გამომსვლელებმაც, ბოლოს ყველა და ყველაფერი დაწყნარდა. ის იყო, ალმასკომის წევრებმა სხდომა დაასრულეს და წამოდგომა დააპირეს, რომ დამსწრეთა ყურადღება წუთით ითხოვა სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა. მან ჯიბიდან ამოიღო იმ დღეს მიღებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მარკიზ ხუან ანტონიო სამარანჩის ხელმოწერით დამშვენებული ფაქსი, რომელიც იუწყებოდა ჯანო ბაგრატიონის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენით დაჯილდოებას. ამ სასიამოვნო სიურპრიზმა ჩვენი ოლიმპიური მოძრაობის ლიდერი ისე სახტად დატოვა, მილოცვებს დაბნეული იღებდა.

შეგახსენებთ, რომ ეს ორდენი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ჯილდოა. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთაგან ამ ორდენით დაჯილდოებულნი არიან: წყალში მხტომელი სერგო შალიბაშვილი (დალუპვის მერე), სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსანი ვიქტორ სანეევი, საქართველოს ეოკ-ის პირველი პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი და ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ბადრი კეთილაძის ფოტო



ჯანო ბაგრატიონი

გერმანია

ჰანზა 0:2 ფრაიბურგი

0:1 სელიმი (83), 0:2 იაშვილი (90)

გუშინ „ფრაიბურგმა" როსტოკში იმარჯვა და ჩვენებურებმაც ივარგეს: ბოლო წუთზე ლევან კობიაშვილმა თავის ნახევარზე მეტოქეს ბურთი ვარდნაში აართვა, გამოზიმილი პასით იაშკა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და მანაც სტუმრად გამარჯვება უფრო შთამბეჭდავი გახადა. მანამდე კობიაშვილსაც შეეძლო პირველი ბუნდესლიგური გოლის გატანა: მისი და იაშვილის ჩინებული კომბინაციის დაგვირგვინება კობის შეეძლო, მაგრამ მეკარე პიკენჰაგენმა ძლივს მოიგერია. უფრო ადრე კი იაშვილისგან გოლს როსტოკელები ძელმა გადაარჩინა.

ჰერტა 3:1 აინტრახტი

0:1 ჩენი (14), 1:1, 2:1 პრეეტცი (27, 55), 3:1 ჩამი (81)

მეორე ბუნდესლიგა

ობერჰაუზენი 1:5 არმინია

0:1 რიდლევიცი (19), 0:2 ბაგერი (66), 1:2 ა. ვებერი (68), 1:3 ლაბადია (78), 1:4 რეინა (81), 1:5 ლაბადია (85)

კიკერსი 1:0 ბერლინი

1:0 სებესკენი (70)

ჰოლანდია

ნაიმეგენი 3:1 როდა

1:0 რენფურმი (11), 1:1 პეტერსი (42), 2:1 დე გიერი (65), 3:1 რენფურმი (72)

ავსტრია

ლინცერი 1:3 აუსტრია

თურქეთი

ბურსა 4:0 ანკარაგიუჯუ

ნაკრებს ძალა მოემატა

— როგორია, ნახევარი წელი ვმკურნალობდი. დაშავებულ ფეხს ცივ ნიავს არ ვაკარებდი. ექიმთა რჩევებს ზუსტად ვასრულებდი და, როგორც იქნა, იმ კოშმარიდან გამოვედი. უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ, ალარაფერს ვერიდები და რიგაშიც სიამოვნებით შევუერთდები საქართველოს ეროვნულ გუნდს. რაც შეეხება სათამაშო ფორმას, ექვსი თვის უთამაშებელი კაცის პირობაზე, მგონი, ცუდად არ გამოვიყურები. ნელ-ნელა ამასაც მოვევლება — გვითხრა მურთაზ შელიამ.

მეორე ტრავმირებული მცველის — კახი ცხადაძის შესახებ კი სანუგეშოს უწინდებურად ვერაფერს გეტყვით, იგი ისევ საწოლშია და თუ ფეხზე წამოდგება, სიარული მეტად უჭირს.

საზარდულდაჭიმული ბელგიური „ლიერსის“ გელა შეყილაძეც კი შესაძლოა 26 სექტემბერს ითამაშოს პირველად ოფიციალური მატჩი ერთთვიანი შესვენების შემდეგ. მისი გუნდი „ბრიუგეს“ ხვდება და მწვრთნელს გელას იმედი აქვს, ჩვენებურისთვის უთქვამს, 26-მდე არ გათამაშებ, მეშინია, ტრავმა არ გაგიმეზეზდეს, შაბათის მატჩსაც უშენოდ ჩავატარებთო.

გელა შეყილაძე აშკარად კარგ ხასიათზე იყო. ჯერ აქაური ამბები მოიკითხა, მშობლიურ „ბათუმში“ რა ხდებაო, მერე „დინამოს“ ტილბურგში მარცხის რეზონანსზეც ჩამოგვიგდო სიტყვა, ბოლოს კი კითხვებზეც გვიპასუხა.

— ვარჯიში დიდი ხანია დაიწყე?

— გუნდთან ერთად პირველად ხუთშაბათს ვივარჯიშე. მანამდე ჩემთვის დავრბოდი, ფიზიკური კონდიციები აღვიდგინე. ექიმი მაკვირდებოდა, ოთხშაბათს კი საბოლოოდ გამსინჯა და, უკვე სრული დატვირთვით შეგიძლია ივარჯიშოო.

— ერთთვიანი დასვენება ბევრს დაგაკლებდა.

— ჰო, მართლაც გამიჭირდა. უბურთოდ ველარ ვძლებდი, მაგრამ მოვითმინე და ახლა დაკარგულის ანაზღაურებას ვეცდები, ჩემზე არაა, როგორც მოვინდომებ, ფორმასაც შესაბამისად ავიყვან. ვარჯიშებისას კი ვგრძნობ, მთლად ძველებურად რომ ვეღარ ვბურთაობ. თუმცა, ფეხბურთელებიდან დაწყეული ბაზის თანამშრომლებით დამთავრებული ყველა მამხნევებს, ტრავმის კვალი დიდად არ გეტყობაო, მეუბნებიან. მწვრთნელიც კარგი თვალით მიყურებს და დამპირდა კიდეც „ბრიუგესთან“ გათამაშებო.

— ესე იგი, ტრავმა შენს ძირითად თამაშზე გავლენას არ მოახდენს...

— აბა, როგორ გითხრა? ჩემს გარდა „ლიერსში“ ექვსი მცველია, მგლებივით არიან, ძალიან დიდი კონკურენციაა. ფეხი თუ დაგიცდა, შენს ადგილს უმალ სხვა დაიკავებს. ეს მეც მეხება, თავს არ ვზოგავ, მონდომებით ვვარჯიშობ და ალბათ მწვრთნელმაც შეამჩნია, სკამის სახეხად რომ არ ჩამოვსულვარ ბელგიაში. ტრავმის კვალი კი 26-ში უკეთ გამოჩნდება.

— „ლიერსს“ იოლად შეეგუე?

— საპრეტენზიო არაფერი მაქვს. მეგობრული, შეკრული გუნდია. მწვრთნელიც ნორმალურია, ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს. პირობები ჩინებულია, ოღონდ ითამაშე, არაფერს დაგამადლიან. ამპლუა კი ძველი მაქვს, ტრავმამდე აქაც სტოპერად ვთამაშობდი, მგონი, არც ახლა შემაცვლევინებენ ადგილს.

— ბრიუსელში თუ იყავი ყაველაშვილის თამაშის სანახავად?

— ეგ ხუთშაბათს იყო. ვარჯიშის მერე ბელგიის ნაკრების ორ ლიერსელ წევრთან ერთად ჩავედი „ანდერლეხტ“ — „გრასჰოპერის“ მატჩზე. ყაველა ძირითადში ითამაშეს, მაგრამ ბოლოსკენ შეცვალეს. არადა, მიშა რა გამოსაცვლელი იყო, ყველაზე კარგად სწორედ ის თამაშობდა.

— ბელგიის ნაკრების წევრებიო, ახსენე. „ლიერსში“ ერთი ნორვეგიელიც თამაშობს. ადრე ეგილ ოლსენი ნაკრებშიც იწვევდა ხოლმე.

— ესტელაგს გულისხმობ ალბათ. ნორვეგიის ეროვნულში ადრე მართლაც თამაშობდა, მაგრამ მერე დაშავდა და კარგა ხანს ისვენებდა. ვარჯიში ჩემზე ერთი დღით ადრე დაიწყო. კარგი ბიჭია, ტიპიურ ნორვეგიულ ფეხბურთს თამაშობს და ბევრსაც მელაპარაკება ჩვენს შესარჩევ ჯგუფზე. საბერძნეთი აბა რა გუნდია, პირველობისთვის ჩვენები იბრძოლებენო, სულ ამას მეუბნებოდა. ახლა კი, ენას ცოტა კბილი დააჭირა, ეს რა დაგვმართნია, ამ იდიოტებმა ლატვიასთან როგორ წააგესო.

— ლატვიას ახლა ჩვენ რომ ვეთამაშებით?

— ძოძუაშვილის გუნდმა დაამტკიცა — ცერად არავის უნდა შეხედო. წარმოიდგინდა ვინმე, ლატვია ოსლოში თუ მოიგებდა? მოუგო ნორვეგიას და ახლა კარგ ხასიათზე დაგვხვდებიან. ძნელი თამაში რომ გველის, ამას თქმაც არ სჭირდება. უეჭველად მოსაგებად ვიბრძოლებთ. თუ ჯგუფში გამარჯვება გვსურს, მაშინ რიგაში სხვა შედეგზე არც უნდა ვიფიქროთ.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს ნაკრებს აღარ დაყლდები.

— თუ გამომიძახეს, როგორც ყოველთვის, სიხარულით ჩამოვალ. ნაკრები ხომ უპირველესია. თანაც ფეხი საბოლოოდ მოვირჩინე. იმ დღეს რა ვუთხარი, როცა ტრავმა მივიღე და ალბანელებთან გამარჯვებაში ჩემი წვლილი ვერ შევიტანე.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეროვნული გუნდის მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი ალბანელებთან ვერნათამაშევი ორივე მცველის — შელიას და შეყილაძის გამოძახებას აპირებს. ფეხბურთელებსაც ეს უნდათ, ორივემ ხომ მოშუშდა, ორივე ჯანზეა და ალბათ ალბანელებთან ერთობ ცუდად მოთამაშე დაცვას გააძლიერებენ.

რაც შეეხება ნაკრების კიდევ ორ წევრს, გახოკიძესა და შოთა არველაძეს, ამათ შესახებაც დასაიმედებელს გეტყვით. გოგამ ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ითამაშა. მართალია, სულ 13 წუთი დაჰყო მინდორზე „მაასტრიხტთან“ შეხვედრისას, მაგრამ ესეც ხომ საქმეა. გახოკიძეს წელკავმა გაუარა და იგიც გუცაევის გამოძახებას ელის. აიაქსელმა შოთა არველაძემ კი, რომელსაც საზარდულისვე ტკივილის გამო დაახლოებით ერთი თვე გაუცდა, გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა და შესაძლოა ხვალვე ითამაშოს „გრაასჰაპთან“.

მანამდე შოთაც მხოლოდ დარბოდა, ველოსიპედისა და ტრენაჟორების დახმარებით ცდილობდა, თანაგუნდელებს არაფრით ჩამორჩენოდა. მართალია, შოთა არველაძე ბოლომდე არ განკურნებულა, მაგრამ აიაქსელი ექიმების თქმით, სანერვიულო უკვე აღარაფერია.

მოკლედ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ლატვიასთან შოთაც იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, მით უმეტეს, რიგამდე 20 დღე დარჩა და ეს დრო ბოლომდე გამოსაჯანმრთელებლადაც იკმარებს.

ბოლო ხანს უთამაშებელ გიორგი ნემსაძესა და გოჩა ჯამარაულზე კი ბევრი ვერაფერი შევიტყვეთ. ერთი ეგაა, რომ ნემსომ შეიძლება მომავალ კვირაში გაარკვიოს თავისი ფინანსური პრობლემები და ეგებ „გრასჰოპერის“ შემადგენლობაშიც ვიხილოთ. ჯამარა კი ისევ თბილისშია და ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

რევაზიშვილი (მარჯვნივ) საქართველოშიც კარგად ბურთაობდა

კრილიას მარჯვენა ფრთა ოჯიმისტია

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრების რუსეთთან და უკრაინასთან წარმატებით ჩატარებულმა და თუნდაც ალბანეთთან მატჩებმა დაგვანახა, რომ საკმაოდ ძლიერი მომავალი გვეხვრდება. ამას, ალბათ, ის ფაქტიც უწყობს ხელს, რომ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ჩვენი ბიჭების გარკვეული რაოდენობა უცხოურ კლუბებში ირჯება. დღევანდელი „სარბიელის“ სტუმარიც ლეგიონერი, სამარის „კრილია სოვეტოვის“ მარჯვენა ნახევარმცველი გიორგი რევაზიშვილია.

— გიორგი, მოდი ორიოდ სიტყვით იმაზე გვესაუბრე, თუ ვისი დამსახურებაა შენი სამარული ტრანსფერი...

— ამას, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ვოვა გუცაევს და ჩემს მენეჯერ ჰამლეტ კვარაცხელიას უნდა ვუმადლოდე. გუცაევს მეტად კარგი ურთიერთობა აკავშირებს „კრილიას“ მთავარ მწვრთნელ ავერიანოვთან. ჯერ მან შემაწია სიტყვა, მერე კი საქმეში მენეჯერიც ჩაერთო. ისიც უნდა გითხრათ, რომ თავიდან მხოლოდ სინჯები გავიარე სამარაში. ჩემთან ერთად ხუთი-ექვსი ახალწვეულიც გასინჯეს და ყველანი ივჯარით დაგვტოვეს. გამოსაცდელი ვადა სამ თვეს მოიცავდა, კონტრაქტი კი ახლალა გავაფორმე. როგორც ჩანს, ჩემით კმაყოფილი დარჩნენ, რახან სამწლიანი ხელშეკრულება შემომთავაზეს. მე და ჩემმა მენეჯერმა თათბირის შემდეგ გადავწყვიტეთ, სამწლიან კონტრაქტზე უარი გვეთქვა და მხოლოდ ერთწლიანი გავაფორმეთ.

— როგორი სიტუაცია დაგხვდა გუნდში? საერთოდ, როგორ შეეგუე იქაურებს და იქაურობას?

— მართალი გითხრა, სრულიად არ გამჭირვებია. „კრილიაში“ მეგობრული ატმოსფეროა, სამარელებიც პირდაპირ გიყვებიან ფეხბურთზე. ყოველ თამაშს დაახლოებით 20 000 კაცი ესწრება.

— შენს თანაგუნდელ ქართველებზე რას გვეტყვი?

— ფოფხაძეც, წიკლაურიც და მინაშვილიც ძირითადში თამაშობენ და გუნდის წამყვანი ფეხბურთელები არიან. მწვრთნელი ქართველებს კარგი თვალით გვიყურებს და ჩვენი იმედიც აქვს.

— გორის „დილაში“ თამაშისას ხალხმა გაგიცნო, როგორც შემჭმელი ფეხბურთელი, მერე ნაკრებში თამაშისას დაცვაში გადაგიყვანეს. ავერიანოვმა რა ამპლუა მოგიძებნა?

— მართალია, „დილაში“ და ახალგაზრდულ ნაკრებში სხვადასხვა პოზიციებზე მომიწია თამაშმა. ალბათ, მწვრთნელები ასე თვლიდნენ საჭიროდ, თვითონ მე კი არცთუ ძალიან გამიჭირდა ამპლუის შეცვლა. ის კი არა, მთელი სეზონი თავდამსხმელადაც ვთამაშობდი გორში. ავერიანოვმა „კრილიაში“ მარჯვენა ნახევარმცველად გამამწესა.

— რუსეთში მობურთალი ქართველი ლეგიონერებიდან ვისთან მოგიხდა დაპირისპირება?

— დემეტრაძის, წერეთლის, გოგიაშვილისა და გოგრიჭიანის წინააღმდეგ ვითამაშე, როცა „ალანიას“ და „ყუმჩუჟინას“ ვხვდებოდით.

— მაინც, ყველაზე მეტად რომელ ქართველ ფეხბურთელს აქებენ რუსები?

— ჯანაშიას, უდავოდ ჯანაშიას.

— რას გეგმავს თქვენი კლუბი ამ სეზონში და როგორ გგონია, შეძლებთ ჩანაფიქრის ასრულებას?

— როგორ ვთქვა, ამჟამად რუსეთის ჩემპიონატში მეტად დაძაბული სატურნირო მდგომარეობაა. მესამე ადგილზე მყოფი გუნდისგან მხოლოდ ექვსი ქულა გვაშორებს, ასევე ცოტა გვაშორებს აუტსაიდერებისგანაც... ერთი სიტყვით, შეიძლება ორი-სამი თამაში მოიგო და ლიდერებში „გაძვრე“ ან პირიქით, წააგო და ფსკერზე დაეშვა.

— საერთო დონე როგორია?

— ჩვენთან შედარებაც არ შეიძლება, ისეთი მაღალია მათი ჩემპიონატის დონე. ავსტრიულ, ბელგიურ და სხვა მსგავსი ქვეყნის ჩემპიონატებსაც სჯობს რუსული. ერთია, მე უფრო ტექნიკური ფეხბურთის მიმდევრად ვთვლი თავს და ცოტა არ იყოს, მიჭირს კიდეც რუსულ ფეხბურთთან შეგუება. იქ ხომ ძირითადად სირბილზე და ათლეტურ მომზადებაზე აკეთებენ აქცენტს.

— ახლა ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვისაუბროთ. შენი აზრით, რა შანსი აქვს ჩვენს გუნდს?

— მართალია, ძლიერ ჯგუფში გვიწევს გამოსვლა, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები — საბერძნეთისა და ნორვეგიის ნაკრებები არავისთვის წარმოადგენენ ბელწამოსაკრავ ძალას, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლებნი. ყოველ შემთხვევაში, ცდას არ დავაკლებთ. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ირაკლი ქავთარაძე: ფედერაციამ შესშეროზა აღიარა

მიუხედავად ფედერაციის ჩინოსანთა მტკიცებისა, „მრეტები“ არ დაჩაგრულაო, აღმასკომის გუშინწინდელი სხდომის შედეგით ყველაზე უკმაყოფილო ამ კლუბის წარმომადგენლები დარჩნენ — სხდომის დამთავრებისთანავე პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ დატოვეს ფედერაციის შენობა. „მრეტების“ პრეზიდენტ ირაკლი ქავთარაძეს შეხვედრებისამებრ გუშინ შევხვდით.

— აღმასკომის გადაწყვეტილებაზე რა აზრის ხართ?

— ფედერაციამ ხელები დაიბანა. მათ ყველაფერი წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული. რადგან საქმეში ფიფაა ჩართული, ფედერაციამ თავისი ხელით არ გაწირა „დინამო“ და ამ საქმის გარკვევა ფიფასვე გადააბარა. აქ თითქოს ის მოტივია, რომ ხალხის ცნობიერებაში არ ვჯდება, „დინამოს“ მოკვეთა და სწორედ ამიტომ გადაწყდა საქმე ამგვარად.

— ამ მოსაზრებას, ცხადია, არ ეთანხმებით...

— როგორ შეიძლება საკითხის ასე დაყენება. რა შუაშია აქ ხალხის ცნობიერება... უბრალოდ, ფედერაციამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი უსუსურობა. მან პირველი გადაწყვეტილება ასე ხელაღებით შეცვალა. კვინიკაძემ პირდაპირ თქვა, არ გვეყო ძალა წინა გადაწყვეტილების შესასრულებლადო.

— ელოდით, რომ აღმასკომი ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა?

— ვიცოდი, რომ რაღაც მოხდებოდა. გული მიგრძნობდა. აღმასკომამდე რამდენიმე დღით ადრე კვინიკაძეს ვესაუბრე. მან დაადასტურა თავისი ადრე ნათქვამი. არაფერი შეიცვლება, უბრალოდ, ფიფას აღმასკომის შედეგებს ვაცნობებთო. კაცი ამას მეუბნება და რამდენიმე დღის შემდეგ საპირისპიროს აკეთებს. ვფიქრობ, ყოველივე აღმასკომამდე გაცილებით ადრე გადაწყდა.

— როგორ ფიქრობთ, რაიმე გარიგება ხომ არ მოხდა?

— დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი. ისე „ხალხის ცნობიერებაზე“ ზრუნვა არადამჯერებელ მოტივად მეჩვენება. „დინამოს“ მეც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ საკითხის ასე გადაწყვეტა მართებულად არ მიმაჩნია... მე აღმასკომზე პირდაპირ განვაცხადე, რომ ისევ ის მრეტი ვარ და ისევ ის ირაკლი ქავთარაძე, ვინც მაშინ ვიყავი. ისინი კი საპირისპიროს მეუბნებიან... ვაკის სასამართლოს სხდომისას გვერდით ოთახში გავიარეთ რეგისტრაცია, უბრალოდ, კოოპერატივი გადაკეთდა ერთი პირის საწარმოდ და აი, ამაზე იყო ლაპარაკი და არა ბოიმელზე და სხვაზე.

— ფრიდრიხ ბოიმელზე ამბობენ, ქართველიაო...

— არა, რას ამბობთ. იგი გერმანელია. პირველად მესმის... მგონი, სახელიც და გვარიც გერმანული აქვს.

— თქვენ თუ შეხვედრიხართ მას პირადად, საერთოდ ვინ არის და რა კავშირი აქვს „მრეტებთან“?

— იგი „მრეტების“ დამფუძნებელია. პირადად არასდროს შევხვედრივარ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იგი გერმანიაში ცხოვრობს და იურიდიული ფირმის მფლობელია.

— მასთან დაკავშირება როგორ მოხდა?

— ეს ვაჟა ჩხაიძემ უფრო იცის. მოგვხსენებათ, იგი გერმანიაში ცხოვრობს და ბოიმელთან დაკავშირებაც იქ მოახერხა.

— ამჟამად რას აპირებთ?

— ჩვენ სხდომის დამთავრებისთანავე მოვითხოვეთ აღმასკომის დადგენილება. ამას რამდენიმე დღეში გაეგზავნით ფიფაში და მათ გადაწყვეტილებას დაველოდებით. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება. სხვა საქმეა, რა შედეგებს მოიტანს ეს ყოველივე. ვეთანხმები ნოდარ ანდრიაძეს. მისი შიში უსაფუძვლო არ არის. შეიძლება, ფიფამ გარკვეული სანქციები დააკისროს სფფ-ს. რაც შეეხება „დინამოს“, ვფიქრობ, ჩვენთვის კუთვნილი თანხის გადახდა მაინც დაეკისრება ფიფას მიერ დადგენილ ვადაში.

ირაკლი ქავთარაძე

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის მსგავსად, „მრეტების“ პრეზიდენტსაც მიაჩნია, რომ აღმასკომის ბოლო გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ფიფამ შესაძლოა სფფ-ს უსუსურობა დაუსჯელი არ დატოვოს. „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძის აზრით კი, აღმასკომის გადაწყვეტილება სამართლიანია და არანაირ სანქციას ფიფა არ დაგვაკისრებს. მეტიც, შოთაძე ფიქრობს, რომ ფიფას განარჩენი აღმასკომის გადაწყვეტილების მსგავსი იქნება და საქმეც ამით დასრულდება.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ჩიგო ჯონიმ იხმო

შარშანდელ სეზონში ქართულ გუნდებს შორის ყველაზე მეტად თბილისის „მერანი“ დაზარალა სფფ-ს სადისციპლინო კომისიის სადამსჯელო გადაწყვეტილებებმა. ავჭალელებს შვიდი ქულა ხომ ჩამოართვეს, თან ორიოდ წამყვანი ფეხბურთელის დისკვალიფიკაციაც ზედ დაუმატეს. დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელთა შორის დავით ჩიგოშვილის გვარიც ფიგურირებდა — მას წლის ბოლომდე აღეკვეთა მწვანე მინდორზე ბურთის გორება. ეს სასჯელი დათომ „მერანი“ — „კოლხეთის“ შეხვედრაში მიიღო.

ამჟამად ჩიგოშვილი კვლავ მწყობრშია და როგორც თვითონ გვითხრა, „გურიაში“ გააგრძელებს კარიერას — ლანჩხუთიდან ჯონი ჯანელიძე შემეხმიანა და „გურიაში“ მიმიწვია, მეც გადავწყვიტე იქ ვითამაშო.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ინგლისური ინგლისში!

რუსთაველის №17. ტ: 98 37 10

① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით

② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში

③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა

④ მისაღები ფასები

საქართველოს ჩემპიონატი 7 ტური

დაუმარცხებელთა დუელი

დღეს ჩემპიონატის მეშვიდე ტური იწყება. ცენტრალური შეხვედრა კი უდავოდ ხვალ მცხეთაში გაიმართება. იმედია ჯერ-ჯერობით დაუმარცხებელნი „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ უშეღავათო ბრძოლას გააჩაღებენ. დანარჩენი თამაშებიდან საინტერესო იქნება ზუგდიდური მატჩიც. სადაც ტილბურგიდან დაბრუნებული „დინამო“ იბურთავებს

მცხეთა
20 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
3 000

ლოკომოტივი — ტორპედო

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი);
ზ. დოლიძე, ა. მეშკოვი;
ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

ეს არაა მხოლოდ ტურის ცენტრალური მატჩი. ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს ისე როგორც ორივე გუნდისთვის, ასევე ქართული ფეხბურთის მომავლისთვის. 20 სექტემბერს მცხეთაში უნდა გადაწყდეს, თუ რომელი კლუბი გაუწევს წლევანდელ საიუბილეო ჩემპიონატში ღირსეულ წინააღმდეგობას „დინამოს“. „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ დღეისთვის საქართველოს ჩემპიონისთვის ყველაზე მეტად ანგარიშგასაწევ მეტოქეებად უნდა ჩაითვალონ. სწორედ ამ გუნდებმა უნდა შეძლონ და ქართულ ფეხბურთს სასიამოვნო ინტრიგა შემატონ, გულშემატკივრებს დაუვიწყარი წუთები აჩუქონ, ხოლო „დინამოს“ ერთმმართველობას საძირკველი შეურყიონ. ასე რომ, არაგვისა და მტკვრის შესართავთან უშეღავათო ბრძოლა გველის, ბრძოლა, რომლის დარიც წლევანდელ სეზონში ჯერ არ ყოფილა. დაუმარცხებელთა დუელი — მისი პროგნოზირება წარმოუდგენელია.

„ტორპედოს“ ბოლო ორ ჩემპიონატში ერთი არასასურველი ტრადიცია დასჩემდა. გუნდი პირველ წრეს რატომღაც ძალიან სუსტად იწყებდა, სეზონის მეორე ნახევარში კი ცდილობდა დაკარგულის ანაზღაურებასა და ევროთასების საგზურისათვის ბრძოლას. წლეულს იმერლებმა ტრადიცია დაარღვიეს და ბრწყინვალე სტარტი აიღეს, თანაც თამამად განაცხადეს, ჩემპიონობა გვსურსო. ამბიციამოძალებულს, სამწვრთნელო და ფინანსური პრობლემები გამოუჩნდა, მაგრამ ორივეს დროულად მოუარეს. დიდი თეორიული გამოცდილების მქონე ჯემალ ხერხაძემ ჯერჯერობით დაამტკიცა, რომ საქმეშიც არავისზე ნაკლებია.

„ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ შარშანაც ოთარ გუნთაძემ იმსაჯა

„ლოკომოტივი“ შარშანდელი ჩემპიონატის დებიუტანტი იყო. გუნდმაც გათამაშება ერთობ სუსტად დაიწყო და აუტსაიდერად მოგვევლინა. სწორედ მაშინ რკინიგზელებმა თემურ მახარაძეს უხმეს საშველად და შედეგიც სახეზეა — კლუბმა მეექვსე საფეხურზე დაასრულა სეზონი. წლეულს კი მადა ჭამაში მოუვიდათ. გორის „დილადან“ გადმობირებული ფეხბურთელებით გაძლიერებულებმა საპრიზო ადგილები ამოიღეს მიზანში. მახარაძეც ინარჩუნებს ერთ-ერთი ნიჭიერი ქართველი მწვრთნელის იმიჯს.

ხვალინდელ შეხვედრაში ბევრი რამ სწორედ გუნდის თავკაცებზეა დამოკიდებული. მათ მიერ სწორად არჩეული ტაქტიკა თავიდანვე განსაზღვრავს მატჩის დებიუტს, თუმცა ყოველივე მინდორზე უნდა გაირკვეს და თუ მსაჯი სამართლიანად იმსაჯებს, უდავოდ მაღალი კლასი გაიმარჯვებს.

„ტორპედოც“ და „ლოკომოტივიც“ თავის საბრძოლო შემადგენლობას გამოიყვანს, რადგან ტრავმირებულნი და დისკვალიფიცირებულნი არცერთს ჰყავს. ოდნავი ფსიქოლოგიური უპირატესობა აქვთ ქუთათურებს, რადგან მათ ლიბერო ჩხაბერიძის გარეშეც ნახევარი ძალით მოუგეს წინა ტურში „იბერიას“ და ძალებიც შემოინახეს. რკინიგზელები კი მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ არმიელებისგან. დაძაბულ და მეტად ხისტ თამაშში მხოლოდ ქულის აღება მოახერხეს.

მცხეთაში დიდი ხალხმრავლობაა მოსალოდნელი. არ არის გამორიცხული, ქუთათურ ფანებსაც მოვკრათ თვალი.

შარშანდელ სეზონში „ტორპედომ“ აშკარად დაჯაბნა „ლოკომოტივი“ და ორივე მატჩი მოუგო. აი, ხვალ კი შეიძლება ამ გუნდებს შორის პირველი ფრეც დაფიქსირდეს, რადგან დღემდე დაუმარცხებელი ორივე გუნდი უფრო იმაზე იზრუნებს, როგორმე გოლი არ გაუშვას.

ფოთი
19 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
6 000

კოლხეთი — მერანი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი;
ნ. რუსიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი);
მ. ჯულაყიძე (სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: ჯ. ანთიძე

ამ მატჩში ფავორიტებად ზღვისპირელები ითვლებიან. ევროპაში შერცხვენის შემდეგ ფოთელები თანდათანობით გამოდიან შოკიდან და ფორმას იბრუნებენ, რასაც „გურიასთან“ და „სამგურალთან“ მოპოვებული იოლი გამარჯვებებიც მოწმობს. თუმცა ცხრილში ჩვეული პოზიციების დასაბრუნებლად საკმაო ოფლის ღვრა მოუწევთ. კოლხები „მერანს“ დასვენებულნიც დაუხვდებიან, რადგან წინა ტურში მათი მეტოქე (თბილისის „დინამო“) ევროტურნირებზე მონაწილეობდა. რაც შეეხება „მერანს“, მართალია ტრანსპორტელებმა მხოლოდ ერთი მარცხი იწვნიეს, ისიც ქვეყნის უცვლელი ჩემპიონისგან, მაგრამ მათი თამაში უკეთესის სურვილს ტოვებს, წინა ტურშიც თსუ-სთან „სინათლეზე“ მატჩის მიწურულს მათი გადამრჩენელი სულიკო დავითაშვილის გატანილი ბურთით იმარჯვეს. თბილისელებს უკვე ოთხი მატჩია, არ წაუგიათ და, ბუნებრივია, თავს არც ფოთში დაზოგავენ.

ბოლნისი
19 სექტემბერი
17 საათი
თემურ სტეფანია
3 000

სიონი — არსენალი

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი);
ლ. რაზმაძე (გორი), ა. ორდენიძე (ონი);
გ. მგელაძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

გათამაშების აუტსაიდერთა შეხვედრა ერთობ დაძაბულ ორთაბრძოლას გვპირდება. თუ „არსენალმა“ შედარებით გამოიკეთა სატურნირო მდგომარეობა და თამაშსაც საგრძნობლად მოუმატა, „სიონმა“ პირიქით უკუსვლა დაიწყო. ბოლნისელებმა მწვრთნელთან ერთად ვეტერანი პოზოიანიც დაითხოვეს გუნდიდან. ამანაც ვერ უშველა და რუსთავშიც უსური თამაში აჩვენეს. მათ ამ შეხვედრაში სრული მობილიზება მართებთ, თორემ პირველი ჯგუფიდან გავარდნის ერთ-ერთი რეალური კანდიდატები არიან. არმიელები წინა ტურში მედგრად დაუხვდნენ ამბიციურ რკინიგზელებს და ორი ქულა დააკარგვინეს.

ბოლნისელი ფანები საგანგებოდ ემზადებიან, რათა ქომაგობა არ მოაკლონ თავიანთ საყვარელ გუნდს. მათ კარგად უწყიან, რომ „სიონს“ უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს.

ამ მატჩის შედეგი დიდად იქნება დამოკიდებული მსაჯთა ობიექტურობაზე.

სამტრედია
19 სექტემბერი
17 საათი
ეროსი მანჯგალაძე
15 000

იბერია — გურია

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი);
ს. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი;
ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ა. დურსუნიში

რიხიანად დაწყებული სტარტის შემდეგ სამტრედიელებმა საგრძნობლად უკლეს. ბოლო ორ შეხვედრაში მათ ქულაც არ აუღიათ და დანაკლისის ანაზღაურებას ალბათ, საკუთარ მინდორზე „გურიასთან“ შეეცდება. რა შეუძლია ფულს, ეს ლანჩხუთელთა მაგალითზეც ნათლად გამოჩნდა. ხელფასმიუღებელი ფეხბურთელები ბოლო დროს იმუქრებოდნენ, მოედანზე არ გავალთო, ხელმძღვანელთა ხვეწნა-მუდარის შემდეგ კი თამაშობდნენ, მაგრამ სულ მარცხდებოდნენ. ზედიზედ სამმა წაგებამ, ეტყობა, დააფიქრა გუნდის თავკაცობა, ხელფასის ნაწილი გაუსტუმრეს ფეხბურთელებს. რაც მათ თამაშზეც უმალ აისახა — წინა ტურში „ვიტ ჯორჯიას“ ძლევას ცოტა თუ ელოდა. ამ მატჩში ფავორიტად „იბერიას“ მივიჩნევთ, თუმცა ისიც ფაქტია, სამი ქულის მოსაპოვებლად სამტრედიელებს დაპურებულ გურულებთან გვარიანი ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

მცხეთა
19 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
3 000

ვიტ ჯორჯია — დილა

მსაჯები: ა. შილაკაძე;
ა. ქარქაშაძე, მ. ელიკაშვილი;
მ. მალალურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

ვიტელებმაც და გორელებმაც ისე დაიწყეს სეზონი, რომ ამ გუნდების შეხვედრა ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ პაექრობას გვიქადდა, მაგრამ ბოლო ორ ტურში ორივემ მარცხი განიცადეს და უფერული თამაში გვაჩვენეს. ქართლელებმა ზუგდიდში ნაწნევ პირველ წაგებას შინ ბათუმთან დაკარგული სამი ქულაც მიაყოლეს, ხოლო ვეტერინარებმა მცხეთაში დათმეს „ტორპედოსთან“ და შემდეგ აუტსაიდერ „გურიას“ ლანჩხუთში ვერაფერი მოუხერხეს.

ასე რომ, ორივე გუნდი შეეცდება, შეწყვიტოს ზედიზედ წაგებული მატჩების სერია და ყოველ ღონეს იხმარს, გამარჯვების მისაღწევად.

შარშანდელ სეზონში „ვიტ ჯორჯიამ“ ორივე შეხვედრაში დაამარცხა გორელთა არც თუ ურიგო კლუბი, რაც, დაგვეთანხმებით, ქართული გუნდებისთვის იშვიათი მიღწევაა.

ვნახოთ, რომელი გუნდი მოახერხებს და შეძლებს უკუსვლა შეაჩეროს.

ზუგდიდი
20 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
7 500

ოდიში — დინამო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი);
კ. გაბრიაძე, ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი);
ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

ზუგდიდური მატჩი დაძაბულ ბრძოლას გვპირდება, ყოველ შემთხვევაში, იშვიათი გამონაკლისების გარდა ასე ხდება. ერთ-ერთი ასეთი იშვიათობა მეცხრე ჩემპიონატში მოხდა. მაშინ „დინამომ“ პირწმინდად დაჯაბნა მასპინძლები, როდესაც 5:1 მოუგო. თუმცა იგივეს გამეორება ამჯერად ნაკლებადაა მოსალოდნელი, რადგან ჯერ ერთი „ოდიში“ სოსო ჭედიას მისვლამ საგრძნობლად მოაღონიერა, ხოლო „დინამო“ სამშაბათს ტილბურგში განადგურების შემდეგ გარკვეულწილად სტრესში იქნება. საერთოდ „ოდიში“ ერთ-ერთი იმათგანია, ვისთანაც თბილისელებს ყველაზე მეტად უჭირთ გასვლაზე თამაში. სამი წლის წინანდელიც გემახსოვრებათ, როდესაც ზუგდიდური 2:2-ის შემდეგ „დინამოს“ ჩემპიონობა საეჭვო გახდა, მათ ფედერაციაში აპელაციაც შეიტანეს, მაგრამ საბოლოოდ დინამოელებს მხსნელად ისევ რუსთავში ვერმომგები კონკურენტი „სამტრედია“ მოევლინათ. ასე რომ, ზუგდიდში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

ბათუმი
21 სექტემბერი
17 საათი
დინამო
18 000

ბათუმი — სამგურალი

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი);
გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია);
ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

ბოლო ორ ტურში ზედიზედ ორი მოგებით „ბათუმი“ გვარიანად ამაღლდა სატურნირო ცხრილში. მოწინააღმდეგე კი — პირიქით. კარგი სტარტის შემდეგ წყალტუბოელებმა ზედიზედ სამი მარცხი განიცადეს და ცხრილში მე-12 საფეხურამდე დაეშვნენ, მაგრამ წინა ტურში „ოდიშთან“ გამარჯვებამ იმერლებს ცოტა გამოუსწორა ხასიათი. ამ მაჩვენებლით თუ ვიმსჯელებთ, ორივე გუნდი აღმავლობის გზას ადგას და მატჩიც საინტერესო უნდა გამოდგეს. მაგრამ სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, ვნახავთ, რომ ბოლო ორ ჩემპიონატში „სამგურალმა“ მხოლოდ ორი ქულა აართვა მოწინააღმდეგეს და ორივე შინ. სტუმრად კი ორივე შემთხვევაში დიდი ანგარიშით დამარცხდა. აქედან გამომდინარე, მასპინძლებს არ უნდა გაუჭირდეთ სტუმართა ძლევა. თავის მხრივ „სამგურალი“ შეეცდება, სტუმრად ქულის მოპოვებით ნავსი გატეხოს და შეამციროს „ბათუმთან“ ურთიერთშეხვედრებში არსებული უარყოფითი მაჩვენებელი.

მცხეთა
21 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
3 000

თსუ — გორდა

მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი);
ზ. მენთეშაშვილი, ზ. დოლიძე;
ზ. დარჩია (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: გ. გვანცელაძე

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში მეცხრე ეროვნულში სტუდენტებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ — ორივე მატჩში იმარჯვეს. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში იყო. შარშანდელი ჩემპიონატის მერვეადგიოლსნისთვის ექვს მატჩში ერთი მოგება, დაგვეთანხმებით, სავალალო შედეგია და ამჟამად მისთვის ყოველ ქულას გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს. დალხინებულნი არც რუსთაველები არიან. ნახევრადმშიერი „გორდა“ ხომ ერთადერთი გუნდი იყო, რომელსაც წინა ტურამდე გამარჯვება არ ეგემნა. მდგომარეობას ისიც ამძაფრებდა, რომ „გორდას“ ხელმძღვანელთა განცხადებით, „მერანთან“ და „სამგურალთან“ მარცხი არაობიექტური მსაჯობით იყო გამოწვეული. ძლევით კი რუსთაველებმა თავისნაირებს — ბოლნისელებს სძლიეს. ამ გამარჯვებამ „გორდა“ ბოლოდან მე-14 ადგილზე აღაზევა, მისი ადგილი კი ზეგინდელმა მეტოქემ დაიკავა „მერანთან“ მარცხით, თუმცა არც იმის უთქმელობა იქნება, რომ სტუდენტები არ იმსახურებდნენ წაგებას, ფორტუნას ზურგი რომ არ ექცია. გეოგრაფიულად და სატურნირო ცხრილის მიხედვითაც მეზობელთა პაექრობა საინტერესო უნდა გამოდგეს.

საქართველოს ჩემპიონატი 6 ტური

12 სექტემბერი, შაბათი

დილა	0
ბათუმი	1
სამგურალი	1
ოდიში	0
გორდა	3
სიონი	1
დინამო	გადაიდო
კოლხეთი	

13 სექტემბერი, კვირა

ტორპედო	4
იბერია	0
გურია	2
ვიტ ჯორჯია	0
მერანი	1
თსუ	0

14 სექტემბერი, ორშაბათი

არსენალი	0
ლოკომოტივი	0

VIII ტური
25 სექტემბერი. პარასკევი
დინამო — ბათუმი
26 სექტემბერი. შაბათი
გურია — ლოკომოტივი
დილა — იბერია
სამგურალი — ვიტ ჯორჯია
მერანი — ოდიში
გორდა — კოლხეთი
სიონი — თსუ
27 სექტემბერი. კვირა
არსენალი — ტორპედო

		სულ							შინ							სტუმრად						
№	#	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო (4)	3	5	4	1	0	17:6	+11	13	3	2	1	0	12:4	+8	7	2	2	0	0	5:2	+3	6
2 დინამო (1)	1	4	4	0	0	21:4	+17	12	3	3	0	0	18:3	+15	9	1	1	0	0	3:1	+2	3
3 ლოკომოტივი (6)	2	6	3	3	0	8:3	+5	12	2	2	0	0	4:0	+4	6	4	1	3	0	4:3	+1	6
4 დილა (9)	4	6	3	1	2	7:5	+2	10	3	2	0	1	4:2	+2	6	3	1	1	1	3:3	0	4
5 იბერია (დ)	5	6	3	0	3	12:14	-2	9	2	1	0	1	5:4	+1	3	4	2	0	2	7:10	-3	6
6 მერანი (7)	8	6	2	3	1	7:7	0	9	4	1	3	0	2:1	+1	6	2	1	0	1	5:6	-1	3
7 ბათუმი (2)	10	6	2	2	2	10:8	+2	8	3	1	1	1	5:2	+3	4	3	1	1	1	5:6	-1	4
8 კოლხეთი (3)	7	5	2	1	2	9:9	0	7	3	2	1	0	7:2	+5	7	2	0	0	2	2:7	-5	0
9 ვიტ ჯორჯია (10)	6	6	2	1	3	6:6	0	7	2	1	0	1	5:3	+2	3	4	1	1	2	1:3	-2	4
10 გურია (14)	12	6	2	1	3	7:11	-4	7	3	2	0	1	5:2	+3	6	3	0	1	2	2:9	-7	1
11 სამგურალი (12)	13	6	2	1	3	4:9	-5	7	3	2	0	1	2:1	+1	6	3	0	1	2	2:8	-6	1
12 ოდიში (5)	9	5	2	0	3	4:7	-3	6	2	1	0	1	2:2	0	3	3	1	0	2	2:5	-3	3
13 არსენალი (დ)	11	6	1	3	2	4:10	-6	6	3	0	2	1	2:5	-3	2	3	1	1	1	2:5	-3	4
14 გორდა (11)	16	5	1	2	2	5:5	0	5	3	1	1	1	4:3	+1	4	2	0	1	1	1:2	-1	1
15 სიონი (13)	14	6	1	1	4	9:19	-10	4	3	1	1	1	7:6	+1	4	3	0	0	3	2:13	-11	0
16 თსუ (8)	15	6	1	0	5	3:10	-7	3	3	0	0	3	2:7	-5	0	3	1	0	2	1:3	-2	3

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში

Cup Winners' Cup

ფავორიტების მოკრძალება

თასების თასის მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა

ნიკოლას დაბიზასის გოლმა, თამაშის დამთავრებამდე 19 წუთით ადრე რომ გავიდა, „ნიუკასლ იუნაიტედს" „პარტიზანთან" შეხვედრაში გამარჯვება კი მოუტანა, მაგრამ ისეთი, საპასუხო შეხვედრის ჩასატარებლად ბელგრადს გულარხეინად რომ ვერ ჩავა — 2:1. მშობლიურ „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" გაშვებულმა გოლმა რუუდ გულიტის მოთამაშეებს ორი კვირის შემდეგ შეიძლება ძალიან ცუდი სამსახური გაუწიოს.

მასპინძლებმა ანგარიში მე-12 წუთზე გახსნეს. ცნობილმა თავდამსხმელმა ალან შირერმა სტიუარტ პირსის პასით დალაშქრა „პარტიზანის"კარი. პრემიერლიგისა და ინგლისის თასის 10 შეხვედრაში ხელმოცარვის მერე ეს გოლი შირერისთვის ზედიზედ მეორე მატჩში მესამე გახლდათ.

შეხვედრის პირველ მონაკვეთში გატანილი გოლი ნებისმიერი გუნდისთვის დიდი უპირატესობაა. ის საკუთარი თავის რწმენას იძლევა, მაგრამ „პარტიზანი" ერთობ უკომპრომისო მოწინააღმდეგე გამოდგა და ყოჩაღი ნახევარდაცვის წყალობით მასპინძლებს ცოტა უკანაც დაახევინა.

ამ ნახევარდაცვის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი გახლდათ ჯორდე ტომიჩი, ფეხბურთელი, რომელიც იუგოსლავიის ჩემპიონატის ბოლო ტურში, თამაშის წინა მოთელვის დროს ამტყდარ ჩხუბში მოწინააღმდეგე გუნდის ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ნოკაუტში ჩააგდო. იმ დღეს სტადიონზე 20 ათასი ქომაგი იყო და თითქმის ყველა მოედანზე გაიჭრა საჩხუბრად, მაგრამ ყველაფერი რომ ჩაცხრა, „პარტიზანმა" ძალა მოიკრიბა და ეროვნული პირველობის ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა.

სტუმართაგან განსხვავებით, „ნიუკასლს" პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს მოგებული, „საუთჰემპტონთან" 4:0. იმ შეხვედრასთან შედარებით რუუდ გულიტმა შემადგენლობაში ერთი ფეხბურთელი შეცვალა. ფილიპ ალბერის ნაცვლად მოედანზე დაბიზასი შეუშვა.

გულიტი კვლავ ენდო ანდრეას ანდერსონს. ანდერსონმა სტუმრებს მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებებით გვარიანი სირთულეები შეუქმნა. მარცხნიდან ამასვე უკეთებდა სტივენ გლასი. მოკლედ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მასპინძლები მეორე გოლს ამზადებდნენ.

პირველი ნახევრის შუაში თემურ ქეცბაიამ „პარტიზანის" დაცვა გახლიჩა და გარი სპიდს გადააწოდა ბურთი, მაგრამ ბრანკო სავიჩის დროულმა თავგანწირვამ „ნიუკასლი" კუთხურსლა დააჯერა.

ერთი ხნის შემდეგ სპიდმა კიდევ ერთი კუთხური მოინადირა. იქიდან ქეცბაიას ჩაწოდებულს შირერმა თავური დაჰკრა, მაგრამ ბურთი მცველმა აისხლიტა.

მეორე ნახევარში „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" შეკრებილი 26559 მაყურებელი (ჩვეულებრივ რაოდენობაზე 10 ათასით ნაკლები) კინაღამ სიხარულისგან წამოხტა, მაგრამ შირერის თავურის შემდეგ შექმნილ მომენტში, (სადაც სპიდს შეეძლო გოლის შეგდება) „პარტიზანის" მეკარემ დამიანიჩმა ივარგა.

ბელგრადელებსაც ჰქონდათ შანსი. საშა ილიჩმა გორა ობრადოვიჩს მიაწოდა სახეირო პასი, ობრადოვიჩი უმეთვალყურეოდ იყო დარჩენილი, მაგრამ მისი დარტყმა მიზანს აცდა.

სტუმრებმა მაინც გაიტანეს თავისი. 68-ე წუთზე სტიუარტ პირსმა ბერკოვიჩის წაქცევისთვის პენალტი დაიმსახურა. თერთმეტი მეტრიდან გოლი მცველობდით — თქვა მატჩის შემდეგ „ლოკომოტივის" თავკაცმა, იური სიომინმა.

კიეველ არმიელთა მწვრთნელი ვლადიმერ ბესონოვი: — ჩემმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გამოცდილ მოსკოველებთან წააგეს, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში დასაკარგავი ხომ არაფერი გვაქვს და ამიტომ ვგონებ, საგრძნობლად უკეთ ვითამაშებთ.

თასების თასის ახალი გათამაშების ფავორიტთაგან იტალიურმა „ლაციომ" უეფას თასის დამარცხებულმა ფინალისტმა, შინ „ლოზანას" ვერ მოუგო — 1:1. რომაელებს შეხვედრის მეორე წუთზე დეიან სტანკოვიჩი გაუძევეს მოედნიდან.

ანგარიში 37-ე წუთზე მასპინძელთა ჩეხმა მოთამაშემ, პაველ ნედვედმა გახსნა. მან თავური გოლი შეაგდო, მაგრამ მეორე ტაიმის დაწყებიდან ცხრა წუთში, ფილიპ დუგლასმა მარკ ჰოტიგერის ჩაწოდებულ ბურთს „ლაციოს" კარში მიუჩინა ადგილი.

— დღეს ფრე ძალიან კარგ შედეგად უნდა მივიჩნიოთ, რადგან თითქმის მთელი შეხვედრა რიცხობრივ უმცირესობაში ჩავატარეთ — თქვა მატჩის შემდეგ იტალიელთა მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა.

თასის მფლობელმა, ლონდონურმა „ჩელსიმ" შვედურ „ჰელსინგბორგს" უმასპინძლა და 1:0 მოუგო. გოლი მსოფლიოს ჩემპიონმა, ფრანგმა მცველმა ფრანკ ლებეფმა საჯარიმო მოედნის კიდესთან დანიშნული ჯარიმიდან გაიტანა. ჯარიმა ზორან იოვანოვსკის მიერ ბრაიან ლაუდრუპის წაქცევისთვის დაინიშნა.

„ჩელსის" მოთამაშე მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ იმ საღამოს „საკუთარი თავი ათამაშა", მაგრამ პირველ ტაიმშიც გაუშვა ხელიდან რამდენიმე შესაძლებლობა და მეორეშიც.

„ჰელსინგბორგს" საუკეთესო მომენტი 27-ე წუთზე ჰქონდა, როდესაც მარკუს ლანცმა (გასულ სეზონში „ჩელსიში" რომ გამოსცადეს, მაგრამ არ დაიტოვეს) ლონდონელთა რუს გოლკიპერს დმიტრი ხარინს ტანში გაარტყა ბურთი.

„პარი სენ ჟერმენმა" ჰაიფას „მაკაბისთან" მშობლიურ „პარკ დე პრენსზე" 1:1 ითამაშა. მოგეხსენებათ, ეს მატჩი პარიზელთა მწვრთნელისთვის, წარსული დროების დიდებული ფეხბურთელისთვის, ალენ ჟირესისთვის ევროთასებზე სადებიუტო იყო, დებიუტი კი ყოველთვის ძნელია.

ისრაელელთა 17 წლის მოთამაშემ იოსი ბენაიუნმა ოფორ კოპელის საუცხოო გადაცემის შემდეგ ბურთი გამართული დარტყმით შეადო ორჯერ უფროსი და ცნობილი ბერნარ ლამას კარში და საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში, რომელიც 82-ე წუთზე პენალტით იტალიელმა მარკო სიმონემ გახსნა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ერთხმად აღიარეს ჰაიფელთა 21 წლის მეკარე, ნირ დავიდოვიჩი.

ბაბუნა ძიდია

REUTERS პარიზიდან

პსჟ — მაკაბი ჰაიფა. თავგატეხილი ადორამ კეისი პარიზელ ჟიმი ალჟერინოს არაფერს უთმობს

თასების თასი. მეთექვსმეტედფინალი
პირველი მატჩები. 17 სექტემბერი

Cup Winners' Cup

ცსკა (უკრაინა) — ლოკომოტივი (რუსეთი) 0:2
ნიუკასლი (ინგლისი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 2:1
რუდარი (სლოვენია) — ვარტეკსი (ხორვატია) 0:1
პანიონიოსი (საბერძნეთი) — ჰაკა (ფინეთი) 2:0
რიდი (ავსტრია) — მტკ (უნგრეთი) 2:0
ლევსკი (ბულგარეთი) — კოპენჰაგენი (დანია) 0:2
ჰერენვენი (ჰოლანდია) — ამიცა (პოლონეთი) 3:1
ჰართსი (შოტლანდია) — მალიორკა (ესპანეთი) 0:1
ჩელსი (ინგლისი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) 1:0
დუისბურგი (გერმანია) — გენკი (ბელგია) 1:1
ბეშიქთაში (თურქეთი) — სპარტაკი (სლოვაკეთი) 3:0
რაპიდი (რუმინეთი) — ვალერენგა (ნორვეგია) 2:2
აპოლონი (კვიპროსი) — იაბლონეცი (ჩეხეთი) 2:1
ლაციო (იტალია) — ლოზანა (შვეიცარია) 1:1
პსჟ (საფრანგეთი) — მაკაბი ჰაიფა (ისრაელი) 1:1
მეტალურგსი (ლიეპაია, ლატვია) — ბრაგა (პორტუგალია) 0:0

რომენჰოთა ჯორდი?

ჯორდი კრუიფი

წარსულში ცნობილი ფეხბურთელის იოჰან კრუიფის ვაჟი ჯორდი, რომელიც თამაშის ხარისხით მამამისს ვერც კი შეედრება, მეტად აღშფოთებული ყოფილა.. საქმე ისაა, რომ ინგლისურ პრესაში ერთი ამბავია ატეხილი, ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩის წინ, სადაც ერთმანეთს პატარა კრუიფის ყოფილი და ამჟამინდელი კლუბები, „ბარსელონა" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ხვდებოდნენ, ჯორდი ადგა და კატალონიელებს ინგლისელთა ტაქტიკური მონახაზი და სხვა საიდუმლოებანი გაანდოო. გაზეთებში ისიც წერია, მან ეს იმიტომ გააკეთა, მანჩესტერელთა შოტლანდიელი თავკაცი ალექს ფერგიუსონი კრუიფს ძირითადში არ აყენებს და მისი მოთმინების ფიალა აივსოო.

ერთ-ერთმა პოპულარულმა გაზეთმა კი კონკრეტული ფაქტების მოყვანა სცადა და მისმა ჟურნალისტმა განაცხადა, თითქოს 24 წლის ფეხბურთელი „ბარსელონას" ჰოლანდიელ მეკარე რუუდ ჰესპს შეხვდა და ყველაფერი ჩაურაკრაკა. მოკლედ, ინგლისში ერთგვარი ანტიკრუიფული კამპანიაა გაჩაღებული. ამას, ბუნებრივია, დიდი ჰოლანდიელის ვაჟი არ შეეგუა და მეორე დღესვე პრესასა და ტელევიზიაში განაცხადა, ყველაფერი სისულელეა, რაებს ბოდავთო. მან აგრეთვე ალექს ფერგიუსონს და თავის თანაგუნდელებს თხოვნით მიმართა, რათა ეს უკანასკნელნი მხარში ამოდგომოდნენ და შელახული რეპუტაციის აღდგენაში დახმარებოდნენ. კერძოდ, ჯორდი კრუიფმა ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა: „ბარსელონას" ფეხბურთელებთან „იუნაიტედის" შესახებ არასდროს მისაუბრია. ეს სრული აბსურდია და ვინც ეს შეთითხნა, ჩემი სახელის გატეხვას ცდილობს. როდესაც გაზეთები წავიკითხე, პირღია დავრჩი, რადგან ამის გაკეთება არც კი მიფიქრია. ჰკითხეთ თავად ჰესპს და ნახავთ, რასაც გეტყვით. ჩემი სახელი და კაცობა ძალიან ძვირად მიღირს, მის შელახვას არავის ვაპატიებ. არსებულ სიტუაციაში რა უნდა ვიღონო, ვერ წარმომიდგენია, რადგან პირველად მოვხვდი ასეთ მძიმე მდგომარეობაში. თუმცა პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგი და კლუბის (მანჩესტერ იუნაიტედის) ყველა წევრს ვთხოვე, მხრაში ამომიდგნენ".

ამის შემდეგ კრუიფმა, რომელიც უკვე ძალიან დიდი ხანია მოედანზე სასტარტო შემადგენლობაში აღარ გამოჩენილა, ხოლო ბოლოს მანჩესტერელთა რიგებში ჯერ კიდევ 9 აგვისტოს, ინგლისის სუპერთასზე „არსენალის" წინააღმდეგ იბურთავა, ისიც ბოლო 20 წუთი, განაცხადა, ამ წერილების გაზეთებში გამოქვეყნების მეორე დღეს სავარჯიშოდ რომ მივედი, ალექს ფერგიუსონი და თანაგუნდელები მეტად კარგ ხასიათზე შემხვდნენ და ყველაფერი სიცილში გაატარესო. „მანჩესტერელი ფეხბურთელები იცინოდნენ, მეუბნებოდნენ, შენს გვერდზე ვდგავართ, რა სისულელეაო. მათ იციან, რომ მსგავსი საქციელის ჩადენა არ შემიძლია, სინდისი არ მომცემს ამის ნებას. მე მთელი არსებით „მანჩესტერ იუნაიტედს" ვეკუთვნი და როგორც კი საშუალება მომეცემა, ამას აუცილებლად დავამტკიცებ. „ბარსელონასთან" შეხვედრას ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი თანაგუნდელებისთვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ძალიან მინდოდა, ესპანელებისთვის მოგვეგო და მანჩესტერელი ფანები კიდევ ერთხელ გაგვეხარებინა. და კიდევ მინდა, იმ უმეცრებს მივმართო, ვინც ამგვარ ზღაპრებს თხზავენ — ამგვარი დონის გუნდებმა, ერთმანეთის შესახებ დაწვრილებით იციან ყველაფერი" — ვერ მალავდა აღშფოთებას განაწყენებული ჯორდი. როგორი ფინალი ექნება ახალგამომცხვარ სკანდალს, არავინ იცის. ისე, ინგლისში ხმები დაირხა, უმცროსი თუ არა, უფროსი კრუიფი ამ საქმეს ასე არ დატოვებსო.

ნოდარ ძასრაძე

ინგლისში ტექნიკას ნერგავენ

ინგლისურ საფეხბურთო წრეებში უკვე სერიოზულად ემზადებიან სამსაჯო სისტემაში კორექტივების შესატანად. კერძოდ, მიმდინარეობს საუბრები, რომ ახლო მომავალში, თამაშებს მოემსახურებიან საგანგებოდ კურსგავლილი, ასე ვთქვათ, პროფესიონალი არბიტრები, რომლებიც ტექნიკის, ვიდეოაპარატურის დახმარებით იმსაჯებენ. პრემიერლიგის მსაჯთა კორპუსის თავმჯდომარემ ფილიპ დონმა განაცხადა, სულ მალე პროფესიონალ არბიტრთა პირველი ჯგუფი ჩამოყალიბდებაო. რაც შეეხება თამაშის მსვლელობისას ვიდეოაპარატურის გამოყენებას, ამაზე საფეხბურთო წრეებში უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს დისკუსიები. ზოგი ამტკიცებს, ეს ფეხბურთის განვითარებას ძლიერ წაადგება, ზოგიც პირიქით — სპორტის ამ სახეობას დაამახინჯებსო. თავად დონი და პრემიერლიგის სხვა წარმომადგენლები კი ირწმუნებიან, რომ ტექნიკის გამოყენება აუცილებელია. მათი აზრით, ვიდეოაპარატურა პირველ რიგში მაშინ უნდა გამოიყენონ, როდესაც გაურკვეველია, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი, რადგან ამ შემთხვევაში მსაჯის მიერ მიღებულმა მცდარმა გადაწყვეტილებამ, შეიძლება მატჩის შედეგზე ძლიერ იმოქმედოს. დონი და კომპანია ამ იდეის განხორციელების აუცილებლობის დასამტკიცებლად ისტორიას იშველიებს: „ფეხბურთის ისტორიაში მრავლად ყოფილა შემთხვევები, როცა მსაჯს მატჩზე კონტროლი დაუკარგავს, ხოლო შედეგად რომელიღაც გუნდი უსამართლოდ დამარცხებულა. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავად არბიტრებს გაუადვილდებათ მუშაობა და სიტუაციებში გარკვევა, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია. პროფესიონალ მსაჯთა ერთი, მოზრდილი ჯგუფის შექმნას მომავალი სეზონის დაწყებამდე ვაპირებთ" — აღნიშნა დონმა.

ამ იდეას მხარს უჭერს ცნობილი ინგლისელი მსაჯი პოლ დარკინი, რომელიც თავის ქვეყანას საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმოადგენდა: „ძალიან საინტერესო წამოწყებაა. თუ მას მომხრეებიც გამოუჩნდება და ოფიციალურად დაინერგება, მაშინ პროფესიონალ მსაჯთა ჯგუფში მოსახვედრად ერთ-ერთი პირველი მე დავიწყებ მზადებას, რადგან ამ შემთხვევაში არბიტრი ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც უკეთესად უნდა იყოს მზად".

ვიდეოაპარატურის მატჩის მსვლელობისას არა, მაგრამ მის შემდეგ გამოყენების ფაქტი ერთხელ უკვე არის დაფიქსირებული — 1994 წელს ბუნდესლიგაში. მაშინ ერთმანეთს მიუნხენის „ბაიერნი" და „ნიურნბერგი" ხვდებოდნენ. მატჩის შედეგით უკმაყოფილო ერთ-ერთი მხარე თამაშის დასრულების შემდეგ ამტკიცებდა — გოლი არ უნდა ჩათვლილიყოო. მაშინ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა კლუბების წარმომადგენლებთან ერთად ნახეს ვიდეოფირი, სადაც ნათლად ჩანდა, რომ ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია და მსაჯი შეცდა. საბოლოოდ აღნიშნული შეხვედრა ხელმეორედ გაიმართა. ინგლისელები კი გერმანელთაგან განსხვავებით ტექნიკის გამოყენებას პირდაპირ მატჩის მსვლელობისას აპირებენ. თუმცა მაშინ მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ, ფიფამ, გერმანელები მკაცრად გააფრთხილა — თუ ასეთი შემთხვევა განმეორდება, მსოფლიოს ჩემპიონატზე აღარ დაგიშვებთო. ასე რომ, პრემიერლიგელ ნოვატორებს სიფრთხილე მართებთ, რათა ფიფას გულისწყრომა არ დაიმსახურონ და სანამ რაიმეს მოიმოქმედებენ, ამ ორგანიზაციასთან უნდა შეთანხმდნენ. თუმცა ცნობილი გახდა, რომ ინგლისელები რეგულარულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ ფიფასა და მის პრეზიდენტ იოზეფ ბლატერთან. ეტყობა, მათ აქვთ რაღაცის იმედი, რადგან საუკეთესო მწვრთნელთაგან უკვე არჩევენ ათ არბიტრს. პრემიერლიგაში კი დროს (შესაბამისად ფულს) ტყუილად არავინ კარგავს.

დავით ძოწზირიძე

ხვალ არსენალი — მანჩესტერია

ერთ მშვენიერ დღეს ასეთ კალენდარულ შეხვედრას რომ წავაწყდეთ: „კარლტონ რედზი“ — „BSkyB იუნაიტედი“, არ უნდა გავეკვირდეს.

ინგლისში არის ორი კლუბი, ერთს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჰქვია, მეორეს — „არსენალი“. ამათზეა ლაპარაკი. ეს ორი კლუბი გახლავთ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თასის და ლიგის თასის ერთ სეზონში მომგები, ისინი მონაწილეობენ აქტიურად ევროპული სუპერლიგის დაარსებაში, ისინი გაყიდეს გასულ კვირას და ისინი გახლავან ინგლისის მიმდინარე ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტები.

იქნებ „ლივერპული“, „ასტონ ვილა“ და „ლიდს იუნაიტედი“ არც დაგვეთანხმონ, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ „არსენალი“ და „ლივერპული“ არიან დღევანდელი პრემიერლიგის მძიმეწონოსნები და მათი შეხვედრა ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს.

„არსენალს“ ფსიქოლოგიური უპირატესობა აქვს — ინგლისის სუპერთასის ანუ „ჩერიტი შილდის“ შეხვედრაში, ხუთი კვირის წინ, მან „იუნაიტედს“ 3:0 მოუგო.

თუმცა, იქნებ ამას არც ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა, ისევე როგორც იმას, რომ გასულ კვირაში „არსენალი“ დიდმა სამაუწყებლო კომპანია „კარლტონ კომუნიკეიშენმა“ 460 მილიონ დოლარად იყიდა, „მანჩესტერში“ „კარლტონის“ კონკურენტმა BSkyB-მ 1,04 მილიარდი გაიღო.

მაგრამ არც ის ვარგა, ზემოხსენებული ფაქტორები კვირის შეხვედრის მნიშვნელობის გასათვალისწინებლად რომ არ გამოვიყენოთ და ვთქვათ ისინი მწვრთნელებზე, მოთამაშეებსა და თუნდაც გულშემატკივრებზე არ მოქმედებენო.

ერთმანეთის პირისპირ ინგლისური ფეხბურთის გოლიათები ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში ნათამაშევი ფრეების შემდეგ წარსდგებიან. „არსენალმა“ საფრანგეთის ჩემპიონს, „ლანსს“ სტუმრად თითქოს თამაშით კი აჯობა, მაგრამ ბოლო წუთზე გაშვებული გოლის გამო ორი ქულა დაკარგა (1:1), „იუნაიტედმა“ კი შინ, „ბარსელონასთან“ 2:0 უპირატესობა ხელიდან გაუშვა და 3:3 მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ოთხშაბათის ფრე „არსენალისთვის“ ზედიზედ მეხუთე გამოდგა მას მერე, რაც 17 აგვისტოს, პრემიერლიგის სეზონის გახსნის დღეს, „ნოტინგემ ფორესტს“ აჯობა.

„იუნაიტედმა“ მშობლიურ „ოლდ ტრეფორდზე“ გასულ სეზონში, 14 მარტს „არსენალთან“ რომ წააგო, მას მერე ჩემპიონატის შეხვედრაში მარცხი არ უწვნევია და ასეთი უკვე 11 შეხვედრა დაუგროვდა.

მოსალოდნელია, რომ „არსენალის“ თავკაცი, ფრანგი არსენ ვენგერი „იუნაიტედის“ წინააღმდეგ ათამაშებს ახალ შეანძენს, შვედ ფრედერიკ ლიუნგბერგს. 21 წლის შვედმა შესაძლოა ლანსში კოჭნატკენი მსოფლიოს ჩემპიონი ემანუელ პეტი შეცვალოს.

„იუნაიტედი“ ალბათ იმავე შემადგენლობით ითამაშებს, ოთხშაბათს „ბარსელონას“ რომ დაუპირისპირდა.

ამდენი წაგებით შეურაცხყოფილი „ანდერლეხტის“ გულშემატკივრები „ბრიუგესთან“ მატჩის მერე პოლიციას შეებნენ

ჩაჩანაკი

მექრთამეობის სკანდალისა და ორწლიანი უსახური თამაშის შემდეგ ბრიუსელის „ანდერლეხტის“ დირექტორატმა გულშემატკივრებს დიდების დღეთა დაბრუნება აღუთქვა.

„ანდერლეხტის მუზეუმი სავსეა ნაირნაირი ჯილდოებით, მაგრამ ბელგიის 24-გზის ჩემპიონის ერთი ხელის დაკვრით გონზე მოყვანა საკმაოდ საძნელო საქმე ჩანს.

ევროპული ფეხბურთის ბოლო 30 წლის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი, რომელიც ეჭვი არაა, მომავალი სუპერლიგის პირველ გუნდთა შორის მოხვდება, უეფას თასზე შინ, „გრასჰოპერთან“ 0:2 დამარცხების შემდეგ მწვრთნელს, ჰოლანდიელ არი ჰაანს გამოეთხოვა.

თასების და უეფას თასთა ოდინდელი მფლობელი, სეზონის წინ ტრადიციულად ფავორიტად რომ მიიჩნევდნენ, ქომაგების სტვენის ობიექტად იქცა. მართალია, ბელგიის პირველობის ბოლო ტურში „ანდერლეხტმა“ „ეკერენს“ 3:0 მოუგო, მაგრამ მანამდე, ხუთი შეხვედრიდან ერთშიც ვერ გაიმარჯვა და ცხრილის ბოლოში ამოყო თავი. ასეთი სირცხვილი ბრიუსელის გუნდს 90-წლიანი ისტორიის მანძილზე არასდროს უჭამია.

— მრცხვენია და გაბრაზებული ვარ. ჩვენ გვეგონა, ჩემპიონის ტიტულისთვის ვიბრძოლებდით, მაგრამ ირკვევა, რომ ევროთასებზე გამსვლელ ადგილს თუ მოვიპოვებთ, დიდი საქმე იქნება — განაცხადა „ანდერლეხტის“ პრეზიდენტმა როჟე ვანდენ სტოკმა.

კლუბი, რომელიც ტრიბუნაზე ყველაზე მეტ გულშემატკივარს იზიდავს, ყველაზე დიდი ბიუჯეტი აქვს, ყველაზე ცნობილი მოთამაშეები ჰყავს და საუკეთესო სტადიონით ამაყობს, მთელი ბელგიის დასაცინი გახდა.

— ხუმრობის საუცხოო თემად ვიქეციით — გულდაწყვეტით ამბობს ვანდენ სტოკი.

ფანებმა, რომლებიც გამარჯვებებით იყვნენ განებივრებული, ნათლად გამოხატეს თავიანთი აღშფოთება და განაცხადეს, რომ მეტის მოთმენა აღარ შეუძლიათ. აბა, როგორ უნდა შეგუებოდნენ ამდენ მარცხს, რომელთა შოირს არაფრისმთქმელ „ვესტერლოსთან“ 0:3 მარცხიც იყო.

„გრასჰოპერთან“ წაგების შემდეგ უკიდურესად გაბრაზებული გულშემატკივრები პოლიციას შეებრძოლნენ და ექვსი მათგანი გისოსებს მიღმა მოხვდა.

შეტაკებისას დაიჭრა ცამეტი პოლიციელი, ერთი მძიმედ, მაგრამ ეს უკვე ეროვნულ პირველობაზე „ბრიუგესთან“ თამაშის შემდეგ მოხდა.

ერთ კვირაში ორი აურზაური, მშვიდი ბელგიისთვის მეტისმეტია.

— რამდენჯერმე აპატია ხალხმა გუნდს, მაგრამ გაჭირვებას ბოლო რომ აღარ მოეღო, მათი შემწყნარებლობაც დასრულდა — ამბობს „ანდერლეხტისა“ და ბელგიის ნაკრების ნახევარმცველი ლორენცო სტალენსი.

„გრასჰოპერთან“ მარცხს მწვავედ გამოეხმაურნენ გაზეთებიც. მათ „ანდერლეხტის“ დღევანდელ მდგომარეობას კატასტროფული უწოდეს.

— „ანდერლეხტი“ სისხლისგან იცლება — წერდა ერთი გაზეთი.

— საბრალო „ანდერლეხტი“ — წერდა მეორე.

— კი მაგრამ, სად მიაქვთ ამდენი ფული? — იკითხა ერთმა გულშემატკივარმა.

მართლაც, ლოგიკური კითხვაა, რადგან კლუბის წლიური ბიუჯეტი 800 მილიონი ფრანკი ანუ 23 მილიონი დოლარი გახლავთ. ეს თანხა კი რვაჯერ მეტია, ვიდრე დანარჩენი ბელგიური კლუბების ბიუჯეტი.

თავად „ანდერლეხტი“ ამ საკითხს სხვანაირად უყურებს. მისი დირექტორატის წევრები ამბობენ ასე ცოტა ფულით საერთაშორისო სარბიელზე ინგლისისა და იტალიის კლუბებს კონკურენცია როგორ გაუწიონთო.

მენეჯერი მიშელ ვერშუერენი ბევრ საკითხში ბრალს ბოსმანს და მის ატეხილ აურზაურს სდებს, ამბობს, რომ ევროპული ფეხბურთის ბოსმანიზაციამ კონტინენტზე რამდენიმე ქვეყანა დააწინაურა სხვათა საზიანოდ.

მართლაც, ზოგი ბელგიური კლუბი უკვე ჩასცდა საგანგაშო წითელ ნიშნულს, მაგალითად „გენტის“ ჰოლანდიელი თავკაცი იოჰან ბოსკამპი ამბობს, რომ მისი გუნდის ვალი უკვე 14 მილიონი დოლარის ტოლია.

„ანდერლეხტმა“ გასულ ზაფხულს ყველა ღონე იხმარა ახალი ფეხბურთელების შესაძენად, მაგრამ მოედანზე არაფერი დაეტყო. ამის მიზეზი ალბათ, ტრავმათა სიხშირეც გახლავთ: ენცო შიფო, კადელი რაძინსკი, სტალენსი, გლენ დე ბეკი და რუმინელი ტიბორ სელიმეში დაშავებულნი არიან.

— მაგრამ ვინც ჯანმრთელადაა, ისინიც რომ ტრავმირებულებივით თამაშობენ? — დაიჩივლა ვანდენ სტოკმა და 1996-97 წლების სეზონს ძალიან ცუდი უწოდა.

— ახალმოსულებმა უნდა შეიგნონ, რომ უკეთ თამაში ევალებათ — ამბობს ის.

და ჰაანიც მიხვდა, რომ გასული თვე „ანდერლეხტის“ ისტორიაში კოშმარად ჩაიწერება.

გერტ ლაუერსი, როიტერი

რონალდოს და რობერტო კარლოსის მეტოქეობა მოედანს არ უნდა გასცდეს

სარბიელის არქივიდან

გავუფრთხილდეთ მას!

რონალდოს გარშემო კვლავ არ წყდება მითქმა-მოთქმა და ხმაური. იგი ისევ პრესისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ეტყობა, ხალხს აინტერესებს, რა და როგორ მოხდა პარიზში 12 ივლისს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის დღეს. ჯერჯერობით, ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ მაშინ რონალდო უბრალოდ ცუდად გახდა, საავადმყოფოში წაიყვანეს, მერე კი მოულოდნელად მოედანზე აღმოჩნდა. მიუხედავად თვითმხილველთა ნაამბობისა, საფეხბურთო სამყარო და უბრალოდ, სკანდალის მოყვარულნი ყველანაირად ცდილობენ ამ ისტორიის შესახებ რაიმე ახალი გაიგონ. არ არის გამორიცხული, რონალდო საერთოდ არ ყოფილიყო ცუდად და მისი ფინალში ვერ ან ართამაშის მიზეზი სხვა რამ აღმოჩნდეს, მით უმეტეს, რომ იმ სასტუმროს დირექტორმა, სადაც ბრაზილიის ნაკრები ცხოვრობდა, განაცხადა, ყოველთვის, როცა ბრაზილიის ნაკრები სათამაშოდ მიემგზავრებოდა, გუნდში მშვენიერი განწყობა სუფევდა და ფეხბურთელები ავტობუსში სულ სიმღერა-სიმღერით ადიოდნენ, მაგრამ 12 ივლისს ყოველი მათგანი, მარიო ზაგალოს ჩათვლით, დილიდანვე საშინელ ხასიათზე ჩანდნენო. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ იმისთვის, რომ 21 წლის ბიჭს, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც მოედანზე გამოდის და ხალხს დაუვიწყარ სანახაობას სთავაზობს, დასტყუო შენთვის სასარგებლო, საინტერესო ინფორმაცია, ყველაფერი არ უნდა იკადრო. არადა, ცნობილმა ესპანურმა გაზემა „მარკამ“, იმ დღეს, როდესაც ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მატჩის გასამართად რონალდოს „ინტერი“ სევილიას ჩავიდა, რათა მადრიდის „რეალთან“ ებურთავა, შეიძლება ითქვას, იკადრა. ოთხშაბათს ამ გაზეთის პირველი გვერდი ასე გამოიყურებოდა — იმ ოთახის დიდი ფოტო, სადაც ფეხბურთელი 12 ივლისს ცუდად გახდა და ზევიდან მინაწერი: „რონალდო კვლავ პანიკაშია — „რეალი“ მისთვის მორიგი კოშმარი იქნება“. დიდი შანსია ამ იდეის და სიტყვების ავტორს მხოლოდ ის უნდოდა, რომ ბრაზილიელი ფორვარდი მორალურად გაეტეხა, მაგრამ ყველაფერ ამას ქვეტექსტი ალბათ მაინც აქვს — ჟურნალისტმა კიდევ ერთხელ სცადა, რონალდოს ნერვებზე ეთამაშა, რათა შედეგად ამ უკანასკნელს ეთქვა, იცით რა, მე ცუდად კი არ გავხდი, არამედ სუზანს (მისი საცოლე) ვეჩხუბეო ან სხვა მსგავსი რამ. მაგრამ რონალდოს ასეთი არაფერი უთქვამს. მომხდარზე მან სულ სხვანაირი რეაგირება მოახდინა: „ძლიერ მეპარება ეჭვი ამ ჟურნალისტის პროფესიონალიზმში, ეს უმეცარი, ჭორიკანა კაცის გაკეთებულია. ამის ატანა უკვე შეუძლებელი ხდება, მეც ხომ ადამიანი ვარ და მინდა, მშვიდად ვიცხოვრო. მესმის, რომ ჟურნალისტი სკანდალური ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს, მაგრამ ადამიანის პირად ცხოვრებაში ხელების ფათური, მეტი რომ არა ვთქვა, უზრდელობაა“ — განაცხადა რონალდომ იტალიაში დაბრუნებისას, „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნლისტისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ამ თემის ამოწურვის შემდეგ, იტალიელი რეპორტიორი დაინტერესდა, თუ რას ფიქრობს რონალდო თავისი მეგობრის, რობერტო კარლოსის საქციელზე. საქმე ისაა, რომ მადრიდის „რეალის“ მარცხენა მცველმა პრესაში „ინტერზე“ და რონალდოზე რაღაც-რაღაცეები წაიჭორავა. „რობერტო კარლოსი ჩემი ძმაკაცია და იმედი მაქვს, ყოველთვის იქნება. მაგრამ მას ძალიან მინდა ვთხოვო, რომ ამიერიდან უჩემოდ, ჩემს პირად ცხოვრებაში ნუღარ ჩაერევა და გაზეთებში ამის შესახებ სახალხოდ ნუღარ ისაუბრებს. თუ მას რაიმეს თქმა და რჩევის მოცემა უნდა, აქვს ჩემი ტელეფონი და როცა მოუნდება, მაშინ დამირეკოს. საჯაროდ ჩვენი, მხოლოდ ორი კაცის ურთიერთობაზე საუბარი კი ლამაზი ნამდვილად არ არის“ — აღნიშნა გულნატკენმა რონალდომ.

მართლაც ძნელია, როდესაც ყველა ცდილობს, რაღაცაში გამხილოს, თანაც არარსებულში. მით უმეტეს, რომ ამ „ყველაში“ მოულოდნელად შენი მეგობარიც აღმოჩნდება. არ არის გამორიცხული, ყველაფერმა რონალდოზე, როგორც ფეხბურთელზე ძალიან ცუდად იმოქმედოს და შედეგად ჩვენც ისეთი ლამაზი, თანამედროვე, ინტელექტუალური ფეხბურთის შემოქმედი მოგვაკლდეს, როგორიც ჯერ კიდევ 21 წლის ბიჭი — ლუის ნაზარიო და ლიმა, უბრალოდ კი რონალდოა.

დავით კოგზირიძე

ბაიერნს ვარსკვლავები მართავენ

სპორტი და ეკონომიკა რომ ორი განუყოფელი მცნება გახდა, ახალი ამბავი აღარაა. ფული სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით ტრიალებს, განსაკუთრებით ფეხბურთში. ვინც ამას ალლო სხვებზე ადრე და კარგად აუღო, ყოველწლიურად ზრდის საკუთარ შემოსავლებს. და იქმნება უდიდესი საფეხბურთო „საწარმოები“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ბაიერნი“, „იუვენტუსი“, „ბარსელონა“... ამ უმდიდრესი კლუბებიდან პირველობა დღეისთვის თუ ინგლისურ „მანჩესტერს“ ეკუთვნის, სამაგიეროდ გამოცდილი ბიზნესმენები განვითარების ყველაზე დიდი პოტენციალის მქონედ გერმანიის მრავალგზის ჩემპიონ „ბაიერნს“ თვლიან. ბავარიელებიც სულ ახალი იდეების ძებნაში არიან, რათა უფრო გაიმყარონ მდგომარეობა ქვეყანაში, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით უმდიდრესი საფეხბურთო კლუბი გახდნენ. ამისკენ ერთი უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი გუნდის საქციონერო ბირჟაზე შესვლაა.

მას შემდეგ, რაც „ბაიერნის“ სათავეში ხელმძღვანელთა ახალი პლეადა მოვიდა, კლუბის შემოსავლები დღითიდღე იზრდება. ათ წელიწადში მისმა საბრუნავმა თანხამ ექვსჯერ იმატა (25 მლნ DM 1987 წელს, 156 მლნ — 1997 წელს). ყოველთვიურად 2000-დან 3000-მდე ახალი წევრი ემატება „ბაიერნის“ გულშემატკივართა კლუბს, დღეისთვის მათი საერთო რაოდენობა 80 000 კაცს სჭარბობს. მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონს კი მაყურებელი არასდროს აკლია. საყვარელი გუნდის თამაშებს საშუალოდ 61 000 მაყურებელი ესწრება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამხელა დასწრება „ბაიერნს“ მისი დიდების წლებშიც (1974-77) კი არ ჰქონია, მაშინ თითქმის ორჯერ ნაკლები იყო ეს ციფრი. გარდა ამისა, ყოველდღიურად ასობით ფანი მიდის ზებერენ შტრასის №51-ში, რათა თავიანთი კერპების თაყვანისცემის გამო კლუბის საგანგებო მაღაზიაში რამოდენიმე მარკა დახარჯონ.

„ბაიერნისადმი“ სიყვარული იმდენად დიდია, რომ ყველაფერი, რაც კი მის სახელთანაა დაკავშირებული ელვისუსწრაფესად საღდება. გუნდის ახალი მაისურის ორ მილიონზე მეტი ეგზემპლარის გაყიდვაა მოსალოდნელი, ამასთან ერთად კი უამრავი რამ იყიდება — „ბაიერნის“ ჰიმნების კომპაქტ დისკები, ათასგვარი სუვენირი, ღვინო, ოდეკოლონი „BAVARIA N1“... ამ საქმიდან კლუბის ხაზინაში მთელი შემოსავლების ერთი მესამედი შედის.

„ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით „მანჩესტერს“ რომელიც უდავოდ მსოფლიოს ყველაზე შეძლებული კლუბია — განაცხადა გუნდის პრესატაშე მარკუს ჰიორვიგმა — თუმცა ცოტა ხანში მის გადასწრებას ვეცდებით.“

ამის საფუძველი კი აშკარად არსებობს: როგორც მიუნხენელებს უყვართ თქმა, მათი გულშემატკივრები იმდენად მრავალრიცხოვანნი არიან, რომ თავისუფლად შეავსებდნენ გერმანიის ყველა სტადიონს ერთად. მაგალითებიც უხვად მოჰყავთ თავიანთი სიტყვების დასამტკიცებლად. ორი წლის წინ გამართული ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრას დორტმუნდის „ბორუსიასა“ და ფრანგულ „ოსერს“ შორის 8 მილიონმა ტელემაყურებელმა უყურაო, ხოლო მეორე დღეს გერმანიის თასის მესამე წრის მატჩს „ბაიერნსა“ და „კარლსრუეს“ შორის 10 მილიონამდე ადამიანმა მიადევნა თვალიო. პატარა გამოკვლევაც ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ გერმანიის სხვადასხვა არხებზე გაშვებული 50 საფეხბურთო გადაცემიდან 47-ში „ბაიერნის“ თემაცაა გაშუქებული. ვერც დაადანაშაულებ ტელევიზიის მესვეურებს მიკერძოებაში, რადგან ამით მათ ნაღდად იციან, რომ მათ გადაცემებს 8 მილიონზე მეტი ტელემაყურებელი მაინც ეყოლება.

„ოპელი“, რომელიც გუნდის მთავარი სპონსორია, აიძულებს მიუნხენელებს, სეზონისწინა მოსამზადებელი შეკრებები ექს გდრ-ში ჩაატაროს, რათა თავისი ნაწარმი აღმოსავლეთ გერმანიაშიც ისეთივე წარმატებით გაყიდოს, როგორც დასავლეთში. გარდა ამისა, ყოველწლიურად „ბაიერნი“ თხუთმეტამდე ამხანაგურ მატჩს მართავს საშუალო დონის კლუბებთან, რომელთათვისაც გერმანიის „გოლიათთან“ შეხვედრა ძალიან სახპატიოა. მართალია, ეს თამაშები ფეხბურთელებისათვის მეტად დამღლელია, განსაკუთრებით კი გადატვირთული კალენდრის ფონზე, მაგრამ ფულისთვის რას არ გაუძლებს კაცი. თითოეული მატჩიდან შემოსავალი ხომ 200-500 ათას მარკას შეადგენს.

ყველაფერ ამის მერე აღარ უნდა გაგვკვირდეს, რომ „ბაიერნი“ თავისი თანამედროვე ორსართულიან ოფისს წელს მესამესაც დაადგამს, ხოლო თავისი თანამშრომლების რიცხვი 150 კაცამდე გახდის. პრიორიტეტულ მიმართულებად გერმანელები ახალი ფეხბურთელების ყიდვას მიიჩნევენ, მაგრამ არა ოქროს ფასად, როგორც ამას იტალიელები, ესპანელები თუ ინგლისელები სჩადიან, არამედ თავიანთი დამკვირვებლების მიერ ქვეყნის დაბალი ლიგების ჩემპიონატებში აღმოჩენილი ტალანტები სურთ, რათა მერე მათი გაყიდვით კიდევ უფრო დაამძიმონ საკუთარი ქისა.



ფრანც ბეკენბაუერი — ის მუდმი პირველია

სარკველის არქივიდან

კლუბის ხელმძღვანელობას არ სურს, ფული ისეთ სფეროში დააბანდოს, რაშიც კარგად ვერ ერკვევა, მაგალითად უძრავ ქონებაში. მათი უპირველესი მიზანი ბირჟაზე შეღწევაა. ეს კი ოპონენტებს უმრავლებთ. ამ ნაბიჯით „ბაიერნი“ ახალი სტადიონის მშენებლობის დაფინანსებას აპირებს, თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. წინააღმდეგობა კი იმის გამო ექმნებათ, რომ საშუალო კლუბები მეტისმეტად შიშობენ, ბირჟაზე „ბაიერნი“ ჩვენზე ადრე რომ შევიდეს, ეს ბირჟის „გამოწურვას“ გამოიწვევს და მერე ჩვენს აქციებს აღარავინ შეიძენსო. მართლაც რომელი ჭკუათმყოფელი ამჯობინებს მაგალითად „როსტოკის“ აქციებს „ბაიერნისას“. მეორე საფრთხილო საკითხი კი ისაა, რომ ამის მერე მიუნხენელები იმდენ ფულს აიღებენ, ყველა საუკეთესო ფეხბურთელს იყიდიან და გერმანიის ჩემპიონატსაც აზრი დაეკარგება.

თუმცა რუმენიგე, რომელიც კლუბის ერთ-ერთი მმართველთაგანია, თავისი მოწინააღმდეგეების დამშვიდებას ცდილობს: „ჩვენ არანაირად არ გვინდა, რომ ბუნდესლიგამ თავისი სიმწვავე და დონე დაკარგოს. ძლიერი საშინაო ჩემპიონატის გარეშე ხომ ვერც ერთი გუნდი ვერაფერს მიაღწევს ევროპულ სარბიელზე.“ მართალიცაა ბატონი კარლ-ჰაინცი, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა გუნდი თავის ჩემპიონატში ყველას ბღვერს ადენს, ევროთასებზე კი უკეთეს შემთხვევაში საშუალო კლასის გუნდივით გამოდის. თუნდაც შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“, ბელგიის „ბრიუგე“ ან თბილისის „დინამო“ აიღეთ.

ახალი სტადიონი გვსურს

„მაინც ავაშენებთ“ — ამბობს ფრანც ბეკენბაუერი თითქმის ყოველ თავის ინტერვიუში. ანუ „ბაიერნმა“ უნდა დატოვოს თავისი ისტორიული სარბიელი, რომელმაც ნამდვილად დიდი როლი ითამაშა მისი 70-იანი წლების წარმატებებში. მაშინ „ბაიერნი“ ერთადერთი გუნდი იყო გერმანიაში, ვისაც 80 000-იანი სტადიონი ჰქონდა (63 000 დღეს). ულამაზესი „ოლიმპიური“ 1972 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ააშენეს. ქალაქის მუნიციპალიტეტი 200 მილიონი მარკის გამოყოფას აპირებს რეკონსტრუქციისთვის, თუკი „ბაიერნი“ დაყაბულდება ძველ ადგილას თამაშს, მაგრამ გუნდს აღარ მოსწონს არასფეხბურთო სტადიონი და კლუბის პრივატიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებით ახალი სარბიელის აშენება აქვს გადაწყვეტილი. ეს სიამოვნება დაახლოებით 500 მილიონი მარკა დაჯდება. მუნიციპალიტეტი კი თავისაზე დგას და ახალი სტადიონისთვის შეგულებული ფართობის დათმობაზე, რომელიც ძველისგან 500-იოდე მეტრშია, კლუბს უარი განუცხადა. ბეკენბაუერიც ადგა და მშენებლობის დაწყება მიუნხენის მეზობელ რომელიმე პატარა ქალაქში გადაწყვიტა, თუმცა კანდიდატურა ჯერ არ დაუმტკიცებია. ამაზე ნებისმიერი ქალაქი დათანხმდება, რადგან „ბაიერნის“ თამაშების მასპინძლობა დამატებით 7-8 მილიონ მარკას მისცემს წლიურად. კლუბის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, სტადიონზევე გადაიტანოს თავისი ოფისი, იქვე გახსნას საფირმო მაღაზიები და რესტორნები, აგრეთვე „ბაიერნისადმი“ მიძღვნილი ტელეარხის სტუდია. ბეკენბაუერის აზრით, ასეთ სტადიონს თავისუფლად შეეძლება 2006 წლის ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის მასპინძლობა. ისე, ეს ძალიან შორეული პერსპექტივაა, თუმცა არცთუ უსაფუძვლო. ყველაფერს დრო გვანახებს.

ვინ მართავს კლუბს

„ბაიერნზე“ საკმაოდ ვილაპარაკეთ, მაგრამ მათზე, ვინც მის უკან დგანან, ჯერ კიდევ არაფერი გვითქვამს. ვნახეთ, რომ კლუბი მეტად მომგებიანი „საწარმო“ გახდა, მაგრამ არავინ იფიქროს, თითქოს ყველაფერი ეს დიდი ეკონომისტებისა და ბიზნესმენების დამსახურებაა. „ბაიერნის“ თავკაცები თავისუფლად შეძლებდნენ ერთი ოცნების გუნდის შექმნას, თავისი მეობის წყალობით, იმ ხალხის სიყვარულის წყალობით, ვისაც ერთხელ მაინც მოურგია ბუნდესგილის უტიტულოვანესი კლუბის მაისური. „ბაიერნი“ ერთადერთია ევროპაში, ვისაც თავის თავკაცებს შორის ამდენი ცნობილი და მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს. მმართველ სამეულს ბეკენბაუერი, რუმენიგე და ჰოინესი შეადგენენ. მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია თამაშობდა თუ არა ესა თუ ის ადამიანი დიდ ფეხბურთს, რომ ორ ვიცე-პრეზიდენტს ფრიც შერერს, ჰანს შიეფელს და მარკეტინგის დირექტორს კარლ ჰოფერს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას ხშირად გვერდსაც უვლიან. ბევრი ექსბაიერნელია დაკავშირებული კლუბთან. თუმცა ეს ერთგვარ დოგმად არ ქცეულა. მაგალითად, კლაუს აუგენტალერი (404 მატჩი „ბაიერნში“ 1977-1991 წლებში), რომელიც ორი წლის წინ მწვრთნელობიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს.

ახლა გაგაცნობთ, თუ რომელ ყოფილ ფეხბურთელს რა ადგილი უკავია კლუბის იერარქიაში:

ფრანც ბეკენბაუერი — (395 მატჩი, 1965-1977 წწ.) კლუბის პრეზიდენტი 1994 წლის 14 ნოემბრიდან. მის პრეროგატივაშია ძირითადი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ეხება ახალი სტადიონის მშენებლობა თუ პრივატიზაცია. თუმცა კაიზერი მწვრთნელის ფუნქციების შესრულებასაც არ თაკილობს.

კარლჰაინც რუმენიგე — (310 მატჩი, 1974-1984 წწ.) ვიცე-პრეზიდენტია 1991 წლიდან. მისი მოვალეობა მთავარი იდეების ხორცშესხმაა, მოედანზე მიმდინარე აბებთან შებების წერტილი თითქმის არ გააჩნია.

ული ჰოინესი — (239 მატჩი, 1970-1979 წწ.) გენერალური მენეჯერი. თავის ორ ყოფილ თანაგუნდელთან ერთად ძირითად საკითხებზე მუშაობს, ოღონდ რუმენიგესგან განსხვავებით იგი „მოედნის საქმეებითაა“ დაკავებული.

გერდ მიულერი — (427 მატჩი, 1965-1979 წწ.) იუნიორთა გუნდის მწვრთნელი.

ბიორნ ანდერსონი — (47 მატჩი, 1974-1977 წწ.) და ვიოლეტგანგ დრემლერი — (172 მატჩი, 1979-1986 წწ.) — დაკავებულნი არიან ახალი ფეხბურთელების შეძენით.

ზეპ მაიერი — (473 მატჩი, 1965-1979 წწ.) კარიერის დამთავრებისთანავე კლუბში მეკარეთა მწვრთნელი გახდა, გერმანიის ნაკრებში ანალოგიური თანამდებობა ხელს ვერ უშლის, „ბაიერნში“ თავისი მოვალეობა მაღალ დონეზე შეასრულოს.

ჰანს ფიშლერი — (277 მატჩი, 1981-1995 წწ.) კლუბის საფირმო მაღაზიას უძღვება.

რაიმონდ აუმანი — (216 მატჩი, 1984-1994 წწ.) ფანკლუბის ხელმძღვანელია, ანუ 80 000-ზე მეტი გულშემატკივრის თავკაცი.

აი, ეს არის მოკლედ დიდი საწარმო, რომელსაც „ბაიერნს“ ეძახიან, თუმცა ფინანსური სიძლიერე და სტაბილურობა მოედანზე გამარჯვების მისაღწევად ყოველთვის არაა საკმარისი. ამის დასტურად კი ოთხშაბათს დანიურ „ბრონდბიუსთან“ „ბაიერნის“ მარცხიც გამოდგება, თუმცა ფულის გარეშე დღევანდელ ფეხბურთში უკვე აღარანაირ წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

გაიოზ თალაქვაძე

გაგაცნობთ სააგენტო „როიტერის“ მიერ შედგენილ ევროპული კლუბების მორიგ რეიტინგს. ამ კლასიფიკაციაში ყოველი ქვეყანა ჩემპიონატის დონის მიხედვით არის დაყოფილი. ამჯერად მასში სერია A-ს პირველი ტურის შედეგებიც არის გათვალისწინებული და ვინაიდან იტალიის ჩემპიონატი ყველაზე ძლიერ ჩემპიონატად ითვლება, ცხრილს სათავეში „ბოლონიასთან“ 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ „მილანი“ მოექცა. საკუთარ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებისთვის მინიჭებული ქულების გარდა კლუბებს დამატებით ეწერებათ ქულები ევროტურნირებსა და ეროვნული თასის გათამაშებებში მიღწეული წარმატებებისთვის.

საუკეთესო 20 გუნდი

1. მილანი	იტალია	127,99
2. მიუნხენის „ბაიერნი“	გერმანია	114,79
3. რომა	იტალია	114,74
4. ფიორენტინა	იტალია	114,74
5. მადრიდის „რეალი“	ესპანეთი	105,37
6. სარაგოსა	ესპანეთი	105,37
7. ბარი	იტალია	101,49
8. იუვენტუსი	იტალია	101,49
9. ბორდო	საფრანგეთი	99,36
10. ლიონი	საფრანგეთი	87,28
11. ბენფიკა	პორტუგალია	86,66
12. ბუქარესტის „დინამო“	რუმინეთი	85,77
13. მონაკო	საფრანგეთი	84,77
14. ასტონ ვილა	ინგლისი	83,70
15. გალათასარაი	თურქეთი	82,94
16. რაპიდი	ავსტრია	82,39
17. მალიორკა	ესპანეთი	81,73
18. ფეიენოორდი	ჰოლანდია	79,95
19. მარსელი	საფრანგეთი	79,74
20. პარტიზანი	იუგოსლავია	79,62

რეიტინგში ბოლო ხუთ ადგილზე მყოფი გუნდი

370. სოშო	საფრანგეთი	11,06
371. კერულეტი	უნგრეთი	6,17
372. კოპენჰაგენი	დანია	4,21
373. ბოლონია	იტალია	1,18
374. საუთჰემპტონი	ინგლისი	0,00

ზედიზედ მოგებული მატჩები

მოსკოვის ცსკა	რუსეთი	6
ბუქარესტის „დინამო“	რუმინეთი	6
პარტიზანი	იუგოსლავია	6

სეზონის რეკორდი

მოსკოვის ცსკა	რუსეთი	6
ბუქარესტის „დინამო“	რუმინეთი	6
მიოლდე	ნორვეგია	6
ორებრუ	შვედეთი	6
პარტიზანი	იუგოსლავია	6
რუსენბორგი	ნორვეგია	6

წაუგებელი მატჩები

მიოლდე	ნორვეგია	21
აიკ	შვედეთი	12
კრივბასი	უკრაინა	10
ცსკა	უკრაინა	8

სეზონის რეკორდი

მიოლდე	ნორვეგია	21

ზედიზედ წაგებული მატჩები

ოლიმპია სატუ მარე	რუმინეთი	5
სამსუნსფორი	თურქეთი	5
საუთჰემპტონი	ინგლისი	5

სეზონის რეკორდი

ტიუმენი	რუსეთი	18

ბოლო გამარჯვების შემდეგ ჩატარებული მატჩების რაოდენობა

ლუცერნი	შვეიცარია	9
პრიკარპატიე	უკრაინა	9
იანგ ბოისი	შვეიცარია	9

სეზონის რეკორდი

ტიუმენი	რუსეთი	19

ბომბარდირები წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში

სილვან ვილტორდი	ბორდო	7
ბერნარ ვინკლერი	მიუნხენი	5
იბრაჰიმ ბაკაიოკო	მონპელიე	4
გერტ კლასენსი	ბრიუგე	4
იოჰენ იანსენი	ვესტერლო	4
ალსენი	კორტრიკი	4
კეიტა	ვიტესი	4
ნიკოს მახლასი	კაიზერსლაუტერნი	4
ოლაფ მარშალი	ლანსი	4
პასკალ ნუმა	ლივერპული	4
მაიკლ ოუენი	ჰანზა	4
იგორ პამიჩი	მონპელიე	4
ლორენ რობერი		4

ჩემპიონატებში გოლების საშუალო მაჩვენებელი

1. ნორვეგია	3,68	13. პოლონეთი	2,92
2. დანია	3,26	14. პორტუგალია	2,85
3 საბერძნეთი	3,22	15. შვეიცარია	2,73
4. რუმინეთი	3,20	16. შვედეთი	2,71
5. იუგოსლავია	3,13	17. ავსტრია	2,62
6. უნგრეთი	3,10	18. საფრანგეთი	2,53
7. თურქეთი	3,07	19. რუსეთი	2,48
8. ჩეხეთი	3,05	20. უკრაინა	2,47
9. იტალია	3,00	21. შოტლანდია	2,12
10. ჰოლანდია	3,00	22. ინგლისი	2,06
11. გერმანია	2,94	23. ესპანეთი	1,85
12. ბელგია	2,94		

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. V ტური

19 სექტემბერი

ბოზუმი — შალკე	1,9	2,9	3,6
ნიურნბერგი — კაიზერი	2,5	2,9	2,5
ლევერკუზენი — დორტმუნდი	1,9	2,9	3,6
ვოლფსბურგი — ვერდერი	1,9	2,9	3,6
შტუტგარტი — მიუნხენი	1,5	3,3	6,0

20 სექტემბერი

ბაიერნი — ჰამბურგი	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,1	3,0
დუისბურგი — მ'გლადბახი	2,0	2,9	3,4

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. VII ტური

19 სექტემბერი

დიუსელდორფი — ვატენშაიდი	1,6	3,2	5,0

20 სექტემბერი

ფორტუნა — კარლსრუე	1,8	2,9	4,2
მაინცი — ჰანოვერი	1,9	2,9	3,6
გიუტერსლო — ულმი	2,7	2,9	2,3
ზანქტ პაული — უნტერჰახინგი	2,0	3,0	3,3

21 სექტემბერი

კორტბუსი — კიოლნი	1,7	3,1	4,4

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VI ტური

19 სექტემბერი

ჭოვენთრი — ნიუკასლი	2,3	2,9	2,8
დერბი — ლესტერი	1,8	2,9	4,2
ლიდსი — ასტონ ვილა	1,9	2,9	3,6
ლივერპული — ჩარლტონი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,3	3,4
მიდლსბრო — ევერტონი	1,7	3,0	4,7
ნოტინგემი — ვესტჰემი	2,3	2,9	2,7
საუთჰემპტონი — ტოტენჰემი	2,6	2,9	2,4
უიმბლდონი — შეფილდ უენსდეი	1,8	3,0	4,0

20 სექტემბერი

არსენალი — მანჩესტერი	2,1	2,9	3,2

21 სექტემბერი

ბლეკბერნი — ჩელსი	2,6	2,9	2,4

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. IX ტური

19 სექტემბერი

ბარნსლი — კრ. პალასი	2,2	2,9	3,0
ბირმინგემი — გრიმსბი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,8
ბერი — ტრანმერი	1,5	3,3	6,0
ქრიუ — ბოლტონი	2,4	2,9	2,6
ჰადერსფილდი — ვულვზი	2,2	2,9	3,0
იფსვიჩი — ბრისტოლი	1,5	3,3	6,0
პორტ ვეილი — პორტსმუთი	2,0	2,9	3,4
ქპრ — სტოკპორტი	2,2	2,9	3,0
შეფილდ იუნ. — ნორვიჩი	2,1	2,9	3,2
სანდერლენდი — ოქსფორდი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,3	3,4
სვინდონი — უოტფორდი	2,3	2,9	2,8

20 სექტემბერი

ვესტ ბრომვიჩი — ბრედფორდი	1,5	3,4	5,6

საფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტური

19 სექტემბერი

ლე ავრი — სტრასბური	1,9	2,9	3,6
რენი — ბასტია	1,8	2,9	4,2
ლიონი — ლანსი	1,8	3,0	4,0
ნანტი — ლორანი	1,5	3,3	6,0
მონპელიე — ნანსი	1,6	3,0	5,6
მეცი — ტულუზი	1,9	2,9	3,6
ოსერი — სოში	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,0	3,1

20 სექტემბერი

პსჟ — მონაკო	2,1	2,8	3,3
მარსელი — ბორდო	2,0	2,8	3,5

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. II ტური

20 სექტემბერი

ბოლონია — უდინეზე	1,8	2,9	4,2
ემპოლი — რომა	2,8	2,9	2,3
ვიჩენცა — ფიორენტინა	2,4	2,9	2,6
ლაციო — ბარი	1,25	4,4	8,0
0:1	2,0	2,9	2,6
იუვენტუსი — კალიარი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ვენეცია — პარმა	2,5	2,9	2,5
სალერნიტანა — მილანი	3,4	2,9	2,0
ინტერი — პიაჩენცა	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
საპდორია — პერუჯა	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. III ტური

19 სექტემბერი

ვერონა — რეჯანა	1,6	3,0	5,6

20 სექტემბერი

კოზენცა — კიევო	2,0	2,9	3,4
კრემონეზე — ფ. ანდრია	1,5	3,4	5,6
ლეჩე — ტრევიზო	1,6	3,0	5,6
ლუკეზე — ბრეშია	2,3	2,9	2,8
მონცა — ვენეზია	2,0	2,9	3,4
ნაპოლი — რეჯინა	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,8
პესკარა — ატალანტა	2,8	2,9	2,3
რავენა — ჩეზენა	1,6	3,0	5,6
ტერნანა — ტორინო	3,2	2,9	2,1

ესპანეთიის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მე-3 ტური

19 სექტემბერი

რეალი — ბარსელონა	1,8	2,9	4,2

20 სექტემბერი

ოვიედო — ტენერიფე	1,8	2,9	4,2
სოსიედადი — მალიორკა	2,2	3,3	2,4
ესპანიოლი — ატლეტიკო	2,2	2,9	3,0
სალამანკა — დეპორტივო	2,3	2,9	2,8
ვალენსია — ვილიარეალი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,7	3,2
სელტა — ვალიადოლიდი	1,6	3,2	5,6
ესტრემადურა — ბილბაო	2,4	2,9	2,6
რასინგი — ბეტისი	2,5	3,3	2,1
ალავესი — სარაგოსა	2,4	2,9	2,6

ესპანეთიის ჩემპიონატი. II დივიზიონი. მე-4 ტური

19-20 სექტემბერი

რეკრეატივო — მალაგა	2,4	2,9	2,6
მერიდა — ორენსე	1,7	3,1	4,4
ლეგანესი — სევილია	2,9	3,0	2,2
ბადახოსი — კომპოსტელა	2,9	3,0	2,2
ოსასუნა — ნუმანსია	2,5	2,9	2,5
ერკულესი — ლეიდა	1,8	2,9	4,2
ბარსელონა B — ლოგრონიესი	2,9	3,0	2,2
ალბასეტე — რაიო ვალეკანო	2,3	2,9	2,8
ტოლედო — ატლეტიკო B	1,7	3,1	4,4
ეიბარი — მალიორკა B	2,3	2,9	2,8
სპორტინგი — ლას პალმასი	2,3	2,9	2,8

პორტუგალიის ჩემპიონატი. მე-4 ტური

19 სექტემბერი

სპორტინგი — კამპომაიორენსე	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ბოავიშტა — ლეირია	1,5	3,2	6,5

20 სექტემბერი

ამადორა — აკადემიკა	1,5	3,3	6,0
რიუ ავე — შავეში	2,0	3,0	3,3
ბეირამარი — სეტუბალი	1,9	2,9	3,6
ფარენსე — ბენფიკა	6,5	3,6	1,4
მარიტიმუ — პორტუ	5,0	3,2	1,6
გიმარაეში — ბრაგა	2,0	2,9	3,4
ალვერკა — სალგეირეში	2,5	2,9	2,5

რუსეთიის ჩემპიონატი. 25-ე ტური

20 სექტემბერი

კრილია — როტორი	2,5	2,9	2,5
ურალანი — შინიკი	1,5	3,6	5,0
ალანია — ჩერნომორეცი	1,5	3,5	5,3
ფეშუფინა — ზენიტი	2,5	2,9	2,5
დინამო — ლოკომოტივი	2,5	3,2	2,3
ტიუმენი — ცსკა	8,0	5,3	1,2
ბალტიკა — ტორპედო	2,2	2,9	3,0
სპარტაკი — როსტსელმაში	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8

კოლანდიის ჩემპიონატი. მე-5 ტური

19 სექტემბერი

აზ — ტილბურგი	2,2	2,9	3,0
კამბური — ტვენტე	2,5	2,9	2,5
მაასტრიხტი — ვიტესი	5,0	3,2	1,6

20 სექტემბერი

ვალვაიკი — პერნვენი	3,2	2,9	2,1
უტრეხტი — სიტარდი	1,4	3,6	6,5
0:1	2,1	3,2	2,1
სპარტა — ბრედა	1,8	3,0	4,0
აიაქსი — გრაფსხაპი	1,05	8,0	14,0
0:1	1,25	4,7	5,0

22 სექტემბერი

ეინდჰოვენი — ფეიენოორდი	2,5	2,9	2,5

ბელგიის ჩემპიონატი. მე-7 ტური

19 სექტემბერი

ოსტენდე — მუსკრონი	2,4	2,9	2,6
სტანდარტი — ბევერენი	1,5	3,3	6,0
გენტი — შარლეროა	1,8	2,9	4,2
გენკი — კორტრაიკი	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
ანდერლეხტი — სტ. ტრიუდენი	1,9	2,9	3,6
ლოკერენი — ბრიუგე	2,5	2,9	2,5
ლიერსი — ვესტერლო	2,3	2,9	2,8

20 სექტემბერი

ჰარელბეკი — ეკერენი	1,8	3,0	4,0
ალსტი — ლომელი	1,9	2,8	3,8

პოლონეთის ჩემპიონატი. მე-9 ტური

19-20 სექტემბერი

ბელხატოვი — ვიძევი	2,2	2,9	3,0
ვისლა — ლეგია	2,0	2,8	3,5
რუხი — ყატოვიცე	1,8	3,0	4,0
ლკს — ამიცა	2,5	2,9	2,5
გურნიკი — რაძიონკოვი	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,1	3,0
პოგონი — ლუბი	2,2	2,9	3,0
ოდრა — სტომილი	2,0	2,9	3,0
პოლონია — ზაგლებიე	1,8	3,0	4,0

თურქეთის ჩემპიონატი. მე-6 ტური

19 სექტემბერი

ისთანბული — საკარია	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
გენწლერბირლიგი — ქარაბუქი	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,0	3,1

20 სექტემბერი

ალთაი — ანთალია	2,0	2,9	3,4
ფენერბახჩე — გალათასარაი	2,5	2,9	2,5
ქოჯაელი — ბეშიქთაში	3,6	2,9	1,9
ადანა — სამსუნი	1,8	3,0	4,0
ერზრუმი — ტრაბზონი	2,8	2,9	2,3

შოტლანდიის ჩემპიონატი. მე-6 ტური

19 სექტემბერი

დანდი — დანდი იუნაიტედი	2,4	2,9	2,6
დანფერმლაინი — ჰართსი	3,2	2,9	2,1
მოზერველი — კილმარნოკი	2,0	2,9	3,4
სტჯონსტონი — აბერდინი	2,2	2,9	3,0

20 სექტემბერი

რეინჯერსი — სელტიკი	2,0	2,9	3,4

ავსტრიის ჩემპიონატი. მე-8 ტური

19 სექტემბერი

გრაცერი — ლუსტენაუ	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
ზალცბურგი — შტაირი	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,0	2,5
ტიროლი — შტურმი	2,5	2,9	2,5

20 სექტემბერი

რაპიდი — რიდი	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,3	3,8

შვეიცარიის ჩემპიონატი. მე-11 ტური

19 სექტემბერი

გარსპორი — ლუცერნი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,3	3,4
იანგ ბოიზი — ქსამაქსი	2,5	2,9	2,5
ლუგანო — ბაზელი	2,4	2,9	2,6
სიონი — სერვეტი	3,3	2,8	2,1

20 სექტემბერი

არაუ — ციურიხი	1,9	2,9	3,6
ლოზანა — სტ გალენი	1,8	2,9	4,2

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

მიეცით მარიოს მილიონები!

ლემიე პინგვინებს გაჰპარსვას უპირებს

მარიო ლემიე თავისის გატანას მიჩვეულია

ეტყობა, ამ ყბადაღებულ, ჩახლართულ და გაჭიანურებულ სქემაც მალე დაადგება საშველი. ეს ამბავი ასე დაიწყო: ჰოკეის შარშან გამოთხოვებულმა პიტსბურგის სახელოვანმა ფორვარდმა მარიო ლემიემ „პინგვინთა" ამჟამინდელ პატრონს როჯერ მარინოს მაგიდაზე ასეთი შინაარსის მოთხოვნა დაუდო: 1992 წელს მე და კლუბის მაშინდელი მფლობელი ჰოვარდ ბოლდუინი ოფიციალურად შევთანხმდით, კარიერას რომ დავასრულებდი, კლუბისგან საკმაოდ სოლიდურ თანხას მივიღებდი. აი, მოვრჩი თამაშს და ხელშეკრულების თანახმად კლუბისგან ფულიც მერგებაო. ამ კონტრაქტის პირობები დღვრილებით არ გაცხადებულა, მაგრამ საქმეში ჩახედულთა ვარაუდით ლაპარაკია 24-დან 42 მილიონამდე დოლარზე. ეს კი, იცოცხლეთ, კაიხელა ფული გახლავთ და აკი მთავარი პინგვინი მარინოც ნირწამხდარი აწრიალდა, საიდან მოვიტანო ასე უცებ ამხელა თანხაო. ის კი არა, იქით დაადო ვალი ლემიეს, რაც შენ წახვედი, კლუბის საქმეც უკან წავიდა, ხალხი „პინგვინების" სანახავად აღარ დადის და ძალიანაც ვიზარალეთ, აგერ ბოლო სეზონში 37 მილიონით ნაკლები შემოგვივიდაო. საქმეს თურმე ისიც ართულებს, რომ პიტსბურგს ლემიეს გარდა სხვა მევალეებიც ჰყავს გასასტუმრებელი, აი, თუნდაც თავისი ყინულის სარბიელის მომსახურე პერსონალი და ტელეკომპანია „ფოქს სპორტის" პიტსბურგის ფილიალი. მოკლედ, საშველი არ ჩანდა და პრესა-ტელევიზიასაც მიეცა სალაპარაკო და სამსჯელო. გამოსავლად სარგო ვარიანტად არაერთს ამბობდნენ, იმასაც კი, სუპერმარიოს კონტრაქტი უფრო მდიდარმა კლუბმა შეისყიდოს და ბარემ ლემიეც დაუბრუნდეს ყინულსო. ჰოკეისტმა ეს ვარიანტი შორს დაიჭირა და სხვა საბეირო აზრიც არ ჩანდა, რომ ახლახან წამოტივტივდა ახალი და, ბევრის აზრით, საკმაოდ რეალური ვარიანტი: „პიტსბურგ პოსტ-გაზეთის" ვერსიით, ლემიე ვალის გარკვეულ ნაწილზე უარს იტყვის თუ სანაცვლოდ კლუბის თანამფლობელის სტატუსს ანუ კლუბის აქციათა პაკეტის ნაწილს მიიღებს. გამოსავლის კვალობაზე მართლაც არაუშავს ვარიანტია, მაგრამ ესეც ძალიან სახათაბალო საქმე ყოფილა და აი, თურმე, რატომ: აგერ უკვე სამი თვეა, ზემოთ არაერთხელ ნახსენები ლემიეს ვალით გულშეწუხებული „პინგვინების" ახლანდელი მფლობელი მარინო და კლუბის ძველი პატრონი, ლემიესთან ამ საშარო კონტრაქტის გამფორმებელი ბოლდუინი „პინგვინთა" მთავარ თანამფლობელობაზე იბრძვიან. საქმეს კი ისეთი პირი უჭირს, რომ ძველი ახლანდელს აჯობებს, რადგან ბოლდუინი და ლემიე დიდი ხნის დოსტები არიან და მარიოც მხოლოდ იმ შემთხვევაში დაყაბულდება ბოლო ვარიანტს, თუ ბოლდუინი გახდება მთავარი თანამფლობელი. მოკლედ, ლემიე და ბოლდუინი ერთად არიან, მარინო კი ერთია და თანაც ჩიხში, საიდან გამოღწევა ძალიან გაუჭირდება, უფრო კი, ვერც შეძლებს. ასე იქნება თუ ისე, დროის საქმეა, ფაქტი კი ისაა, რომ ლემიემ საჩივარი უკვე შეიტანა სასამართლოში და ახლა მსაჯულთა ჯერია.

დათვის ერთგულება

ბურკი: უბერებელი და მუდამ ფულიანი

მართლაც საარაკოა ამ კაცის ერთგულება: ამჟამად მოქმედ ჰოკეისტთაგან რეი ბურკი ერთადერთია, ვისმა კლუბისამი ერთგულებამ 19 წელს უწია. არადა, ვინმე უჩინო მოთამაშე ყოფილიყო, თავისიანებისთვის იაფი შესანახი რომაა, სხვა მსურველი კი არავინ გამოსჩენია, კიდევ ჰო... რეი ბურკი კი, უკვე ჭარმაგი და უკვე ლეგენდა, ლიგის ყველაზე სახელოვანი მცველია, „ნორის ტროფის" ხუთგზის მფლობელი, ლიგის ისტორიაში შედეგიანობით მეორე თავისი ამპლუას მოთამაშეთა შორის — 1411 (375+1036) ქულით მხოლოდ პოლ კოფის ჩამორჩება, მასსავით ლეგენდარულს.

და, აი, ბურკმა, 38-ს რომ მიუკაკუნა (დეკემბერში შესრულდება), კიდევ ორი წლით მოუწერა თავის „ბოსტონ ბრიუინზს" ახალ კონტრაქტზე ხელი და, ეტყობა, კარიერასაც თავის „დათვებთან" დასრულებს. ხელშეკრულების დეტალები ჯერ უცნობია, თუმცა რეის 3,65 მილიონ დოლარზე ნაკლები ხელფასი რომ არ ექნება, ცხადია, რადგან სწორედ ამდენს იღებდა ძველი კონტრაქტის თანახმად.



რეი ბურკს სიბერისა არაფერი ეტყობა

ბოსტონის პრეზიდენტს გარი სინდენს კი ბურკის იმედი კიდევ ორი კი არა, მომდევნო წლებშიც აქვს: „ბურკთან ახალი შეთანხმებით ძალიან კმაყოფილები ვართ, თუ იგი საკონტრაქტო ორი წლის მერეც ისურვებს თამაშს, სიამოვნებით განვიხილავთ ამ საკითხსაც." სინდენმა იცის, ვისზე ამბობს ამ ერთი შეხედვით ზედმეტად ოპტიმისტურ სიტყვებს. ბოლო სეზონში ბებერმა ბურკმა ყველა, 82 მატჩი ითამაშა და 48 (13+35) ქულით კლუბის მესამე ბომბარდირიც გახდა.

ამით შეგვეძლო დაგვესრულებინა ამ საანეკდოტო კაცის ამბავი, მაგრამ ეს ტიალი ცხოვრება ხომ ასეთია: ერთის წინსვლა მეორის უკუსვლის მიზეზია ხოლმე. გარი სინდენი წუწურაქობით ცნობილი კაცია და რახან ბურკს ასე ეფერება და ამწყალობებს, ეს იმას ნიშნავს, სხვებს მოაკლებს გულისხმიერებასაც და ფულსაც. ერთი სიტყვით, ბურკის ახალი კონტრაქტი იმის საწინდარია, რომ ახალგაზრდა „დათვებში" გამორჩეულთ — ჯემი ელისონს, აარონ კარტერს და ბურკივით ვეტერან დმიტრი ხრისტიჩს უკეთეს საკონტრაქტო პირობებთან ანუ მეტ ფულთან მოუწევთ დამშვიდობება. ეს ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც ბოლო სეზონში კლუბის ბომბარდირთა ხუთეულში მყოფ კარტერს, რომელიც მართლაც სასაცილო გასამრჯელოს 300 000 დოლარს იღებდა, სინდენმა არანაკლებ სასაცილო 10-პროცენტიანი დანამატი შესთავაზა.

სამგელ ღარიბიანი

გიო ახვლედიანის

სვეტი

STILL KETS!

STILL მავანიო, ასე შესძახებენ ხოლმე ინგლისელი ტელეკომენტატორები, როცა მავანი ყანაღი ფეხბურთელი ბურთს არ დაჰკარგავს და მონდომებით მიიწევს წინ. ადვილი გადმოსათარგმნია, **STILL** მავანიო, ნიშნავს კვლავ ესო, ესე იგი, არ დაიდგა საშველი ამ ფეხბურთელის დაყავებასო. თანაც, იმათ რეპორტაჟი არ ესმენიათ და ისე აუწყებენ ხოლმე ხმას. ამ **STILL**-ის თქმისას, რომ ბურთის მოყვარე კაცს ცრუ ანტელი დაუვლის.

მე აი, რატომ ვამბობ ამას — ბოლო კვირაა, თემურ ქეცბაიას სახელი გვესმის. გვესმის კი არა, უყურებთ კიდეც მას და ზოგადად, არასარეპორტაჟოდ მაინც უნდა შევძახოთ: **STILL KETS** (ასე უწოდებენ ინგლისური გაზეთები)!

რაც რომ ტინსაიდში მწვრთნელად რუდ გულიტი მივიდა, ქეცბაიას საქმე გამოკეთდა. ზედიზედ ორი თამაშია, ძირითადში დგას და არა მხოლოდ დგას, არამედ იღვწის კიდეც ის ცხონებული კენი დალგლში კი ისე უმალავდა საზოგადოებას მის თავს, როგორც წუწკი ბატონები ყმებს მეფე ერეკლეს.

და ქეცბაია თამაშობს. ამპლუაც შეუცვლია და დიაპაზონიც სხვა აქვს. ისა და ახალგაზრდა სტივენ გლასი ჯარიმებსა და კუთხურებს წინასწარ ჩაფიქრებული ხერხით აწვდიან, ისა და ალან შირერი ერთად არიან სწრაფი შეტევის დროს და ა.შ. პატარა ეპიზოდებშიაც წმირად ქარგად ირჯება, მოკლედ, ქეცბა თამაშობს. განა საქართველოს არ ჰყოლია ნაღდი ვარსკვლავები და ქეცბაზე უკეთესი და სახელოვანი ფეხბურთელები? ჰყოლია, რა თქმა უნდა. მაგრამ, მგონია, რომ ქეცბა ერთადერთია, რომლის გამოც იტყვი, **STILL KETS**! ისევ და ისევ, ისო. არა მაინც დამაინც პირდაპირი, არამედ უფრო გადანაცვლებითი მნიშვნელობით.

თითქოს არ გაძლევს იმის საშუალებას, რომ დაივიწყო.

თვალწინაა ეპიზოდი — მატჩი საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებს შორის. ქეცბაიას ალბათ, ყველაზე უგარგისი გამოსვლა ნაკრებში. გამოცვალეს. პირდაპირ გასახდელისკენ წავიდა. გაბრაზებულმა გაიბადა მაისური, პოლიციელს გადაუგდო და გვირაბში გაუჩინარდა. აღარ დაგკვირვებულვარ, მაგრამ უკან აღარ ამობრუნებულაო. ჩანდა, გაბრაზებული იყო. ალბათ იმით, რომ ვერ ითამაშა, ვერაფერი გააწყო. კაცი იფიქრებდა, მორჩა და გათავდა, მისი ფეხბურთი დასასრულს უახლოვდებაო და წამსვე გაიხსენებდა: ძალიან დიდი ხანია, თითქოს საუკუნეა თამაშობსო. ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში გამოჩნდა „დინამოში“, მერე კვებროსზე გაცდენილი წლები, იქაური ჭაობიდან თავის დაღწევა, საბერნეთი და ჰა, პრემიერლიგა. ეყოფა ერთ კაცს, რომელმაც ყველაფერს თავისით მიაღწია, მოიხდომა, იწვალა, გზებსა და სადგურებს გადასწვდა და საქვეყნოდ ცნობილი შეიქნაო.

ასე იფიქრებდა კაცი მაშინ, მოედნიდან გვირაბისკენ მიმავალს რომ უყურებდა. მაგრამ საშეც ეს არის — **STILL KETS!**

ათი დღე გავიდა ამ საღამოდან და ქეცბაია ამოჭიდდა, აფეთქდა, „საუთჰემპტონთან“ თავი გამოიჩინა და „პარტიზანის“ წინააღმდეგაც ძირითადში მოხვდა. „ნიუკასლი“ ჯერ კიდევ სუსტი გუნდია, ახლაღა იცვლის ნირს წუწუტაჯი სჭოთის მეფობის შემდეგ. განა ხუთშაბათს ქეცბამ უნაყლოდ ითამაშა? რა თქმა უნდა, არა.

გულიტი რომ მოვიდა „ნიუკასლში“, წამსვე ლაპარაკი ატყდა, ბევრს გაუშვებს და ახლებს მოიყვანსო. ხვალ რა იქნება, არ ვიცი, მაგრამ დღევანდელ „ნიუკასლში“ ქეცბაია საჭირო კაცია. ხვალ კი, თემური არც ხვალ დაიკარგება. რატომღაც მგონია, რომ ის ძალიან დიდხანს შემორჩება ფეხბურთს. ასეთებს უჭირთ მოედნიდან გამოსვლა. ისინი მოუთმენლად ელიან მოედანზე შესვლას, იბრძვიან ამისთვის და მერე იქაც, მოედანზეც თავდაუზოგავნი არიან. მე არ ვლაპარაკობ დიდოსტატობასა და ვარსკვლავობაზე, მე მინდა ვთქვა იმის გამო, რომ ამ ტიპის, ამ ხასიათის, ამ განწყობისა და მონდომების მოთამაშის არსებობას ჩვენს ფეხბურთში დიდი მნიშვნელობა აქვს.

STILL KETS! კვლავ ისაო.

France Football

1961

ლევ სივორი

ორიუნდი ბუენოს აირესიდან

ლაშა გელუაშვილი

ის არასდროს ურტყამდა პენალტებს, რადგან ძალიან მგრძნობიარე იყო. ერთხელ უთქვამს კიდეც, პირველად პენალტის დასარტყმელად რომ მივედი და მეკარის შეშინებული სახე დავინახე, მივხვდი რომ უიარაღოს დახვრეტა არ შემეძლოო. მიუხედავად ამისა, იგი რამდენიმე წლის მანძილზე იტალიის ჩემპიონატების ბომბარდირთა ხუთეულში მუდამ ხვდებოდა. ერთი უბრალო „მიზეზის“ გამო — ბრწყინვალე თავდამსხმელი გახლდათ.

20 წლის ომარ სივორი ბედმა არგენტინიდან იტალიაში გადაისროლა. მორიგი „ორიუნდის“ (იტალიელი ემიგრანტის შთამომავალი) საფეხბურთო კარიერის აღმასვლა სწორედ წინაპართა სამშობლოში მოხდა. თან სად? იტალიის უძლიერეს კლუბ „იუვენტუსში“.

60-იანი წლების დასაწყისში იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მკაცრად ჰქონდა განსაზღვრული აპენინურ კლუბებში მოთამაშე უცხოელთა რაოდენობა. როცა სივორი ტურინში ჩავიდა, მას კლუბებში საკმაო რაოდენობის ლეგიონერები დახვდა, თუმცა იტალიური წარმომავლობის მქონე არგენტინელს ამ მხრივ პრობლემა სრულიადაც არ შექმნია — გუნდის ხელმძღვანელობამ უმალ უზრუნველყვეს მისი იტალიელობა და სივორიც ათამაშდა.

არგენტინის პატარა ქალაქ სან ნიკოლასში დაბადებული ბიჭის კარიერა იმთავითვე მწვერვალებისკენ არ წასულა. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში მოხვედრილ ჭაბუკს თავიდან ერთი ხანობა გაუჭირდა, სხვა თუ არაფერი, იტალიის ყველაზე ტიტულოვან კლუბში კონკურენცია ძალიან მძაფრი გახლდათ, თუმცა მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით ომარ სივორიმ საწადელს მიაღწია — „იუვენტუსში“ მარცხენა ფლანგის სრული ბატონ-პატრონი გახდა, ამასთანავე „სკუადრა აძურას“ მწვრთნელთა გულებიც მოინადირა, მანამდე კი იყო გაუთავებელი წვრთნა და ვარჯიშები.

...1957 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს „იუვენტუსის“ ბაზაზე დაბალი, ჩასუქებული, კოხტად ჩაცმული 50-იოდე წლის კაცი მივიდა. სამწუხაროდ ისტორიამ მისი სახელი და გვარი ვერ შემოგვინახა, მაგრამ სწორედ იმ კაცის გამოჩენამ დაუდო სათავე ევროპაში ახალი ვარსკვლავის ამობრწყინებას. ის პიროვნება ბაზაზე მისვლისთანავე შეხვდა „იუვენტუსის“ მწვრთნელ ჯიჯი პაროლას და განუცხადა:

— სენიორ პაროლა, მე თქვენ საქმიანი წინადადებით გეახელით. არგენტინაში მოგზაურობისას შევამჩნიე, მეტიც შევიგულე ბიჭი, რომელსაც თქვენი კლუბის სრულიად გარდაჭრა და საგრძნობლად გაძლიერება ძალუძს. ალბათ, თქვენ არაფერი გსმენიათ ომარ სივორის შესახებ? ასე არ არის? თუ გნებავთ, გაჩვენებთ — მწვრთნელსა და უცნობი საფეხბურთო „მაჭანკლის“ საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც ჩანს, პაროლა დაინტერესდა წინადადებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სივორის „იუვენტუსში“ მოხვედრა ერთობ სათუო იქნებოდა.

პაროლას და უცნობის შეხვედრიდან ორკვირანახევრის თავზე გარიგება შედგა — ბუენოს აირესის „რივერ პლეიტმა“ მაშინ ჯერ კიდევ უსახელო და ბევრისთვის უცნობი ომარ სივორი „იუვენტუსს“ დაუთმო, ტრანსფერის ფუძემდებელი კი მას შემდეგ უკვალოდ გაქრა. ყოველ შემთხვევაში, უცნობი არც თავად სივორის და არც გარიგებაში მონაწილე კლუბების წარმომადგენლებს მას შემდეგ აღარ უნახავთ.

ტანდაბალი ჭაბუკისთვის რთული იყო კლუბში დამკვიდრება, თუმცა მოთმინებამ და შრომამ თავისი გაიტანა — წელიწადზე ნაკლებ დროში ომარ სივორი „ბებერი ქალბატონის“ სრულუფლებიანი წევრი გახდა, მეტიც, მალე გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც მოგვევლინა.

არგენტინიდან იტალიაში გადახვეწილი სივორის ნათლობა სერია A-ში სახელოვან „მილანთან“ უნდა შემდგარიყო. მატჩისწინა ვარჯიშზე, ურიცხვ გულშემატკივრებს სივორისთვის დიდი ყურადღება არც მიუქცევიათ. მორიგ გასტროლიორად ჩათვალეს. თუმცა იმ შეხვედრაშივე სივორიმ კარგად დაარწმუნა ტიფოზები, რომ იგი გუნდში შემთხვევით მოხვედრილი არ გახლდათ.

მიმდინარეობდა მატჩის 56-ე წუთი. შეცვლაზე შესულმა სივორიმ თანაკლუბელის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი პასის შემდეგ ორი მილანელი მეტოქე მოატყუა, წინ გამოსული მეკარეც ცრუმოძრაობით მინდორზე დასცა და მეორედ აიღო მილანელთა კარი. საბოლოოდ ის მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა, სივორი კი სწორედ იმ თამაშის მერე გაეცნო ხალხს.

მიუხედავად სუსტი აღნაგობისა, ტურინელი მარცხენაფლანგელი მეტოქეთა მცველებს ნამდვილ ჯალათად მოევლინა. მის წინააღმდეგ გაცილებით ტანმაღალ, ახოვან, ძლიერ უკანახაზელებს, ენებავთ სხვა ამპლუის ფეხბურთელებს უთამაშიათ, თუმცა ფეხმარდი სივორის „დაჭერას“ ვერა და ვერ ახერხებდნენ. იყო უხეშობაც, თუმცა მინდორზე გართხმული სივორი იშვიათად რომ ვინმეს ენახოს.

ჰო მართლა, „ბებერი ქალბატონის“ შვილობილი ერთობ ახირებული ფეხბურთელი გახლდათ — მუდამ ჩაჩაჩული წინდებით და წვივსაფრების გარეშე თამაშობდა. ცოტა უცნაურია არა? იტალიაში, იქ, სადაც დაცვას აღმერთებენ და მცველები გოლის თავიდან ასაცილებლად არაფერს ერიდებიან, თამაშობდე წვივსაფრების გარეშე, ეს შეიძლება სიგიჟედ ან რაც გნებავთ იმად ჩათვალონ. იტალიური კარიერის მანძილზე სივორის არასდროს უთამაშია წვივსაფრებით. მკვლელი უნდა იყო დაუცველ მოთამაშეს ფეხებში რომ ჩაარტყა, უთქვამს მას ერთხელ. „ამ საქციელით გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვახდენდი მცველებზე და მართლაც, ჩემთვის ფეხებში არასდროს უთამაშიათ უხეშად“ — ეს სიტყვები ომარ სივორიმ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ წარმოთქვა, მაშინ, როცა ძველებურად მუხლი ვეღარ უჭრიდა.

როგორც ყველა ფეხბურთელი, სივორიც ცრუმორწმუნე გახლდათ. მაგალითად თამაშის წინ შვიდჯერ იხსნიდა და იკრავდა ბუცების თასმებს, თან აუცილებლად მარჯვენა ფეხზე, ამასთანავე თამაშისწინა მოსათელ ვარჯიშებზე ერთი-ორჯერ ბურთიანად შედიოდა კარში, რასაც იმით ხსნიდა, რომ ბურთს კარისკენ უკვალავდა გზას, რაც გოლის გატანაში ეხმარებოდა.

ერთხელ, ბაზაზე ყოფნისას რადიოთი მოუსმენია, რომ შვედეთში ვიღაც ბიჭს ბურთი ორი საათი უკენწლია, საბოლოოდ კი მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია. მოგვიანებით, შემდგომი სამი საათის მანძილზე ომარისთვის თვალი ვერავის მოუკრავს, სულ ბოლოს კი საკალათბურთო დარბაზის სარდაფში მაგნეს, მაშინ, როცა ბურთს კენწლიდა, თან სპეციალურად დანიშნული დრო უკვე სამ საათს გადაცილებულიყო. „მსურდა, ჩემი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ კენწლაში მსოფლიო რეკორდსმენი ვიყავიო — უთქვამს მას.

1960-61 წლების სეზონი სივორისთვის კარიერის პიკად იქცა — გარდა იმისა, რომ „იუვენტუსთან“ ერთად მორიგი სკუდეტო (იტალიის ჩემპიონის ტიტული) მოიგო, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს. იმ წელს, როცა ევროპაში ქუხდა ალფრედო და სტეფანოს, რაიმონ კოპას, ჟუსტ ფონტენის, ფერენც პუშკაშის, ფრანსისკო ხენტოს, ლუის სუარესის, ჯონ ჩარლზის და სხვათა სახელები, უძლიერესად მაინც სივორი აღიარეს. იგი ბრწყინვალე ფორმაში იყო.

იმ სეზონში, იტალიის ჩემპიონატში ომარ სივორიმ სამი „ჰეთ თრიკი“ შეასრულა, რაც დღემდე ერთ-ერთ საუკეთესო მიღწევად რჩება. საერთო ჯამში 32 ნათამაშევ მატჩში 25 გოლი შეაგდო, ბომბარდირობა კი მხოლოდ გენუის „სამპდორიას“ ფორვარდ ბრინგეტის დაუთმო. გარდა ამისა, ომარ სივორიმ 1960-61 წლების ჩემპიონატში სამი ბრწყინვალე შეხვედრა ითამაშა, რომელიც იტალიური, შესაძლოა მსოფლიო ფეხბურთის კლასიკადაც ჩაითვალოს — „მანტოვასთან“, „ინტერთან“ და „ფიორენტინასთან“ (სამივე თამაში მეტოქის მოედნებზე გახლდათ) სივორი უბრალოდ შეუდარებელი გახლდათ. მისი ბრწყინვალება პიკს აღწევდა, იგი სასწაულებს სჩადიოდა. რაც შეეხება იმავე სეზონში გენუელებთან გატანილ გოლს, ეს საერთოდ ენით აუწერელი სილამაზე იყო — ხუთ (!) მეტოქეს გაცდენილმა სივორიმ ულამაზესი, „მოჭრილი“ დარტყმით მარცხენა დაბალ კუთხეში გაახვია ბურთი.

...აღმართს, მწვერვალს ნელ-ნელა დაღმასვლა მოჰყვა. ეს ბუნებრივი და მოსალოდნელიც იყო. ძველები წავიდნენ, ახლები მოვიდნენ, თაობები შეიცვალა, თუმცა კვალი, რომელიც ომარ სივორიმ იტალიის სტადიონებზე დატოვა, წარუშლელი დარჩა.

ისტორიას ომარ სივორი იტალიელად შემორჩა. ოქროს ბურთსაც, როგორც იტალიელი მოთამაშე, ისე დაეუფლა, თუმცა ყველაფრის მიუხედავად იგი მაინც „ორიუნდი“ გახლდათ. ერთი იმ ათასიდან, რომელმაც სახელი და დიდება სამშობლოდან გადახვეწილმა მოიპოვა.

ენრიკე ომარ სივორი

დაიბადა 1935 წლის 2 ოქტომბერს არგენტინის ქალაქ სან ნიკოლასში.
თავდამსხმელი
წონა: 70 კგ
სიმაღლე: 1,71 სმ
კლუბები: „სან ნიკოლასი“ (არგენტინა, 1951-54), „რივერ პლეიტი“ (არგენტინა, 1954-57), „იუვენტუსი“ (იტალია, 1957-65), „ნაპოლი“ (იტალია, 1965-69)
ტიტულები: არგენტინის ჩემპიონი — 1955, 56; იტალიის ჩემპიონი — 1958, 60, 61; იტალიის თასი — 1959, 60, 65; სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი — 1957

სპორტლოტო 1/7

კითხვა-პასუხი

— ხო, ხო, ხო, რა თამაშები, რა გუნდები, რა სტადიონები... არა, ძმაო, ჩვენ მაგათთან რას მივალთ?

— ვისთან?

— ემაგათთან, გიგზრივალდოებთან.

— რათა? ჩვენთანაც შეინიშნება.

— რა?

— სწრაფვა მომავლისკენ.

— შენ რა, პარტიის კრებაზე იყავი?

— პარტიის კრებაზე კი არა, ბორჯომში ვიყავი.

— აბა, რა სწრაფვა შეინიშნება?

— რო უკეთესობა იყოს.

— კაცო, მე ფეხბურთზე გელაპარაკები, ნავთობზე კი არა.

— მეც ნავთობზე გელაპარაკები.

— არა, არა, მე მინდა ბრონდბიუ, არ მინდა სულ ნავთი და ცეცხლი.

— უმაგნავთოთ ბრონდბიუც არ გვეყოლება.

— რათაო?

— მნიშვნელობა უნდა შევიძინოთ.

— რისი?

— რო თავზე ქუდი გვხურავს.

— და სონი ანდერსონს აქვს შეძენილი?

— რა?

— მნიშვნელობა.

— არა, სონი ანდერსონს პორშე აქვს შეძენილი. ზეედორფსაც და რონალდოსაც.

— მაგით ვერ გამოაცებ, ერთიორი პორშე ჩვენც მოგვეძებნება.

— ხო მაგრამ, ჩვენი პორშე ისე არ ჩანს ქუჩაზე.

— ეხლა არ მითხრა, ეგეც ნავთობის გამოაო.

— მნიშვნელობა უნდა შევიძინოთ.

— ბურთაობას რა მნიშვნელობა უნდა? ბურთაობა უნდა და მორჩა.

— და არ გამოდის უიმისოდ.

— სტადიონზე როდის დამთავრდება სყიმების დადგმა?

— როცა მანჩესტერ სიტი ჩემპიონთა ლიგას მოიგებს.

— რა ენამწარე ხუმრობაა.

— მწარე ის არის, რომ ვერ ავამუშავეთ.

— რა?

— გიგზრივალდოიანი მოტორი.

— ეგეთი მოტორი არც არასდროს გვქონია.

— მაშ, როგორი გვქონდა?

— არ ვიცი. ისეთი არასოდეს გვქონია, იქ რომ გაგვეხურებინა.

— მე მაინც იმაზე ვფიქრობ, რო აღორძინდეს ჩვენი თამაში ჭეშმარიტად.

— და მაგისთვის რა არის საჭირო?

— მაისურზე „სონი“ მაინც უნდა გეწეროს.

— მაიტა დაგაწერო ეგ „სონი“, ვის მოუგებ? რიგალდოს სულ არ აწერია არაფერი.

— და გაბა?

— გაბა რა შუაშია?

— გაბას რა აწერია გულზე?

— გაბას აწერია, სამშობლოსათვის, სტადიონისათვის.

— კარგი იქნებოდა, ჩვენც ეგ დაგვეწერა.

— ნაღდად პარტიულ კრებაზე ყოფილხარ.

— შენ ფეხბურთი არ გყვარებია?

— არა, მე ტყუილად დაწერა არ მიყვარს.

— ამით რას უშველი?

— გიგზრივალდოიან ამბისკენ მივახედებ ხალხს.

— მაინც შეინიშნება.

— რა?

— რო დარბიან, კარგია.

— რაც რომ ბუტურლაინს ურბენია, ამდენი არ ურბენიათ ერთად მარადონას, პელეს და დისტეფანოს.

— ბუტურლაკინი ვინ არის?

— და შენ ფეხბურთზე მელაპარაკები?

— რა ვქნა? ვიმედოვნებ.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. V ტური

19 სექტემბერი

ბოხუმი — შალკე	1,9	2,9	3,6
ნიურნბერგი — კაიზერი	2,5	2,9	2,5
ლევერკუზენი — დორტმუნდი	1,9	2,9	3,6
ვოლფსბურგი — ვერდერი	1,9	2,9	3,6
შტუტგარტი — მიუნხენი	1,5	3,3	6,0

20 სექტემბერი

ბაიერნი — ჰამბურგი	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,1	3,0
დუისბურგი — მ'გლადბახი	2,0	2,9	3,4

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. VII ტური

19 სექტემბერი

დუსელდორფი — ვატენშაიდი	1,6	3,2	5,0

20 სექტემბერი

ფორტუნა — კარლსრუე	1,8	2,9	4,2
მაინცი — ჰანოვერი	1,9	2,9	3,6
გიუტერსლო — ულმი	2,7	2,9	2,3
ზანქტ პაული — უნტერჰახინგი	2,0	3,0	3,3

21 სექტემბერი

კორტბუსი — კიოლნი	1,7	3,1	4,4

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VI ტური

19 სექტემბერი

ჭოვენთრი — ნიუკასლი	2,3	2,9	2,8
დერბი — ლესტერი	1,8	2,9	4,2
ლიდსი — ასტონ ვილა	1,9	2,9	3,6
ლივერპული — ჩარლტონი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,3	3,4
მიდლსბრო — ევერტონი	1,7	3,0	4,7
ნოტინგემი — ვესტჰემი	2,3	2,9	2,7
საუთჰემპტონი — ტოტენჰემი	2,6	2,9	2,4
უიმბლდონი — შეფილდ უენსდეი	1,8	3,0	4,0

20 სექტემბერი

არსენალი — მანჩესტერი	2,1	2,9	3,2

21 სექტემბერი

ბლეკბერნი — ჩელსი	2,6	2,9	2,4

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. IX ტური

19 სექტემბერი

ბარნსლი — კრ. პალასი	2,2	2,9	3,0
ბირმინგემი — გრიმსბი	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,8
ბერი — ტრანმერი	1,5	3,3	6,0
ჭრიუ — ბოლტონი	2,4	2,9	2,6
ჰადერსფილდი — ვულვზი	2,2	2,9	3,0
იფსვიჩი — ბრისტოლი	1,5	3,3	6,0
პორტ ვეილი — პორტსმუთი	2,0	2,9	3,4
ქპრ — სტოკპორტი	2,2	2,9	3,0
შეფილდ იუნ. — ნორვიჩი	2,1	2,9	3,2
სანდერლენდი — ოქსფორდი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,3	3,4
სვინდონი — უოტფორდი	2,3	2,9	2,8

20 სექტემბერი

ვესტ ბრომვიჩი — ბრედფორდი	1,5	3,4	5,6

საუფრანგეთის ჩემპიონატი. VI ტური

19 სექტემბერი

ლე ავრი — სტრასბური	1,9	2,9	3,6
რენი — ბასტია	1,8	2,9	4,2
ლიონი — ლანსი	1,8	3,0	4,0
ნანტი — ლორანი	1,5	3,3	6,0
მონპელიე — ნანსი	1,6	3,0	5,6
მეცი — ტულუზი	1,9	2,9	3,6
ოსერი — სოში	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,0	3,1

20 სექტემბერი

პსჟ — მონაკო	2,1	2,8	3,3
მარსელი — ბორდო	2,0	2,8	3,5

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. II ტური

20 სექტემბერი

ბოლონია — უდინეზე	1,8	2,9	4,2
ემპოლი — რომა	2,8	2,9	2,3
ვიჩენცა — ფიორენტინა	2,4	2,9	2,6
ლაციო — ბარი	1,25	4,4	8,0
0:1	2,0	2,9	2,6
იუვენტუსი — კალიარი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ვენეცია — პარმა	2,5	2,9	2,5
სალერნიტანა — მილანი	3,4	2,9	2,0
ინტერი — პიაჩენცა	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
სამპდორია — პერუჯა	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. III ტური

19 სექტემბერი

ვერონა — რეჯანა	1,6	3,0	5,6

20 სექტემბერი

კოზენცა — კიევო	2,0	2,9	3,4
კრემონეზე — ფ. ანდრია	1,5	3,4	5,6
ლეჩე — ტრევიზო	1,6	3,0	5,6
ლუკეზე — ბრეშია	2,3	2,9	2,8
მონცა — ვენეია	2,0	2,9	3,4
ნაპოლი — რეჯინა	1,25	4,4	8,0
0:1	1,9	3,1	2,8
პესკარა — ატალანტა	2,8	2,9	2,3
რავენა — ჩეზენა	1,6	3,0	5,6
ტერნანა — ტორინო	3,2	2,9	2,1

ესპანეთიის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მე-3 ტური

19 სექტემბერი

რეალი — ბარსელონა	1,8	2,9	4,2

20 სექტემბერი

ოვიედო — ტენერიფე	1,8	2,9	4,2
სოსიედადი — მალიორკა	2,2	3,3	2,4
ესპანიოლი — ატლეტიკო	2,2	2,9	3,0
სალამანკა — დეპორტივო	2,3	2,9	2,8
ვალენსია — ვილარეალი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,7	3,2
სელტა — ვალიადოლიდი	1,6	3,2	5,6
ესტრემადურა — ბილბაო	2,4	2,9	2,6
რასინგი — ბეტისი	2,5	3,3	2,1
ალავესი — სარაგოსა	2,4	2,9	2,6

ესპანეთიის ჩემპიონატი. II დივიზიონი. მე-4 ტური

19-20 სექტემბერი

რეკრეატივო — მალაგა	2,4	2,9	2,6
მერიდა — ორენსე	1,7	3,1	4,4
ლუგანესი — სევილია	2,9	3,0	2,2
ბადაზოსი — კომპოსტელა	2,9	3,0	2,2
ოსასუნა — ნუმანსია	2,5	2,9	2,5
ერკულესი — ლეიდა	1,8	2,9	4,2
ბარსელონა B — ლოგრონიესი	2,9	3,0	2,2
ალბასეტე — რაიო ვალეკანო	2,3	2,9	2,8
ტოლედო — ატლეტიკო B	1,7	3,1	4,4
ეიბარი — მალიორკა B	2,3	2,9	2,8
სპორტინგი — ლას პალმასი	2,3	2,9	2,8

პორტუგალიის ჩემპიონატი. მე-4 ტური

19 სექტემბერი

სპორტინგი — კამპომაიორენსე	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ბოავიშტა — ლეირია	1,5	3,2	6,5

20 სექტემბერი

ამადორა — აკადემიკა	1,5	3,3	6,0
რიუ ავე — შავეში	2,0	3,0	3,3
ბეირამარი — სეტუბალი	1,9	2,9	3,6
ფარენსე — ბენფიკა	6,5	3,6	1,4
მარიტიმუ — პორტუ	5,0	3,2	1,6
გიმარაეში — ბრაგა	2,0	2,9	3,4
ალვერკა — სალგეირუში	2,5	2,9	2,5

რუსეთიის ჩემპიონატი. 25-ე ტური

20 სექტემბერი

კრილია — როტორი	2,5	2,9	2,5
ურალანი — შინიკი	1,5	3,6	5,0
ალანია — ჩერნომორეცი	1,5	3,5	5,3
ცემშუეინა — ზენიტი	2,5	2,9	2,5
დინამო — ლოკომოტივი	2,5	3,2	2,3
ტიუმენი — ცსკა	8,0	5,3	1,2
ბალტიკა — ტორპედო	2,2	2,9	3,0
სპარტაკი — როსტსელმაში	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8

კოლანდიის ჩემპიონატი. მე-5 ტური

19 სექტემბერი

აზ — ტილბურგი	2,2	2,9	3,0
კამბური — ტვენტე	2,5	2,9	2,5
მაასტრიხტი — ვიტესი	5,0	3,2	1,6

20 სექტემბერი

ვალვაიკი — ჰერენვენი	3,2	2,9	2,1
უტრუხტი — სიტარდი	1,4	3,6	6,5
0:1	2,1	3,2	2,1
სპარტა — ბრედა	1,8	3,0	4,0
აიაქსი — გრაიფსხაპი	1,05	8,0	14,0
0:1	1,25	4,7	5,0

22 სექტემბერი

ეინდჰოვენი — ფეიენორდი	2,5	2,9	2,5

ბელგიის ჩემპიონატი. მე-7 ტური

19 სექტემბერი

ოსტენდე — მუსკრონი	2,4	2,9	2,6
სტანდარტი — ბევერენი	1,5	3,3	6,0
გენტი — შარლეროა	1,8	2,9	4,2
გენკი — კორტრაიკი	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
ანდერლეხტი — სტ. ტრიუდენი	1,9	2,9	3,6
ლოკერენი — ბრიუგე	2,5	2,9	2,5
ლიერსი — ვესტერლო	2,3	2,9	2,8

20 სექტემბერი

ჰარელბეკე — ეკერენი	1,8	3,0	4,0
ალსტი — ლომელი	1,9	2,8	3,8

პოლონეთის ჩემპიონატი. მე-9 ტური

19-20 სექტემბერი

ბელხატოვი — ვიძევი	2,2	2,9	3,0
ვისლა — ლეგია	2,0	2,8	3,5
რუხი — კატოვიცე	1,8	3,0	4,0
ლკს — ამიცა	2,5	2,9	2,5
გურნიკი — რაძიონკოვი	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,1	3,0
პოგონი — ლეხი	2,2	2,9	3,0
ოდრა — სტომილი	2,0	2,9	3,0
პოლონია — ზაგლებიე	1,8	3,0	4,0

თურქეთის ჩემპიონატი. მე-6 ტური

19 სექტემბერი

ისთანბული — საქარია	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
გენწლერბირლიგი — ქარაბუქი	1,2	5,0	9,0
0:1	1,8	3,0	3,1

20 სექტემბერი

ალთაი — ანთალია	2,0	2,9	3,4
ფენერბახჩე — გალათასარაი	2,5	2,9	2,5
ქოჯაელი — ბეშიქთაში	3,6	2,9	1,9
ადანა — სამსუნი	1,8	3,0	4,0
ერზურუმი — ტრაბზონი	2,8	2,9	2,3

შოტლანდიის ჩემპიონატი. მე-6 ტური

19 სექტემბერი

დანდი — დანდი იუნაიტედი	2,4	2,9	2,6
დანფერმლაინი — ჰარტსი	3,2	2,9	2,1
მოზერველი — კილმარნოკი	2,0	2,9	3,4
სტჯონსტონი — აბერდინი	2,2	2,9	3,0

20 სექტემბერი

რეინჯერსი — სელტიკი	2,0	2,9	3,4

ავსტრიის ჩემპიონატი. მე-8 ტური

19 სექტემბერი

გრაცერი — ლუსტენაუ	1,1	6,0	12,0
0:1	1,4	3,6	4,0
ზალცბურგი — შტაირი	1,3	4,0	7,5
0:1	2,0	3,0	2,5
ტიროლი — შტურმი	2,5	2,9	2,5

20 სექტემბერი

რაპიდი — რიდი	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,3	3,8

შვეიცარიის ჩემპიონატი. მე-11 ტური

19 სექტემბერი

გარსპორი — ლუცერნი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,3	3,4
იანგ ბოიზი — ცსკა ცური	2,5	2,9	2,5
ლუგანო — ბაზელი	2,4	2,9	2,6
სიონი — სერვეტი	3,3	2,8	2,1

20 სექტემბერი

არაუ — ციურიხი	1,9	2,9	3,6
ლოზანა — სტ გალენი	1,8	2,9	4,2

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

მეც ითამაშე მარიოს მილიონებში!

ლემიე პინგვინებს გაპარსვას შპირებს



მარიო ლემიე თავისის გატანას მიჩვეულია

ეტყობა, ამ ყბადაღებულ, ჩახლართულ და გაჭიანურებულ საქმესაც მალე დაადგება საშველი. ეს ამბავი ასე დაიწყო: ჰოკეის შარშან გამოთხოვებულმა პიტსბურგის სახელოვანმა ფორვარდმა მარიო ლემიემ „პინგვინთა“ ამჟამინდელ პატრონს როჯერ მარინოს მაგიდაზე ასეთი შინაარსის მოთხოვნა დაუდო: 1992 წელს მე და კლუბის მაშინდელი მფლობელი ჰოვარდ ბოლდუინი ოფიციალურად შევთანხმდით, კარიერას რომ დავასრულებდი, კლუბისგან საკმაოდ სოლიდურ თანხას მივიღებდი. აი, მოვრჩი თამაშს და ხელშეკრულების თანახმად კლუბისგან ფულიც მერგებაო. ამ კონტრაქტის პირობები დაწვრილებით არ გაცხადებულა, მაგრამ საქმეში ჩახედულთა ვარაუდით ლაპარაკია 24-დან 42 მილიონამდე დოლარზე. ეს კი, იცოცხლეთ, კაიხელა ფული გახლავთ და აკი მთავარი პინგვინი მარინოც ნირწამხდარი აწრიალდა, საიდან მოვიტანო ასე უცებ ამხელა თანხაო. ის კი არა, იქით დაადო ვალი ლემიეს, რაც შენ წახვედი, კლუბის საქმეც უკან წავიდა, ხალხი „პინგვინების“ სანახავად აღარ დადის და ძალიანაც მეორის უკუსვლის მიზეზია ხოლმე. გარი სინდენი წუწურაქობით ცნობილი კაცია და რახან ბურკს ასე ეფერება და ამწყალობებს, ეს იმას ნიშნავს, სხვებს მოაკლებს გულისხმიერებასაც და ფულსაც. ერთი სიტყვით, ბურკის ახალი კონტრაქტი იმის საწინდარია, რომ ახალგაზრდა „დათვებში“ გამორჩეულთ — ჯემი ელისონს, აარონ კარტერს და ბურკივით ვეტერან დმიტრი ხრისტიჩს უკეთეს საკონტრაქტო პირობებთან ანუ მეტ ფულთან მოუწევთ დამშვიდობება. ეს ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც ბოლო სეზონში კლუბის ბომბარდირთა ხუთეულში მყოფ კარტერს, რომელიც მართლაც სასაცილო გასამრჯელოს 300 000 დოლარს იღებდა, სინდენმა არანაკლებ სასაცილო 10-პროცენტიანი დანამატი შესთავაზა.

სამველ ღარიბიანი

მაიკლ ჯერკოვიცის რჩეული საკრივო ფურცლები



თურცული მეოცე

ვერგამოსული დიდი ჩხუბი

ზარი

მოდით, ჩარლი როუზს ველაპარაკოთ. უფრო სწორად, გავიხსენოთ ის, რასაც ჩარლი როუზი გვიამბობდა, სანამ ცოცხალი იყო. ჩარლი ძველი დროების პრომოუტერი გახლდათ და ბროდვეიზე, პატნემ ბილდინგში ჰქონდა კანტორა, საიდანაც მსუბუქი წონის მოკრივეთა ბედს განაგებდა და მატჩების გამართვას ხელმძღვანელობდა.

მიუხედავად იმისა, რომ როუზი მძიმე წონის საქმეებში არ ერეოდა, სწორედ ის აღმოჩნდა მონაწილე ერთი დიდი შერკინების მზადებისა, რომელიც არ შედგა, არადა, რომ შემდგარიყო, კრივის ისტორიას სამუდამოდ შემორჩებოდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალისმომჭრელი სანახაობა და დაუვიწყარი ბრძოლა დიდ მოკრივეთა შორის.

1925 წლის აგვისტო იდგა. ჩარლი როუზი თავის ოფისში იჯდა და ჭერს შესცქეროდა. საქმე ცოტა მჭონდაო, ასე გვეუბნებოდა თვითონ და ჩვენ რომ არ დავუჯეროთ, სირცხვილიც კი იქნება, ჩარლი როუზი ხომ კეთილი მოზუცი იყო. მოკლედ, სწორედ ამ დროს დარეკა ტელეფონმა.

„გამარჯობა ჩარლი, ფლოიდ ფიცსიმონსი გელაპარაკება საუს ბენდიდან, ინდიანაში რომაა“.

„გაგიმარჯოს ფლოიდ“.

„მისმინე, ჩარლი, მე მინდა, რომ ჰარი ვილსი დემპსის შევახვედრო საუს ბენდში. ჯეკს იოლად შევკერავ, მაგრამ პედი მულინსს არ დავლაპარაკებივარ“.

„პედი აქ არის, ნიუ იორკში“.

„ვიცი, ვიცი, მაგრამ პედი და შენ ძმაკაცობთ და მინდა შენ დაელაპარაკო. ჰარის ერთიღა დარჩა — ჯეკთან შეხვედრა. ჩემზე კარგ პირობებს ვერავინ შესთავაზებს. ჰარის სჯერა, რომ ჯეკს მოერევა. ჯეკიც ფიქრობს, რომ წააქცევს მას. ჰარი უკვე ოცდათექსმეტისაა, რამდენიღა დარჩენია? მისმინე ჩარლი, აქ ორმოცათასიან არენას ავაშენებ საგანგებოდ ემაგ ჩხუბისთვის, ორი მილიონი დაჯდება და თუ მაგ საქმეს მომიკვარახჭინებ, მოგებიდან ორ პროცენტს გამოვალ“.

„ვინ დგას შენს უკან, ფლოიდ?“

„ აი, მაგას კი ვერ გეტყვი. ფული არის და...“

„უმჯობესია შენც ჩამოხვიდე, ფლოიდ...“

„კარგი, ხვალ ნიუიორკში ვიქნები“.

დროება

ეს იყო 20-იანი წლები. მშფოთვარე 20-იანი წლები. ჟამი მშრალი კანონისა, ბუტლეგერებისა, ყავის ფინჯანში ჩამოსხმული ვისკისა და ეს ის დრო იყო, როცა

ვილსი და მისი მენეჯერი პედი მულინსი. სურათი მედისონშია გადაღებული

კრივში დიდი ფული გამოჩნდა. დიდი შავი ფულიც და დიდი თეთრი ფულიც. დიდი დეპრესიის წინა წლები იყო, ფული მოდიოდა და მოდიოდა.

ფლოიდ ფიცსიმონსს მძიმე წონის განთქმული ჩემპიონის ჯეკ დემპსის ბოლო ბრძოლა მოეწყო, პედი მულინსი კი განთქმული შავი მოკრივის ჰარი ვილსის საქმეთა გამრიგე გახლდათ.

1925 წლის შემოდგომისთვის მძიმე წონაში ვითარება ასეთი იყო: ჩემპიონ დემპსის, ერთი შეხედვით, ბადალი არ ჰყავდა — 1923 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, როცა ნიუ იორკის პოლო გრაუნდზე დასცა ლუის ანჯელ ფლიპო, დემპსიმ ექვსი ბრძოლა გამართა და მოწინააღმდეგენი აქეთ-იქეთ მიყარ-მოყარა. იმ დროის მენეჯერებს, რა თქმა უნდა, უხაროდათ ეს ამბავი, მაგრამ მეორე მხრივ დარდობდნენ, რომ მძიმე წონის ჭიდილმა სახალხო ინტერესი დაკარგა და შემოსავალი კლებულობს. ხმაურიანი ორთაბრძოლა არ ჩანს, ხალხმა იცის, რომ დემპსი მოიგებს და მაშინ რაღა საჭიროა ამხელა არენები, ღია, ცისქვეშა ფიცარნაგები და ხმაური.

ფლოიდ ფიცსიმონსი მთელ წელიწადს ფიქრობდა ღირსეულ მეტოქეზე, ანუ ისეთ კაცზე, ვინც დემპსის ოფლს და სისხლს დააღვრევინებდა. მის წინაშე იყო ჯინ ტანი, ქვემძიმე წონის ჩემპიონი და ნამდვილი ვარსკვლავი, რომელსაც სულ ახლახან შემოეღო მძიმეწონოსანთა დივიზიონის კარი და ემატებოდა როგორც წონა, ასევე ოსტატობა და გამოცდილებაც. ჯინ ტანი ფანტასტიკური მოკრივე იყო, მაგრამ იმხანად შედარებით „მსუბუქ“ მძიმეწონოსნებს არჩევდა მოწინააღმდეგეებად. ჩემპიონთან შესარკინებლად ის ჯერ არ გამოდგებოდა.

მაგრამ იყო მეორეც — ჰარი ვილსი, გამოცდილი და ხნოვანი დიდოსტატი, სახალხოდ „ნეგროდ“ წოდებული თავისი სიზანგის გამო. ვილსი არასოდეს ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონი და 1924 წელსაც ორადღიანი ბრძოლა გამართა, მაგრამ სახელი და პატივი დიდი ჰქონდა და როგორც საკრივო ფიგურა უაღრესად კოლორიტული გახლდათ. მენეჯერიც სახელიანი ჰყავდა და დემპსის წინაშე ღირსეულად დგომაც შეეძლო. უფრო სწორად, წინდაწინ ვერც კი იტყოდი, აი, ამ კაცს ჯეკი მოერევაო.

ფლოიდ ფიცსიმონსმაც იგი შეარჩია, მით უმეტეს, რომ კრივის მოყვარე საზოგადოება და გაზეთები ერთხმად მოითხოვდნენ — ვილსი და დემპსი ერთმანეთს უნდა შეერკინონო. ჰოდა, ფლოიდმა ფულის ძებნა დაიწყო. დაიწყო და იპოვა კიდეც, საუს ბენდში ერთი სასტუმროს მეპატრონე ცხოვრობდა, სახელად ჩარლი ვეისბერგერი. სწორედ ამ კაცმა უთხრა ფიცსიმონსს, მავანს სურვილი აქვს, ერთი კარგ ჩხუბში ჩადოს ფული იო. „მავანის“ ვინაობას არ ასახელებდნენ, მაგრამ ფლოიდმა მშვენივრად იცოდა, რომ ფულს მულტიმილიონერ სტუდებეიკერთა ოჯახის ერთერთი წევრი გამოდიოდა. სტუდებეიკერები იმხანად მატარებლის ვაგონებს უშვებდნენ, შემდგომში კი საავტომობილო საქმეში გადაბარგდნენ.

ასე რომ, ფლოიდ ფიცსიმონსს მოჭიდება შეეძლო. მან ამჯობინა ჩარლი როუზის პირით ელაპარაკა. მას და მულინსს ძველი მტრობა ჰქონდათ, ჩარლი კი ორივეს მეგობარი იყო.

დასაწყისი

ფლოიდ ფიცსიმონსი მატჩმეიკერი, ბრძოლების მოწყობი იყო. მისი მთავარი პრობლემა მენეჯერებთან მოლაპარაკება გახლდათ. მოგეხსენებათ, მოკრივე უმეტესწილად არაფერია და ის სატელეფონო ზარიც ჩარლი როუზის ოფისში რომ გაისმა, არ იყო მხოლოდ ძველი მტრობის შედეგი.

მეორე დღე კვირა იყო. ფლოიდი ნიუ იორკში ჩამოვიდა და ის და ჩარლი ტაქსით გაეშურენ ბრუკლინისკენ, სადაც ოუშენ პარკვეის 218-ე სახლში მულინსი ცხოვრობდა. ჩარლი ლოგინში მწოლარეს წამოადგა თავს მულინსს. ამ უკანასკნელს ალისფერი პიჟამო ეცვა.

„რა გეტყვა ჩარლი ამ კვირა დღეს?“

„საქმეა“, — მიუგო ჩარლიმ და მთელი ამბავი გადმოულაგა.

ხუთი წუთის განმავლობაში პედი მულინსი იმგვარი მონდომებით იგინებოდა, რომ მთელ პარკვეის ესმოდა. ალბათ, ესმოდა ტაქსში მომლოდინე ფიცსიმონსსაც, მაგრამ რას იზამდა?

„წყალს და მეწყერს წაუღია ეგ კალიფორნიელი თაღლითი!“ პედი ასეთი ბობოქარი კაცი იყო, მაგრამ ჩარლიმ ნელნელა დაუწყო ლაპარაკი. უთხრა, რომ ორასი ათასი დოლარის შოვნა შეიძლება და როცა ამ საქმეზეა ლაპარაკი, კინკლაობის გაბსენება სისულელეა. ჩარლიმ მთელ საათს ილაპარაკა.

მერე პედიმ პიჟამო გაიხადა და კოსტუმი ჩაიცვა, ახლა კი სერიოზულად ვილაპარაკოთო.

„კარგი, ნეგროს თანხმობა ჩემზე იყოს, მაგრამ ვინ მომიყვანს დემპსის? შენ ხომ იცნობ ტექს რიკარდს? ტექსს ვინ გამოაცლის ხელიდან დემპსის? აპირებს საერთოდ ჩხუბს?“ — ეს იყო მისი კითხვები.

ჩარლიმ ფანჯარა გამოაღო და ტაქსში მჯდომს გადასძახა:

„ფლოიდ, ამოდი, სალაპარაკოა!“.

დასხდნენ და ილაპარაკეს. მერე ედიმ სახვალიოდ დაიბარა:

„ჩემს ოფისში მოდით. მე ვილსს დაგახვედრებთ. ოღონდ, თქვენ დემპსი მიშოვეთ“.

ფლოიდმა კი უთხრა: „თქვენ ორასი ათასს აიღებთ. თუ ჩხუბი ჩაიშლება, ორმოცდაათი ათასი მაინც შეგხვდებათ და კიდევ ხუთი ათასი სავარჯიშო ფული. თუ ტოტალიზატორი იმუშავებს, კიდევ ოც პროცენტს გამოვლენ“.

ამბასადორში

როუზმა გადაწყვიტა ტექს რიკარდის გვერდის ავლით დალაპარაკებოდა დემპსის. რიკარდი განთქმული კაცი იყო, თავის ნებაზე ატრიალებდა ჩემპიონს და მისი შემოვლით ლაპარაკი უკეთესი იყო. ჯეკი ნიუ იორკში, სასტუმრო „ამბასადორში“ იდგა თავის ქალთან, ესტელა ტეილორთან ერთად. ჩარლი დაუჯდა და ელაპარაკა.

„ჩარლი, უთხარი რომ ვიჩხუბებ. საუს ბენდზეც თანახმა ვარ“, — თქვა დემპსიმ, „მაგრამ მე მილიონი უნდა ავიღო“.

როუზი დაეთანხმა, დაჰპირდა, ორთაბრძოლის შემდეგ სუფთა მილიონს მიიღებო და დემპსიც მომავალი მოწინააღმდეგით დაინტერესდა.

ჩარლიმ მოკრივე ბარტლი მედენი მოძებნა და ამბასადორში წაიყვანა დემპსისთან. მედენი ის კაცი იყო, ვინც შარშან დაეჯახებინა ვილსს. მან დაარწმუნა ჯეკი, რომ ოცდათექვსმეტი წლის ვილსთან ბევრი



ოცდაათი წლის შემდეგ — ვილსი, ნიუ იორკის კრივის კომისიის თავმჯდომარე ბობ ქრაისთენბერი და დემპსი

არაფერი გაუჭირდებოდა. „შენ რვა რაუნდში დააგდებ მას“, - უთხრა ჩარლიმაც, ნეგრომ დარტლი კი წაახდინა, მაგრამ ის ხომ დემპსი არ არის? ვილსი დიდი მოკრივეა და რისკიც თან სდევს მასთან ჩხუბს. თუმცა, ჰარი დაბერდა და მილიონიც კარგი ფულია“.

ამის შემდეგ ფიცსიმონსი, ჩარლი როუზი და დემპსი ლოს ანჯელესში „ბარბარა ჰოტელში“ შეხვდნენ ერთმანეთს და ხელი ხელს დაჰკრეს, ახლა ვადის დათქმაღა დაგვრჩაო.

მერე ჩარლი ბელასკოს თეატრში შეეყარა ჯეკს და ესტელს და ჯეკმა ჰკითხა, თარიღი ველარ დაადგინეო?

დიდ შერკინებას, თითქოს, აღარაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ ჩარლი გვიამბობდა, ვგრძნობდიო, ვგრძნობდი, რომ ჯეკის „ჰო“-ს უკან „არა“ იდგაო.

არადა, ნელნელა ხმაურიც წამოვიწყეთო. „ორმილიონიანი ჩხუბი!“ — წერდნენ გაზეთები.

ფიცსიმონსმა ოცი ათასის ჩეკი მისცა ჩარლის, რათა საქმე დაეწყოთ.

კვლავ ზარი

პატნემ ბილდინგში კი სწორედ ამ დროს აწკრიალდა ტელეფონი.

„ჩარლი გამარჯობა, ტექს რიკარდი ვარ... არ შეგიძლია, მედისონ სკვერთან გამოხვიდე და მწახო?“

ჩარლიმ ტაქსი გააჩერა და წავიდა.

ტექსმა კი უთხრა: „ჩარლი, შენ ვილსი გყავს. მაგრამ მე მყავს დემპსი. ჯეკი ჰარისთან არ იჩხუბებს, თუ ფლოიდი მე ორმოცდაათპროცენტიან წილში არ გამიყვანს. ჩვენ შეგობრები ვყოფილვართ ერთ დროს. მე ფული გაშოვნინე მაიკ მაკტიგის საქმეში. დაწექი ფლოიდს, თორემ საჩემპიონო ბრძოლა არ შედგება“.

ჩარლის მოეწონა საქმეში ტექსის ჩართვა. ის მსოფლიოს საუკეთესო პრომოუტერი გახლდათ და შეხვედრას სოლიდურობას შემატებდა. მან მიჩიგანში დაურეკა ფიცსიმონსს და ახალი ამბავი აცნო. მეორე ყურმილი ტექსს ეკავა და საუბარს უსმენდა. თუმცა, ეს არ იყო საუბარი, ფლოიდმა ისეთი ლანძღვა-გინება ატეხა, რომ ჩარლის ოფლმა დაასხა. დედა, მამა, ყველა და ყველაფერი აგინა ტექსს, ასი წლის წინ და უკან. არავითარი რიკარდი, მაგის დედაც იქაო და ყურმილი დადო.

ტექსმაც დაკიდა ყურმილი და გაიცინა ისე, როგორც სჩვეოდა.

„ჩარლი“, — თქვა მან — „შენი ძმაბიჭი ბინძური კაცია, უთხარი, რომ ჯეკი არ იჩხუბებს“.

საჩუქარი

ახლა ძნელია წარმოიდგინო, რა მოხდებოდა, ორთაბრძოლა რომ შემდგარიყო. ჩარლი როუზი გვიამბობდა, რომ ფიცსიმონსი გაცეცხლდა, მე კი ჩემს საქმეებს მივყევი ხელი, რამდენიმე ჩხუბი გავმართე სხვადასხვა ქალაქებში, თუმცა დემპსი-ვილსის საქმიდან ვერანაირი მოგება ვერ ვნახეთო.

პედი მულინსმა ნიშნისმოგებით უთხრა ჩარლის, ფიცსთან გადაკიდება აქეთ ფული დაგვიჯდა და ის შეპირებული ორმოცდათხუთმეტი ათასი მაინც გამოართვიო. ფლოიდმა უსიტყვოდ გამოწერა ამ თანხის ჩეკი, ოღონდ პედის მაინც უგანა, ძველი მტრობის ამბავი ვერ დაივიწყა და ფული ჰარი ვილსის სახელზე გამოწერა.

ჩარლი გვიამბობდა, როგორ დაიჭირა ტაქსი და სენტ ნიკოლას სტრიტზე წავიდა, სადაც ვილსი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ. ორივემ ძალიან გაიხარა. ნეგრომ თქვა, მუშტი არ გამიწევია და ფული კი შემხვდაო. მერე აღარ დაიშალა და ამ ფულიდან ორი ათასი ჩარლის მისცა.

მერე კი საქმე ასე წავიდა: 1926 წელს ვილსმა ჯეკ შარკისთან წააგო, მომდევნო გაზაფხულზე კი პრეტენდენტის რეიტინგი დაკარგა, რახან პაულინო უზკუდუნასთან წაიქცა. 1929 წელს ჩარლი როუზი ვილსის მენეჯერი შეიქნა. პედი მულინსი გარდაიცვალა.

1925 წელს დემპსის არ უჩხუბია. 1926 წლის 23 სექტემბერს ფილადელფიაში ჯინ ტანიმ უნოკაუტოდ დაამარცხა დემპსი და ახალი ჩემპიონი შეიქნა.

ტექს რიკარდი კი ისე მოკვდა, რომ იმ ორმოცდათხუთმეტი ათასის ამბავი არც გაუგია. ჩხუბი არ გამოვიდა — მორჩა და გათავდა.

ჰარი ვილსი — ჰარლემის სახელოვანი შვილი

ჯეკ დემპსი: 20-იანი წლების დიდი ჩემპიონი

აბი გლუკოზა სპორტსმენებს

ოლიმპიური კომიტეტი და სპორტსმენები 2000 წლამდე დაძმობილდნენ

რა თქმა უნდა, საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტის ოლიმპიური ორდენით დაჯილდოება დიდი პატივია როგორც თავად ჯანო ბაგრატიონისთვის, ისე ჩვენი ქვეყნისთვის. ეს არის საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის დიდი აღიარება, მით უმეტეს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში სოკ-ის უმაღლესი ჯილდო მესამედ გამოუყენეს საქართველოს გზას. მაგრამ ყოველივე ამან ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს, მით უმეტეს, რომ ჩვენში უმაღლესი სპორტული მწვერვალების დასაპყრობად საქმე საათივით აწყობილი სულაც არ არის და პრობლემები თავზე საყრელად გვაქვს. არც იმან უნდა ჩაგვაგდოს ეიფორიაში, რომ ამ ზაფხულს მოსკოვში მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე ჩვენმა სპორტსმენებმა 140-მდე ქვეყნის წარმომადგენლებთან პაექრობისას, საერთო კომპლექსურ ჩათვლაში VI ადგილი დაიკავეს, პირად პირველობაში კი 17 მედალი, მათ შორის 2 ოქროს ჯილდო მოიპოვეს, რაც სეოკ-ის აღმასკომმა კარგად შეაფასა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ეს ყოველივე დამშვიდების საბაბს სულაც არ იძლევა და არც იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ მოსკოვში გამოსულთაგან ვინმეს 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ვიხილავთ. ეგ კი არა, ავსტრალიაში შესაძლოა ატლანტაზე უარესადაც გამოვიდეთ, რადგან მსროლელს ტყვია არა აქვს, საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლები უწყლოდ დარჩენილან, იქით ვიღაცას დარბაზი თავზე ენგრევა, აქეთ სხვები უმწვრთნელოდ და უფულოდ დარჩენილან. ამიტომ ზოგ ჩვენს სპორტსმენს უცხოეთისკენ უჭირავს თვალი.

ჯანო ბაგრატიონი, ნინო სალუქვაძე და ნონა გაფრინდაშვილი

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

მოკლედ, საითაც არ უნდა გავიხედოთ, ყველა გზას ერთი უმთავრესი პრობლემისკენ მივყავართ. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, უფულობაა. ამიტომ ძალზე სასიამოვნოა ფაქტი, რომელსაც აღმასკომის სხდომის დაწყებამდე სეოკ-ის მუზეუმში შევესწარით — საქართველოს ეოკ-მა ჩვენს საუკეთესო სპორტსმენთა და მათ მწვრთნელთა ერთ ჯგუფთან დადო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ათლეტები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე უცხოეთში არ გადაიხვეწებიან, ხოლო მანამდე მათ სეოკ-ი უნიშნავს ოლიმპიურ სტიპენდიებს 100-დან 400-500-მდე ამერიკული დოლარის ექვივალენტის ოდენობით. თუ ვინ რამდენს მიიღებს, ეს

წავიდა თუ დარჩა ხახალეიშვილი? დათომ სეოკ-ს ხელი მოუწერა, ესე იგი, დარჩა

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

თავად ათლეტთა მიღწევებზეა დამოკიდებული შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან შეთანხმებით.

გადაწყდა საქართველოს ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის ოლიმპიური სტიპენდიების დანიშვნაც, 1999 წლის სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების გამართვისა თუ ეროვნული ოლიმპიური კონკურსის „ხელოვნება და სპორტი 2000“-ის ჩატარების საკითხიც. სხვაც მრავალი სასიამოვნო და სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ „სეოკ-ის თბილისის რეგიონალური ორგანიზაციის ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ“ (ჯემალ ცერცვაძე) თავისებური განხეთქილების ვაშლი აღმოჩნდა, რის შესახებაც ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს და ეს საქმე სამომავლოდ გადადეს.

ავთანდილ გუჩმაზელი

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელიც წინა კვირას უნდა გამართულიყო და, როგორც გვითხრეს, ფედერაციის პრეზიდენტის გოგი ჭათამაძის მოუცლელობის მიზეზით გადაიდო, 18 სექტემბერსღა შედგა

ცხრანიღა დავრჩით...

ჩემპიონატში თამაში გვევრს სურდა, მაგრამ ფული...

გაჭიანურების ერთ-ერთ არგუმენტად ისიც დასახელდა, კორაჩის თასზე „აზოტ“ — „შახტიორის“ მატჩს საკადრისი ორგანიზება სჭირდებოდა და ფედერაციის მოხელეებმაც ამიტომ ვერ მოიცალეს, რაც გარკვეულწილად ჭკუასთან ახლოა.

მოკლედ, ჩვენი მოლოდინი ამჯერადაც აღარ გაცრუვდა. აღმასკომის სხდომა შედგა და მეტნაკლებად ყველა იმ საკითხსაც მოეფინა ნათელი, ესოდენ რომ გვაინტერესებდა უკვე კარსმომდგარი ეროვნული პირველობის დაწყებამდე. ჩემპიონატის დაწყების ბოლო ვადად კი, სხდომიდან გამოღწეულ ხმებს თუ ვენდობით, 1 ოქტომბერი გამოცხადებულა. უკვე ის გუნდებიც ცნობილია, მერვე ეროვნულში რომ მიიღებენ მონაწილეობას. ფედერაციის მიერ წინასწარ შეგულებული ათი გუნდიდან ერთი, არმიის სპორტული კლუბი ზედ პირველობის დაწყებამდე მოვისაკლისეთ. თუ რატომ, ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს: გუნდი დაიშალა და მოთამაშეებმაც სხვა კლუბებს მიაშურეს. ახლა ჩვენი კალათბურთის მმართველ ორგანოს ცხრაგუნდიან კალენდარზე მოუწევს ტკინის ჭყლეტა. აი, ესენიც: ვითა, „აზოტი“, სკასუ, „დინამო“, თსუ, „შევარდენი“, „მაკაბი“, სტუ, „კოლხა“.

საწყენია, მაგრამ წლეულს ვერც ქუთაისურ „რიონს“ ვიხილავთ. გეხსომებათ, ბოლო ორ პირველობაზე ქუთათურებმა შუა სეზონში, თვითნებურად მიატოვეს ჩემპიონატი. ამ შემთხვევაში ფედერაცია შეუვალი აღმოჩნდა და სამართლიანადაც „რიონი“ ქვედა ლიგაში გადაისროლა. ვფიქრობთ, ეს ფაქტი როგორც კლუბის, ასევე ქალაქის ხელმძღვანელობისთვის ჭკუისასწავლი მაგალითია. იმერელთა კვალში „მერანი“ და „დინამო 2“-იც ჩამდგარან — ჩემპიონატში ვერც მათ ვიხილავთ. ფარმ-კლუბს ვინ ჩივის, ერთი ხანობა თვით „დინამოს“ მონაწილეობაც სათუო გახლდათ.

ზემოთ ქვედა ლიგა ვახსენეთ და ბარემ იმასაც გეტყვით, რომ სერიოზული საუბარია პირველი ლიგის შექმნის თაობაზეც, რომელიც ადრეც გვქონდა, მაგრამ ერთკვირიან ტურნირს პირველობას ძნელად თუ ვუწოდებთ. პირველი ლიგით ბათუმისა და გორის ხელმძღვანელებს გამოუთქვამთ დაინტერესება. ქათამაძეს ამ საკითხზე პირადად იმერეთის გუბერნატორ თემერ შაშიაშვილთანაც უსაუბრია და კონკრეტული გეგმებიც დაუსახავთ.

უმაღლეს ლიგაში თამაშზე უარი ეთქვა ნუგზარ ჭეიშვილის კადეტთა ნაკრებს: ჭეიშვილს ცალკე გუნდად უნდოდა გამოსვლა. სპორტის აკადემიის გუნდმა კი, რომელმაც ამ ზაფხულს საკმაოდ იხმაურა, ბოლოს თავად გადათქვა, რაც ალბათ ისევ ფინანსურ სიძნელეებს უნდა მიეწეროს.

ფედერაცია კომპრომისზე წასულა და თანხის შეტანის ვადა, რაც ჩემპიონატში მონაწილეობის აუცილებელი წინაპირობაა, 10 სექტემბრიდან 25-მედ გადაუწევია. შესაბამისად, გუნდებმაც საბოლოო განაცხადები ამ დროისთვის უნდა წარადგინონ.

ახლა კი დროა, ორიოდ სიტყვით ჩემპიონატის დებულებაზეც ვთქვათ, რომელიც აშკარად განსხვავდება ადრინდელთაგან.

ჩემპიონატი ოთხ წრედ ჩატარდება. ესე იგი, თითოეული გუნდი მეტოქეებს ოთხჯერვე გაეჯიბრება. ამის შემდეგ ოთხი საუკეთესო ფლეი ოფის სისტემით განაგრძობს ბრძოლას პირველობისთვის: პირველი მეოთხეს შეხვდება, მეორე — მესამეს.

საიმისოდ რომ წრიული შეხვედრები უფრო დაეძაბათ, ფედერაციელებს ორიგინალური ხერხისთვის მიუგნიათ: თუ პლეი ოფში დაწყვილებულ გუნდებს შორის წინასწარ ეტაპზე ურთიერთშეხვედრებში ანგარიში იქნება 4:0, მაშინ სეზონის მანძილზე უკეთ მოთამაშე გუნდს პრივილეგია ენიჭება და სერიაში ორი მოგებით შეა, 3:1-ის შემთხვევაში კი ერთი მოგებით. შესაბამისად, სერია ოთხ და სამ მოგებამდე გასტანს, ფინალი კი ნებისმიერ შემთხვევაში სამ მოგებამდე გათამაშდება. ახლა ამ სისტემის ეფექტურობაზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩნია. ამას თავად ჩემპიონატის მსვლელობა დაგვანახებს.

არის კიდევ ერთი სიახლეც, რომელიც ალბათ კალათბურთის რუსთაველ ქომაგებს გაახარებს. პირველობაზე მონაწილე ერთადერთი არადედაქალაქური გუნდი რუსთავის „აზოტი“ მოწინააღმდეგეებს თავის ქალაქშიც დაუპირისპირდება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ფედერაციის მიერ საგანგებოდ მივლინებული კომისია მათი დარბაზის მგდმარეობას დამაკმაყოფილებლად შეაფასებს.

გიორგი ბიძაშვილი

ოცნების კონტრაქტი უკვე გაიწერება



NBA-ს ჩემპიონ „ჩიკაგო ბულზში“, ისევე როგორც თვითონ NBA-ში, გაურკვეველი ვითარებაა. არაა გადაწყვეტილი კალათბურთის ჯადოქარი მაიკლ ჯორდანი დარჩება თუ არა მშობლიურ გუნდში. საბოლოოდ არც ისაა გადაწყვეტილი, ფილ ჯექსონი იქნება ჩემპიონთა მთავარი მწვრთნელი, თუ დებიუტანტი ტომ ფლოიდი. არადა, ამ უკანასკნელმა კონტრაქტიც კი გააფორმა ჩიკაგოსთან. ამ კონტრაქტში კი ერთი უცნაური პუნქტია შეტანილი — იმ შემთხვევაში, თუ ჯექსონი კლუბში დაბრუნების სურვილს გამოთქვამს, ტომ ფლოიდის კონტრაქტი უქმდება. უფრო დიდი უცნაურობა ისაა, რომ ფლოიდს თავად სურს ჯექსონის დაბრუნება. იგი გასულ კვირას ესაუბრა თავის თანაშემწე ტექს უინტექსს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჯექსონი უნდა დაბრუნდეს. თვითონ ყოფილი მწვრთნელის აზრი ცნობილი არ არის. რაც შეეხება გუნდის ბოსებს, მათ ახალბედა ფლოიდი ურჩევნიათ: „უპირველეს ყოვლისა ფლოიდი უნდა დარჩეს გუნდის მთავარ მწვრთნელად, მთავარი ესაა“ — ამბობს ჩიკაგო ბულზის პრეზიდენტი ჯერი კრაუზე — იგი კარგი პიროვნება და კარგი მწვრთნელია.“ ამ ისტორიაში ის გაგაოცებთ, რომ ფლოიდი აქამდე არ ყოფილა NBA-ს რომელიმე გუნდის მწვრთნელი, სტუდენტურ გუნდებში მომუშავეს ოცნება აუხდა, მსოფლიოში უძლიერესი საკალათბურთო ლიგის გუნდს ჩაუდგა სათავეში, თან ეს გუნდი ჩიკაგოა და ახლა მისთვის ესოდენ სანუკვარ სამუშაოზე თავისივე ნებით ამბობს უარს.

ირაკლი ფირაშვილი

კორაჩის თასი. შესარჩევი წრე

საპასუხო მატჩი

17 სექტემბერი

ბიტომი (პოლონეთი) — შკოდერი (ალბანეთი) 101:69 (პირველი მატჩი 89:60)

ბიტომი გავიდა ჯგუფურ ეტაპზე, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან: *ბემიჯთაში* (თურქეთი), *რიმინი* (იტალია) და *სლავონსკი ბროდი* (ხორვატია) — *სომმთჰეი* (უნგრეთი) წყვილში გამარჯვებული.

დანარჩენი საპასუხო მატჩები 22-23 სექტემბერს გაიმართება.

სადღაა ძველი გუმარი...

ყოჩები 35:0 გუმარი

ყოჩები: 2 ლ — ბარძიმაშვილი, ურუშაძე; 2 გ — მაჩიტიძე, ტეფნაძე; 1 ა — ტეფნაძე; 6 ს — მაჩიტიძე

ჩემპიონატის სტარტზე ვერავინ იფიქრებდა, რომ წლეულს ერთ მშვენიერ დღეს „ყოჩები“ ასე სასტიკად გაუსწორდებოდნენ „გუმარს“. იგი ხომ იმ სამეულის წევრია, რომელთა მატჩებს სხვებთან შედარებით მეტი ინტრიგა და უშეღავათო ბრძოლა ახლავს. ადრეც არაერთხელ გვითქვამს და ახლაც ვამბობთ, „ყოჩების“ შემჩერებელი წელს არ მოიძებნება. საქართველოს პირველობაზე მხოლოდ „ექსპრესი“ და „გუმარი“ თუ უწევდნენ წინააღმდეგობას ჩემპიონს და ახლა მათი რიცხვიც შემცირდა — წამყვანი მოთამაშეების საფრანგეთში გადაბარგებამ „გუმარი“ საშუალო დონის გუნდად აქცია.

ინტრიგა და ბრძოლა არც გუშინდელ მატჩს აკლდა. „გუმარს“ ორი კვირის წინანდელი მარცხისთვის რევანშის აღება ეწადა და თავიც არ დაზოგა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ხომ გაგიგიათ, ძალა აღმართს ხნავსო...

ანგარიში უკვე მე-10 წუთზე გაიხსნა მაჩიტიძის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი. კახა, როგორც ჩანს, იბრუნებს ძველ ფორმას. ამას გუშინდელი მატჩიც მოწმობს, როცა მან ჯარიმების და გარდასვლების გამოყენების თითქმის 100-პროცენტიანი შედეგი აჩვენა. ამ ჯარიმამდე და შემდეგაც, მთელი შეხვედრის განმავლობაში, ყოჩთა უპირატესობა აშკარა იყო. ექვს წუთში საკანდელიძემ წამოიწყო კარგი შეტევა, რომელიც ლელოთი შეიძლებოდა დასრულებულიყო, „სვერლოს“ კარგად რომ ერბინა, ან კიდევ პასი მიეცა თანაგუნდელისთვის, რადგან მეტოქის ხაზი უკვე გატეხილი იყო. მე-20 წუთზე მაჩიტიძემ გაარმაგა ანგარიში სხვაობა ჯარიმით. ხუთ წუთში კი სხვაობამ უკვე ცხრა ქულას მიაღწია. ჩემპიონის ასეთი უპირატესობის მიუხედავად, ლელოს დადების შანსი მოწინააღმდეგესაც მიეცა, მაგრამ გუშარელებს ბურთი აუტში გადაუვარდათ და შეტევაც ჩაიშალა. აუტებს რაც შეეხება, ორივე გუნდი თავის მოწოდებაზე ყოჩაღობდა. ერთი ორჯერ იყო მხოლოდ, ჩემპიონმა შეცდომა რომ დაუშვა და ბურთიც „გუმარმა“ მოიგო, მაგრამ არც ამას მოჰყოლია შედეგი. 33-ე წუთზე კი ტეფნაძემ არეკვით კიდევ უფრო დაწინაურა თანაგუნდელები. ამის შემდეგ ჩემპიონს კიდევ რამდენჯერმე მიეცა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ ერთ შემთხვევაში მაჩიტიძემ ვერ ივარგა — ჯარიმა აცილა, დანარჩენებში კი ურუშაძე ვერ პოულობდა შეტევის გაგრძელების ოპტიმალურ გზას და...

ყოჩებისა და გუმარის შეყრა ადრე ფიცხელი ბრძოლის ტოლფასი იყო, გუშინ ვაკეში კი ყოჩებმა პირწმინდად მოიგეს

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

შეხვედრის განახლებისთანავე ჩემპიონმა ნაღდი ლელო ვერ გაიტანა — მაჩიტიძემ ითამაშა უხეშად უბურთოდ და დაჯარიმდა, მაგრამ კახამ მალევე გამოასწორა შეცდომა ჯარიმითვე — 15:0. სამოდ წუთში კი მეტოქის შეცდომით ყოჩმა ბარძიმაშვილმა ისარგებლა და მოწინააღმდეგეს პირველი ლელოც გაუტანა. ამას თუ ელოდნენ „ყოჩები“, კიდევ უფრო გააქტიურდნენ და რომ არა ხეხელაშვილის პასიური თამაში, კიდევ რამდენიმე ლელოს მიითვლიდნენ. 28-ე წუთზე მაჩიტიძე ტარიელაშვილმა შეცვალა, რომელმაც ხეხელაშვილის პოზიციაზე დაიწყო თამაში, ამ უკანასკნელმა კი მაჩიტიძის ადგილი დაიკავა. ამ მომენტისთვის ანგარიში 28:0 იყო. წერტილი შეხვედრას კი ტეფნაძემ დაუსვა ზუსტად შესრულებული გარდასახვით, რომელიც ურუშაძის ლელოს მოჰყვა.

პაატა თოთაძე

დუელი ჟენევაში

დღეს და ხვალ შვეიცარიულ ჟენევაში ეჟვნების მოჟღარუნე 12 ათასი მაყურებლის თვალწინ ჩოგბურთში ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — ფედერაციის თასის ფინალი გაიმართება, რომელშიც მასპინძლები ესპანელებს დაეჯიდებიან



მარტინა ჰინგისი

ნეიტრალური ქვეყნის გუნდის ასეთ სიმაღლეებზე ავარდნა ვისი დამსახურებაა, ძნელი მისახვედრი არ არის — ვერ კიდევ ორი წლის წინ გათამაშების დაბალ ლიგებში ჩაკარგული შვეიცარია სლოვაკური წარმოშობის ექს-ჩეხეთში მცხოვრებელმა ვუნდერკინდმა მარტინა ჰინგისმა და ბევრის აზრით, მისმა არანაკლებ ნიჭიერმა მწვრთნელმა და დედამ, გუნდის კაპიტანმა მელანი მოლიტორმა გააწევრიანეს ელიტაში, მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით.

ჰინგისი ახლაც გუნდის ბირთვად და წამყვან ძალად რჩება, მაგრამ ბოლო ხანებში მას ხელის წამშველებელიც გამოუჩნდა — სწრაფად პროგრესირებადი 19 წლის პატი შნიდერი. ნომერმა ორმა შვეიცარიელმა წლეულს ხუთი ტურნირის მოგება მოასწრო (ჰინგისზე ერთით მეტის), საუკეთესოთა ათეულშიც დაიმკვიდრა ადგილი და ახლახანს დამთავრებულ ამერიკის ღია პირველობაზე ლეგენდარული შტეფი გრაფის გამწარებით მეოთხედფინალსაც უწია.

შვეიცარიას გამოცდილი და რთული მეტოქე ჰყავს — ესპანეთს ჟენევაში არანჩა სანჩეს-ვიკარიოსა და კონჩიტა მარტინესის ჭეშმარიტად ვეტერანული დუეტი წარმოადგენს, რომელთაც თავისი გუნდი ბოლო რვიდან შვიდ სეზონში ფინალში გაუყვანიათ, ოთხჯერ კი — 1991, 93, 94 და 95 წლებში — ჩემპიონიც გაუხდიათ.

ჰინგისს თუ ვენდობით, უკვე ფინალში ყოფნაც დიდი მიღწევაა, რაც ყოველდღე არ ხდება, მაგრამ არა მგონია, ისეც ფავორიტად მიჩნეული შვეიცარიელები თუ გინდ ღირსეულმა მარცხმა დაკმაყოფილოს: მშობლიური კედლების გარდა მათ თავიანთთვის მეტად მოსასერხებელი სწრაფი ხალიჩის საფარიც მეუწყობათ ხელს.

„ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, მაგრამ შანსებს ორმოცდაათი-ორმოცდაათზე ვაფასებ. ოთხივე ჩოგბურთელი საუკეთესოთა ათეულში შედის, რომელთა შორის კლასში განსხვავება მინიმალურია“ — მელანი მოლიტორმა მაინც დიპლომატიური დაიჭირა პრესკონფერენციაზე.

ფინალის განრიგი

შაბათი (დასაწყისი 15 საათზე თბილისის დროით)

შნიდერი — სანჩეს-ვიკარიო
ჰინგისი — მარტინესი

კვირა (დასაწყისი 15 საათზე)

ჰინგისი და შნიდერი — სანჩეს-ვიკარიო და მარტინესი
ჰინგისი — სანჩეს-ვიკარიო
შნიდერი — მარტინესი

ტაშკენტი. უზბეკეთი.
„პრეზიდენტის თასი“.
ტარდება დარბაზში ჰარდზე.
საპრიზო 500 ათასი $

„პრეზიდენტის თასის“ მეორე წრეს მხოლოდ ერთი ფავორიტი — ტურნირის შარშანდელი ფინალისტი და 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი მარკ როსე (5) შეეწირა. აყლაყუდა შვეიცარიელი, კანადის სანაპიროსთან ჩამოვარდნილი თვითმფრინავით მგზავრობაზე ბოლო მომენტში უარის თქმით სიკვდილს რომ გადაურჩა, ტაშკენტში კლასით მასზე ბევრად დაბლა მდგომ მეტოქესთან — გერმანელ კარსტენ ბრაუშთან დამარცხდა თითქმის ორ საათს გაწელილ მატჩში 4:6, 7:6 (8:6), 3:6. ბრაუში მიღწევებით ვერ დაიკვეხნის — კლასიფიკაციით ოდენ 330-ეა, მაგრამ ხალხისთვის თავისი უცნაური მოწოდების გარდა იმით დაუმახსოვრებია თავი, წლევანდელ ავსტრალიის ღია პირველობაზე კაცთა ჩოგბურთის უპირატესობაში ეჭვის შემტან დებ უილიამსებს თავისი ადგილი რომ მოუჩინა (უმცროსს 6:1 მოუგო, უფროსს 6:2).

როსეს მარცხმა ყველაზე მეტად ვინ გაახარა, ძნელი მისახვედრი სულაც არ არის — ევგენი კაფელნიკოვი „დიადორას“ ერთ დროს ცნობილ რეკლამაში თავის მეწყვილე შვეიცარიელთან პირად შეხვედრებში გამუდმებით მარცხდებოდა, „პრეზიდენტის თასზე“ შარშანდელი ასპარეზობაც სწორედ მასთან წაგებით დაასრულა ნახევარფინალში და უხერხულ მეტოქესთან მორიგი შეხვედრა ალბათ მაინცდამაინც არ გაახარებდა.

მეოთხედფინალის საგზური საოჭელმა ჟენიამ დიდი ოფლისღვრის გარეშე მოიპოვა — 50 წუთში სამხრეთაფრიკელ დევიდ ნეინკინს ავლობა 6:3, 6:0, თუმცა მატჩის შემდეგ ამის გამო სიხარული არ გამოუხატავს: „პირველი ორი ჩოგბურთელი, რომლებსაც აქ შევხვდი, ჩემს დონეს არ შეესაბამებოდნენ და სწორედ ამიტომ მოვიგე. წლეულს კიდევ შვიდ თუ რვა ტურნირზე უნდა ვითამაშო, სადაც საკუთარი თამაშის ხარისხის გაუმჯობესების იმედი მაქვს, ბოლო ორი სეზონია, მხოლოდ ქვევით მივექანები.“

კაფელნიკოვის დონეს იქნებ არც მისი მომდევნო მეტოქე, არგენტინელი გასტონ ეტლისი შეესაბამებოდეს, მაგრამ საკუთარი დაღმასვლის შესახებ შენიშვნა აშკარად მართებული გახლდათ. მეტად ნიჭიერ, მაგრამ ამავდროულად უჯიგრო და უნიათო ხასიათით გამორჩეულ რუსს რეპუტაცია იმდენად შეელახა, რომ ზემოხსენებულ „დიადორასთან“ წლის დასაწყისში კონტრაქტის დასრულების შემდეგ არც ამ და არც სხვა ფირმას მასთან თანამშრომლობის სურვილი არ გამოუთქვამს. ასე რომ, საუკეთესო ორმოცდაათეულის წარმომადგენელთაგან არანაკლებ უხიაგ ჯეფ ტრანაგოსთან ერთად სოჭელი ჟენია ერთადერთია, „ნაიკის“, „რიბოკის“ და მისთანების პროდუქციის გამომზეურებით რომ ვერ ითბობს ხელს. თუმცა იმ საფირმო სტაფილოსფერ-ყვითლების მოზომებას იქნებ ასეც სჯობდეს.

მეოთხედფინალური წყვილებიდან ყველაზე დიდ ინტერესს სედრიკ პიოლინის (3) და მარატ საფინის (6) მოსალოდნელი მატჩი იწვევს. მეორე წრეში საფინმა ჰოლანდიელ როჯერ ვასს ძლია 6:3, 6:2, პიოლინმა კი იტალიელ ლორენს ტილმანთან ოჯახობა 4:6, 7:6 (8:6), 6:3. საფინი და პიოლინი ერთმანეთს როლან გაროსის მერვედფინალშიც შეხვდნენ, სადაც ტრიბუნების ველური ქომაგობით გამხნევებულმა ფრანგმა ტურნირის აღმოჩენად ქცეული 18 წლის რუსის შთამბეჭდავ გამარჯვებათა სერიას მოუღო ბოლო ხუთ სეტში. „მას შესანიშნავი მოწოდება აქვს, ამიტომ ძალიან მძიმე მატჩს ველი“ — იწინასწარმეტყველა საფინმა.

მეორე წრე: ტიმ ჰენმანი (2, ინგლისი) — ეიალ რანი (ისრაელი) 6:4, 6:1; ნიკოლა ესკუდე (4, საფრანგეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:4, 7:6 (9:7); გასტონ ეტლისი (არგენტინა) — ვლადიმერ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 7:5, 6:2; სტეფანო პასკოსოლიდო (იტალია) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 2:6, 7:6 (7:1), 6:3.

ბორნმუტი. ინგლისი.
„სამსუნგის ღია პირველობა“.
ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 400 ათასი $

სენსაციების გარეშე გრძელდება ტურნირი ბორნმუტშიც, სადაც ყველაზე დიდ მოულოდნელობად სამდღიანი ავდრისა და ქარიშხლის შემდეგ მზიანი ამინდის გამოსვლა იქცა, რაც სითბოს მოყვარულ ესპანურ არმადას ფრიადაც გაუხარდა. შარშანდელის არ იყოს, როდესაც ფინალში ორი ესპანელი შეხვდა ერთმანეთს, ბორნმუტში წლეულსაც ამ ქვეყნის წარმომადგენლები ხვირთებენ.

დაუბრკოლებლად მიიწევს წინ ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ფელიქს მანტია (3), რომელმაც მეორე წრეში თანამემამულეს, მეგობარს, სპარინგ-პარტნიორსა და საერთო მწვრთნელის პატრონ ხორდი ბურილიოს მოუგო 7:5, 6:2. მანტიამ სამსუნგის პირველობის გარდა გასულ სეზონში ოთხი სათიხნარო ტიტული მიითვალა, რის გამოც ტომას მუსტერის მემკვიდრედაც შერაცხეს, მაგრამ წლეულს საყვარელ საფარზე ვეღარ ბატონობს: ვერვერებით ფინალისთვისაც ვერსად მიუღწევია. სამაგიეროდ, ამ ბოლო ხანებში თიხნარზე უხეიროდ მოასპარეზე მუსტერის მსგავსად (რომელთანაც ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვს), მანტიასაც ჰარდზე უკეთესი შედეგები დაუგროვდა — მის ანგარიშზე დუბაისა და ლონგ აილენდში ფინალში ასპარეზობა ირიცხება.

მეორე წრე: ალბერტო ბერასატეგი (1, ესპანეთი) — მარტინ როდრიგესი (არგენტინა) 6:3, 4:6, 6:4; ალბერტ კოსტა (2, ესპანეთი) — დენის ვან შეპინგენი (ჰოლანდია) 6:3, 6:2; არნო კლემანი (8, საფრანგეთი) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 6:3, 7:6 (7:3); მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) — ტომას ნიდალი (შვედეთი) 7:6 (7:3), 6:2; ვინჩენცო სანტოპადრე (იტალია) — მიქაელ კოლმანი (გერმანია) 6:0, 6:3.

ავთანდილ სვანიძე

ევგენი კაფელნიკოვი

ტაიმ-აუტი ბუნიოსთვის

კარიერის ბოლოს ჯანი ბუნიო ჯანზე მოვიდა

12 ეტაპი. ბენასკედან კანფრანმდე. 187 კილომეტრი

ზედიზედ რამდენიმე უმძიმესი მთიანი ეტაპის შემდეგ წლევანდელი „ვუელტას“ ლიდერებმა, ეტყობა, ერთგვარი ტაიმ-აუტის აღება გადაწყვიტეს, რადგან მე-12 ეტაპზე მათ გამოსვლას ჩემპიონობისთვის მებრძოლთა ჭიდილს ნამდვილად ვერ უწოდებდით.

ყვითელი მაისურით მოასპარეზე ესპანელმა აბრაჰამ ოლანომ და მისმა კონკურენტებმა თავიდანვე ნელი ტემპით სვლა არჩიეს და მთელი დისტანცია ისე მიდიოდნენ, გეგონებოდათ, დიდი ხნის უნახავებს ერთმანეთი მონატრებიათ და მთავარ მიზნად ფინიშის ხაზზე პირველად მისვლა კი არა, მეგობრული საუბარი და ლაზღანდარობა გაუხდიათო.

მართლაც ძნელია, სახელი მოუძებნო იმ არხეინობას, რომლითაც ესპანეთის ტურის ფავორიტები მე-12 ეტაპზე წინ გაჭრის მსურველთა ძალისხმევას შეხვდნენ. მათ ვეტერანი იტალიელი ჯანი ბუნიოს მეთაურობით რვაკაციან ჯგუფად შეკრული მრბოლების სპურტი აინუნშიც არ ჩააგდეს, შედეგად კი ის მიიღეს, რომ 187-კილომეტრიანი დისტანციის სადღაც შუაწელში ჩამორჩენა ნებისმიერი თავმოყვარე ველომრბოლისთვის საკმაოდ შეურაცხმყოფელი — 13 წუთი იყო.

ლიდერთა ასეთი უგერგილობის ერთადერთი ახსნა ის გახლდათ, რომ წინგაჭრილი ბუნიო ამ ეტაპის წინ საერთო ჩათვლაში ძალიან უკან იყო და 137 მრბოლის სათავეში მოქცეულ ოლანოს მთელი საათითა და 33 წუთით ჩამორჩებოდა. თუმცა დაწინაურებულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რჩეულებთან არც ისე ბევრს აგებდნენ და ამგვარი ტემპის შენარჩუნებით საერთოდ ყვითელი მაისურის დაბევებაც კი შეეძლოთ.

არხეინად მოარულმა ჩამორჩენილებმა ეს საფრთხე გაათვითცნობიერეს, თუ სხვა რამის ბრალი იყო — გამოცოცხლდნენ. ოლანომ, ესკარტინმა, ჟალაბერმა და კომპანიამ იკადრეს თავის შეწუხება, რაც იმაში გამოიხატა, რომ სულ მალე ზემოთ აღნიშნული განსხვავება თითქმის განახევრდა და ოდენ 7 წუთამდე დავიდა.

მოვლენების ასეთი განვითარება წლევანდელი რბოლის ლიდერებს სრულიად აძლევდა ხელს. ამიტომ ისინი მოეშვნენ, პედლების გაშმაგებით ტრიალით თავი აღარ მოუკლავთ და ფინიშის ხაზზეც მათთვის სასურველი შედეგით მივიდნენ. საერთო ჩათვლაშიც არაფერი შეცვლილა. ყვითელი მაისური ისევ ოლანოს დარჩა. მას 35-წამიანი ჩამორჩენით ფრანგი ლორან ჟალაბერი მიჰყვება, ხოლო ამათ ფეხდაფეხ კიდევ ერთი ესპანელი ფერნანდო ესკარტინი მისდევთ.

თავად მე-12 ეტაპზე გამარჯვება 34 წლის ბუნიოს დარჩა. ვეტერანი იტალიელი, რომლისთვისაც წლევანდელი სეზონი უკანასკნელია სპორტულ კარიერაში, თავიდანვე დაწინაურდა და 167 კილომეტრის მანძილზე ლიდერობა არავისთვის დაუთმია. მრბოლს ამგვარი თავგანწირვა დაუფასდა კიდეც. მას დისტანციის ბოლოს ღირსეული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია და მაღლა ხელებაწვდილმა ბუნიომაც უახლოეს მდევარზე 1 წუთითა და 48 წამით ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ჯირო დ' იტალიას 1990 წლის გამარჯვებული მოულოდნელი წარმატებით უსაზღვროდ ბედნიერი იყო. „ეს შეიძლება ბოლო მოგებული ეტაპიც კი იყოს ჩემს კარიერაში, მაგრამ ამაზე ახლა არ ვფიქრობ. ძალიან მსურს, ველოსპორტიდან ისე წავიდე, რომ რომ იტალიის ნაკრების კიდევ ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონად გახდომაში ჩემი წვლილი შევიტანო. ამის ჩინებული შანსი კი, ვფიქრობ, სულ მალე — 6 ოქტომბერს ჰოლანდიურ ვალკენბურგში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე მომეცემა“ — განაცხადა ბუნიომ რბოლის შემდეგ.

1. ჯანი ბუნიო (იტალია) 4 სთ 26 წთ 03 წმ; 2. სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი) +1,48; 3. რობერტო სამბელური (იტალია) +1,50.

საერთო ჩათვლა

1. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) 52 სთ 27 წთ 30 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +35; 3. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +51; 4. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) +1,17; 5. დანიელ კრავერო (ესპანეთი) +2,01.

13 ეტაპი. რბოლა საბინანიგოს მიდამოებში. 208,5 კილომეტრი

ეტაპი რუსმა ანდრეი ხინჩენკომ მოიგო. საერთო ჩათვლაში კი კვლავაც ესპანელი აბრაჰამ ოლანო ლიდერობს.

ქაჯა არჯევანიძე

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29